პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — პოლონეთ-გერმანიამ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას.
- — ნეიშტადში შესდგა ავსტრიის მუშათა თავდაცვის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება.
- — ფრანგ ფეიქართა გაფიცვა ფართოვდება.
- — ბრძოლა პოლონეთის „სოციალისტური“ პარტიის შიგნით.
- — ფრანგ, გერმანელ, ინგლისელ და ბელგიელ მენშევიკებს განზრახული აქვთ გაერთიანებული თათბირის მოწვევა.
- — ჩინეთი ადგილს მოითხოვს ერთა ლიგაში.
- — ბათომში ჩავიდა ამხ. ბელა-კუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 26 სექტემბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 223 (2266)

დღეს, 26 სექტემბერს, საღამოს 5 ნახ. საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრების და კანდიდატებისათვის სავალდებულოა
ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების გარშემო

სულ უფრო ეხდება ფარდა ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებას, რომელიც ღრმა დიპლომატიური საიდუმლოებით იყო მოცული. ლონდონი და პარიზი თვალთმაქცურად ირწმუნებიან, რომ ეს შეთანხმება, ჯერ ერთი, თითქო მიზნად ისახავს შეიარაღების შემცირებისა და მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობას და, მეორე, ვითომ სრულებით არ ნიშნავს ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკურ კავშირის აღდგენას, არამედ წარმოადგენს წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მხარეთა შეხედულებების დაახლოების მხოლოდ საზღვაო შეიარაღების ზოგიერთ ტეხნიკურ საკითხებზე.

ასეთი განცხადებებით სურდათ შეთანხმების შინაარსის დაფარვა, აფორიაქებული საზოგადოებრივი აზრის დაწყნარება და მშვიდობიანობის მოციქულთა როლის გათამაშებაც კი. ნამდვილად კი იმთავითვე აშკარა იყო, რომ ინგლის-საფრანგეთის ხსენებული ნაბიჯი მოასწავებს უდიდეს ცვლილებას მთელ საერთაშორისო პოლიტიკასა და ძალთა განწყობილებაში. ამ სახელმწიფოების უკანასკნელმა მთელ რიგ გამოსვლებმა (კელოგის ხელშეკრულების გარშემო, რეინის ოკუპაციის საკითხის შესახებ და სხ.) გვიჩვენეს, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ინგლის-საფრანგეთის კავშირის ალორძინებასთან.

პრესაში უკვე აღნიშნული იყო ამ შეთანხმების ორი მთავარი მომენტი: რომ ის ერთი მახვილით მიმართულია ამერიკის, ხოლო მეორეთი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკის პრესის სენსაციურმა მხილებამ ნაწილობრივ დაგვანახვა ინგლის-საფრანგეთის კომპრომისის საიდუმლოება, რამდენადაც საქმე შეეხება საზღვაო განიარაღების პრობლემას და ინგლის - ამერიკის დამოკიდებულებას. „ნიუ-იორკ ამერიკენ“-მა გამოაქვეყნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცირკულიარი საფრანგეთის ელჩებისადმი „მთავარ სახელმწიფოებში“. ცირკულიარი, რომელიც საიდუმლოებით ნაშენია აღნიშნულ გაზეთის პარიზელ კორესპონდენტის მიერ, ეხება ინგლის-საფრანგეთის საზღვაო კომპრომისს. ბარცელო (რუმინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი) ამ ცირკულიარში წინადადებას აძლევს საფრანგეთის ელჩებს გადადგან ნაბიჯები კომპრომისისადმი იაპონიის და იტალიის შესაერთებლად. თვით ამ კომპრომისის ერთი მუხლი, ცირკულიარის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ დაშვებულია წვრილ კრეისერების და წყალქვეშა ნავების განუსაზღვრელი შეიარაღება, სამაგიეროდ განსაზღვრულია დიდი სამხედრო გემების რაოდენობა. ეს მუხლი აშკარად მიმართულია ჩრდილოეთ ამერიკის შეერთ. შტატების წინააღმდეგ, რამდენადაც უკანასკნელს თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის ყველაზე მეტად ესაჭიროება პირველ ყოვლისა სწორედ დრედნოუტები. ამავე დროს, ამერიკასთან საბრძოლველად ინგლისი ცდილობს დანარჩენ იმპერიალისტურ ქვეყნებისგან ბლოკის შექმნას. რაც შეეხება ინგლის-საფრანგეთის „სამშვიდო“ მისწრაფებებს, რომელნიც თითქო ამოძრავებდათ მათ კომპრომისის დადების დროს, ასეთი მისწრაფებათა ნამდვილი ღირებულება კარგად სჩანს იქიდან, რომ ისინი მომხრენი არიან შედარებით უფრო წვრილ სამხედრო გემების რიცხვის განუსაზღვრელად გადიდების ასეთი გემები კი საერთოდ არა ნაკლებ გამანადგურებელ ძალას წარმოადგენენ, ვიდრე დიდი კრეისერები. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ინგლისს მოეპოვება უკანასკნელთა გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოს.

მაგრამ საზღვაო კომპრომისი ამით როდი ამოიწურება. დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მის ვრცელ შინაარსს. ესაა უფართოესი სამხედრო შეთანხმება, რომელიც ვრცელდება მთელ მსოფლიოზე, ახლობელ და შორეულ აღმოსავლეთზე, ბალკანეთზე, კერძოდ საბჭოთა კავშირზე. რა თქმა უნდა, იგი ემყარება ურთიერთ კომპრომისს მსოფლიო პოლიტიკის ძირითად საკითხებში.

ინგლის-საფრანგეთის ანტანტა მიზნად ისახავს ამერიკის იმპერიალიზმის კონკურენციის ჩარევა - მოსპობას, დანარჩენ მსოფლიოზე თავის ბატონობის განმტკიცებას და კერძოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის ნიადაგის მომზადებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისს და საფრანგეთს უაღრესად გაუძნელდებათ აღნიშნულ შეთანხმების გატარება. რაც არ უნდა იყოს, თვით მათ შორის არსებული ინტერესთა ღრმა წინააღმდეგობა მიუხედავად ყოველგვარი კომპრომისებისა ძალაში რჩება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამერიკის მძლავრ წინააღმდეგობას, რომელიც აიძულებს ინგლისის და საფრანგეთის მმართველებს შეთანხმების ლიკვიდაციაზე ილაპარაკონ. ამასთან, საბჭოთა კავშირის სიძლიერე და მისი სამშვიდობო პოლიტიკა, საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის სიფხიზლე და კოლონიალურ განმანთავისუფლებელი მოძრაობა უდიდეს ფაქტორებს წარმოადგენენ იმპერიალისტების საომარ გეგმების ჩაფუშვის საქმეში.

მაგრამ ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმება ჩვენ გვეუბნება იმ საფრთხეზე, რომელსაც წარმოადგენენ იმპერიალისტები მსოფლიო მშვიდობიანობისათვის. აშკარაა, რომ ამ შეთანხმებას მოყვება ამერიკის სამხედრო მზადების კიდევ უფრო გაძლიერება. მედგარი ბრძოლა ომის საშიშროებასთან, იმპერიალისტების და მათი მოკავშირე „სოციალისტების“ ბნელ ზრახვების შეუბრალებელი მხილება—აი, საითკენ უნდა იყოს მიმართული მუშათა კლასის ენერგია. კომინტერნი ამ მიმართულებით კიდეც აწარმოებს წარმატებით მუშაობას.

პურის დამზადების საქმის გაუმჯობესება

სექტემბრის პირველ ნახევარში პურის დამზადება ხასიათდება იმ ხელსაყრელი ტენდენციების განვითარებითა და გაღრმავებით, რომლებიც ჩვენ აგვისტოში აღვნიშნეთ: დამზადება ყოველ ხუთდღეულში მატულობს და ამასთანავე მატების ტემპი საერთოდ სჭარბობს წინა წლებში მიღწეულ ტემპს. ამის გამო სექტემბერში ენერგიულად ხდებოდა იმ ტემპის ანაზღაურება, რომელიც კამპანიის დასაწყისში დავკარგეთ: სექტემბრის მესამე ხუთდღეულში დამზადებული პური უკვე შეადგენდა გასული წლის სექტემბრის მესამე ხუთდღეულში დამზადებული პურის 94 პროცენტს და 1926—27 წლის სექტემბრის მესამე ხუთდღეულის 86 პროცენტს, ხოლო 1926—27 წლის სექტემბრის მესამე ხუთდღეულმა იმ წლის ერთ-ერთი სარეკორდო ციფრი მოგვცა. არა სრული ცნობებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეოთხე ხუთდღეულში პურის დამზადება გასული წლის დონეს მიაღწევს. ეს ანაზღაურება ხდება იმის გამო, რომ კამპანიაში ენერგიულად ჩაებნენ ვოლგისა და აღმოსავლეთის რაიონები, სადაც დამზადება რამდენჯერმე სჭარბობს წინა წლების დონეს, სამაგიეროდ ძლიერ შემცირდა უკრაინისა და ცენტრალური შავნიადაგიანი რაიონის წილი. უკრაინა და ყირიმი რომ არ ვიანგარიშოთ, საბჭოთა კავშირის მთელ დანარჩენ ტერიტორიაზე სექტემბერში ბევრად მეტი პური მზადდება, ვიდრე წინა წლებში. ამრიგად, სექტემბერში საბოლოოდ გამოირკვა მიმდინარე წლის პურის დამზადების ოპერაციის სპეციფიური ნიშნები, ის ნიშნები, რომლებიც შემდეგ თვეებში კიდევ უფრო გარკვევით უნდა გამოიხატონ.

ამ სავსებით ხელსაყრელ ტენდენციებთან ერთად აგრეთვე უნდა აღინიშნოს კამპანიის განვითარების ზოგიერთი მომენტი, რომელიც ერთგვარ შიშს იწვევს, მით უფრო, რომ ეს მომენტები პურის მიწოდებას კი არ ახლავან, არამედ მოთხოვნის ორგანიზაციას. პრესა ისევ აღნიშნავს სხვადასხვა შემთხვევებს: აღმოსავლეთ რაიონებში აპარატი მომზადებული არ არის პურის მისაღებად, კიდევ ადგილი აქვს ურმების დიდხანს დაყოვნებას ჩასაბარებელ პუნქტებთან, პურის ფასის თავის დროზე გადაუხდელობას, ტომრებისა და ბელლების ნაკლებობას, მარცვლის დაგვიანებით გადატვირთვას და სხვ. კერძოდ სარატოვიდან იტყობინებიან, რომ ვოლგას გაღმა მხარეში ურმები მთელი დღეები ასობით უცდიან რიგს და გლეხებს ხშირად პური უკანვე მიაქვთ. აპარატის მოუმზადებლობის გამო საქმე იქამდე მიდის, რომ დამამზადებლები წინადადებას იძლევიან რამდენიმე დღით შეაჩერონ პურის მიღება.

თუ ამ მოვლენებს ადგილი აქვს კამპანიის დასაწყისში, როდესაც ვოლგის და აღმოსავლეთის რაიონებში კამპანია მხოლოდ ეხლა ფართოვდება, სერიოზული შიში იბადება, რომ შემდეგ თვეებში, როდესაც პურის მიწოდება ამ რაიონებში ძალიან უნდა გაიზარდოს, მდგომარეობა უფრო არ გაუარესდეს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პურის მიღების შეფერხება რომელსამე პუნქტში, აპარატის მოუმზადებლობა, ფინანსების არა დამაკმაყოფილებლად მიწოდება არის მძიმე დანაშაული ჩვენი ქვეყნის წინაშე, რომელიც არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. ამ ორი თვის წინად, როდესაც მოსავლის გეოგრაფია საკმაოდ ნათლად გამოირკვა, მომწესრიგებელი ორგანოები და დამამზადებელი აპარატი გაფრთხილებული იქნენ, რომ კამპანია განსაკუთრებული ყურადღებით მოემზადებიათ ვოლგისა და ვოლგას გაღმა რაიონებში. დრო საკმაო იყო. აშკარაა, რომ ამ მხრივ ყველაფერი არ გაკეთებულა და საჭიროა ყველა ორგანიზაციული დეფექტის გამოსწორება. მომწესრიგებელმა ორგანოებმა არ უნდა შემცირონ დამზადების თვიური ოპერატიული გეგმები, ვინაიდან გეგმის შემცირება იწვევს აპარატის მოუმზადებლობას პურის გეგმაზე ზევით მიღებისათვის. ოპერატიული გეგმების მიხედვით სწარმოებს ფინანსების მიწოდება, ჩასაბარებელი პუნქტების სათანადო ჭურჭლით მომარაგება, ტრანსპორტის მობილიზაცია პურის გადასატვირთავად და სხვ.

სექტემბერში პურის დამზადების მსვლელობა ამტკიცებს, რომ განსაკუთრებით სამძიმო დრო ჩვენი ქვეყნისათვის პურის მომარაგების საქმეში უკვე უკან მოვიტოვეთ. ბაზარზე შექმნილი გამწვავებული მდგომარეობა კვირიდან კვირამდე შენელდება, ხოლო ორი-სამი კვირის შემდეგ მოვა მარცვალი ვოლგის და ვოლგას გაღმა რაიონებიდან და ფქვილი დაუბრკოლებლად წავა მომხმარებელ რაიონებსა და ცენტრებში.

ყოველ შემდეგ ხუთდღეულში ჩვენს ხელში პურის უფრო და უფრო დიდი მარაგი მოიყრის თავს, ეს კი საშუალებას მოგვცემს ეხლავე შევუდგეთ სერიოზულ მანევრებს პურის გამოყენების დარგში. ჩვენი ქვეყნისათვის პურის მიწოდების გეგმა მიმდინარე წელს იმ პრინციპზეა აგებული, რომ მომხმარებელი რაიონების მსხვილი სამრეწველო და დასახლებული ცენტრებისა და ნედლეულის უმნიშვნელოვანესი რაიონების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გეგმიან დამამზადებლებს ევალებათ. მწარმოებელი რაიონების ქალაქების მომარაგება, უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონების გარდა, ადგილობრივ ბრუნვას ეკისრება. ამჟამად ადგილებზე ფასების დიდი სხვადასხვაობაა, თუმცა ეს უკვე შენელდა. საჭიროა, რომ უახლოეს თვეში ადგილობრივი ბრუნვა სათანადო კალაპოტში იქნას ჩაყენებული და შემცირებულ იქნას თავისუფალი ბაზრის ფასები. ფასების სხვადასხვაობის მოსპობა წარმოადგენს პურის დამზადების განვითარების შემდგომი წარმატების აუცილებელ პირობას. ამიტომ მომხმარებელი რაიონების მომარაგების გაძლიერებასთან ერთად ნაწილობრივ უნდა გავაძლიეროთ პურის შეტანა ადგილობრივ ბაზრებზე იმ მიზნით, რომ ეკონომიური ზეგავლენა მოვახდინოთ ადგილობრივ ბრუნვაზე და ადგილობრივ ფასებზე. ეს ჩარევა უნდა მოხდეს იმდენად, რამდენადაც გეგმიან დამამზადებლებს დაუგროვდებათ პური, პირველ ყოვლისა იმ რაიონებსა და პუნქტებში, სადაც ფასების განსაკუთრებული სხვადასხვაობაა, და სახელდობრ იქ, სადაც ეს სხვადასხვაობა კიდევ ხელს უშლის გეგმიანი დამზადების განვითარებას. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს მწარმოებელი რაიონების ქალაქებისათვის პურის მუდმივად მიწოდებად, რათა შარშანდელი შეცდომები არ განმეორდეს. ეს ოპერაციები მოქნილ კომერციულ მიდგომას მოითხოვენ.

ჩვენ ფეხი შევდგით პურის მიწოდების ხელსაყრელ სტადიაში. ეხლა ჩვენზეა დამოკიდებული, რომ განვავითაროთ პურის ბაზარზე დასახული დადებითი ტენდენციები, ხოლო ამისათვის საჭიროა გავაძლიეროთ აქტივობა ტეხნიკური ბაზის გასაფართოვებლად და დამზადებული პურის ფონდების მიზანშეწონილად გამოსაყენებლად.

„იზვესტია“, 25 სექტემბერი.

ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტები „იყოფენ“ მსოფლიოს

ახალი „ანტანტა“ გერმანია-საბჭ. კავშირისა და შეერთებული შტატების წინააღმდეგ

„კრასნაია ზვეზდა“-მ გამოაქვეყნა ინგლის-საფრანგეთის საიდუმლო შეთანხმების სრული ტექსტი

ინგლის-საფრანგეთის სამხედრო შეთანხმება

შეთანხმების ტექსტი

მოსკოვი, 25 სექტემბერი. „კრასნაია ზვეზდა“-ს 25 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების შინაარსი.

„იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია,—სწერს „კრასნაია ზვეზდა“, — ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის ახალი ფორმები არსებითად შემდეგია: საზღვაო შეთანხმება, შეთანხმება საჰაერო ძალთა თანამშრომლობის შესახებ, სამხედრო - საინსტრუქტორო მუშაობის შესახებ აღმოსავლეთის ქვეყნებში, დაზვერის საქმის შეთანხმება აღმოსავლეთ ქვეყნებში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიაც, შეთანხმება გაწვრთნილი რეზერვების შესახებ, ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკის შეთანხმება რეინისა და სარეპარაციო საკითხებში, ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკის შეთანხმება ბალკანებზე და საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყნებში,

საზღვაო შეთანხმების შინაარსი დაახლოვებით შემდეგია: საფრანგეთი უარს ამბობს თავის პირვანდელ თვალსაზრისზე, სახელდობრ იმაზე, რომ საზღვაო შეიარაღებათა შეზღუდვა სწარმოებდეს მთელი ტონაჟის რაოდენობისა და არა კატეგორიების მიხედვით. მაგრამ იგი მოითხოვს, რომ შეზღუდვა კატეგორიების მიხედვით არ ეხებოდეს ისეთ წვრილ კრეისერებს და წყალქვეშა ნავებს, რომელთა წყალწყვა არ აღემატება 10,000 ტონას; შეზღუდვა უნდა ვრცელდებოდეს 10.000 ტონიან კრეისერებზე, ესე იგი ისეთ კრეისერებზე, რომლებიც საფრანგეთისთვის სულ არ არიან საჭირონი, მაგრამ საჭირონი არიან შეერთებული შტატებისათვის მისი ბაზების მცირერიცხოვანებისა და ურთიერთისაგან დაშორების გამო. გარდა ამისა, იგი შეიცავს შეთანხმებას საზღვაო თანამშრომლობის შესახებ წყნარ ოკეანეზე, შეთანხმებას ხმელთა შუაზღვის გაყოფის შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის გავლენის სფეროებზე, შეთანხმებას განსაკუთრებული ინტერესების აღიარების შესახებ ინგლისისა — გიბრალტარზე, ხოლო საფრანგეთისა — ტონჟერში და ნეიტრალური საზღვაო ზონების შექმნის შესახებ ერთა ლიგის განსაკუთრებული მფარველობით.

შეთანხმება საჰაერო ძალთა თანამშრომლობის შესახებ გულისხმობს განსაკუთრებული საჰაერო მთლიანობის, ანუ განსაკუთრებული „საჰაერო ანტანტის“ შექმნას. ეს შეთანხმება ითვალისწინებს ინგლისს-საფრანგეთის თანამშრომლობას არა ევროპიული ქვეყნების მიმართ, აგრეთვე იმ შემთხვევისათვის, თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარესა და საბჭოთა კავშირს შორის ადგილი ექნება შეიარაღების კონფლიქტს. დაიდო განსაკუთრებული შეთანხმება საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ანუ შეთანხმება ეგრედწოდებული „ხმელთა-შუაზღვის აუზის საავიაციო საშუალებათა განსაკუთრებული ანტანტის“ შესახებ. ამ შეთანხმებით წინასწარ განსაზღვრულია თვითეული მონაწილის როლი აქტიურ სამხედრო მოქმედებებში იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის წინააღმდეგაც იქნება აღნიშნული ანტანტა. ასეთ ქვეყანად შეიძლება გახდეს ყოველი სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც გაილაშქრებს ერთა ლიგა, ან საბჭოთა კავშირი, თუ იგი აწარმოებს სამხედრო მოქმედებას დიდი ბრიტანეთისა ან საფრანგეთის წინააღმდეგ, თანაც თუ ინგლის მოუხდა ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაშინ საფრანგეთი, რომელიც ოფიციალურად ნეიტრალურ პოზიციას დაიჭერს, ვალდებულია ნება მისცეს ინგლისს ისარგებლოს იმ საავიაციო ბაზებით, ხაზებით და საავიაციო ტრესტის საწყობებით, რომელნიც მოიპოვებიან საფრანგეთის ტერიტორიაზე, აგრეთვე იმ სამხედრო აეროდრომებით, რომლებიც შეიძლება დასჭირდეს ბრიტანეთის სამხედრო უწყებას.

დაიდო შეთანხმება იმის შესახებ, რომ ინგლისისა და საფრანგეთის საინფორმაციო ორგანოებმა აწარმოონ შეთანხმებული მუშაობა აღმოსავლეთისა და აზიის ზოგიერთ ქვეყნებში—1913 წლის სპეციალური შეთანხმების მსგავსად (1913 წელს საფრანგეთისა და ინგლისის გენერალურმა შტაბებმა დასდეს საიდუმლო შეთანხმება სამხედრო ატაშეებისა და სამხედრო-საზღვაო საინფორმაციო ორგანოების ერთად მუშაობის შესახებ გერმანიის იმპერიის წინააღმდეგ). ეს შეთანხმება ვრცელდებოდა მხოლოდ შეერთებულ შტატებზე, რომელთანაც ინგლისელებმა შემდეგში დასდეს ასეთივე შეთანხმება. ამასთან, ინგლისის მოთხოვნით, ზემო აღნიშნული შეთანხმება გავრცელებულ იქნა საბჭოთა კავშირზედაც იმ მიზნით, რომ დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო ორგანოებმა საბჭოთა კავშირში შესძლონ დაეყრდნონ საფრანგეთის ასეთსავე ორგანოების მუშაობას.

აღნიშნულ შეთანხმებათა საერთო მასშტაბი,—დასძენს დასასრულ „კრასნაია ზვეზდა“,— იმდენად დიდია, რომ ევროპის პრესის ზოგიერთი ლიბერალური ორგანო აღნიშნავს, რომ ამ შეთანხმებით ფაქტიურად ფრანგები გადაიქცნენ ინგლისის ხმელეთის ჯარისკაცებად, ხოლო ინგლისელები — საფრანგეთის მეზღვაურებად“. (ადს).

ვის წინააღმდეგაა მიმართული შეთანხმება

ბერლინი, 24 სექტემბერი. „კრეიც ცეიტუნგ“-ი ეხება საბჭოთა პრესის მიერ გამომჟღავნებულ ცნობებს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ და სწერს:

„თუ საბჭოთა პრესის სენსაციური ცნობები ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების ხასიათის შესახებ სინამდვილეს შეეფერებიან, მაშინ, სჩანს, საფუძვლიანი ყოფილა ჩვენი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ შეთანხმებით გათვალისწინებულია ინგლისისა და საფრანგეთის თანამშრომლობა ეგრედწოდებული დიდი პოლიტიკის თითქმის ყველა დარგში. ამასთან, შეთანხმება მიმართულია არა მარტო შეერთებული შტატების, არამედ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წინააღმდეგაც. ინგლისის ავიაციის მინისტრის მონაწილეობა საფრანგეთის საჰაერო მანევრებში ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ცნობა საჰაერო შეთანხმების შესახებ სინამდვილეს შეეფერება. შეიძლება საბჭოთა პრესის ცნობებში შეთანხმების ყოველი დეტალი სწორეთ არ იყოს მოყვანილი, მაგრამ შეთანხმების ძირითადი მომენტები მაინც განისაზღვრებიან სწორედ იმ ტენდენციით, რომელიც აღნიშნულია მოსკოვის ცნობებში. **დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ლონდონი და პარიზი უარჰყოფენ ამ ცნობებს, მაგრამ ვინ დაუჯერებს მათ?“** (ადს).

ფრანგი იმპერიალისტები აღელვებულნი არიან

პარიზი, 24 სექტემბერი. საფრანგეთის პრესა ძალიან ცდილობს შეინარჩუნოს სიმშვიდე, სხვების დასანახად მაინც, მაგრამ ვერ მალავს თავის აღშფოთებას, რომელიც გამოიწვია საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივნის ბერტელოსა ინსტრუქციის ტექსტის გამოქვეყნებამ (წერილები საფრანგეთის ელჩებს ვაშინგტონში, ტოკიოში და რომში ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას შესახებ).

გამოქვეყნდა ოფიციოზური ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრმა დაიწყო გამოძიება იმის გამოსარკვევად თუ „რა გზით მოხვდა აღნიშნული დოკუმენტი ამერიკის გაზეთებში. „იუმანიტე“ იუწყება, რომ „ნიუ-იორკ-ამერიკენ“-ს წინადადებას მისცემენ განმარტოს, საიდან მიიღო მან ეს დოკუმენტი, ხოლო თუ გაზეთის განმარტება დამაკმაყოფილებლად არ იქნება მიჩნეული, კორესპონდენტი იძულებული გახდება დასტოვოს საფრანგეთი: „იუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გამოქვეყნებული დოკუმენტი მოასწავებს ომის მომზადების პოლიტიკას საფრანგეთის იმპერიალიზმის მხრივ. შემდეგ გაზეთი სწერს:

„იმ დროს, როცა ბრიანმა ჟენევაში შეთანხმების შეხედულებათა დაახლოვება უწოდა ბერტოლომ ინსტრუქციაში აშკარად ხაზი გაუსვა შეთანხმების სამხედრო ხასიათს. ტეხნიკური შეთანხმება, ეჭვს გარეშეა, დაკავშირებულია საიდუმლო სამხედრო პოლიტიკურ კავშირთან. შეთანხმების გამომუშავებაში მონაწილეობა მიიღეს სოციალისტებმა, კერძოდ —პოლ ბონკურმა. ერთი თვის წინად ბრიუსელის კონგრესზე მეორე ინტერნაციონალის ბელადები გვაბრალებდნენ ჩვენ ომის მომზადებას იმის გამო, რომ კომინტერნის კონგრესზე ჩვენ გავაფრთხილეთ მუშები ომის საკითხის გამო. ამის შემდეგ სოციალისტების ლიდერები გამოიტანეს დადგენილება ჯავშნოსანის აგების შესახებ გერმანიაში ამ ჯავშნოსანის ანტისაბჭოთა დანიშნულებას „ფორვერტს“-ი არც მალავდა, შემდეგ სოციალისტებმა, რომელნიც პირველ დაემხვენ კელოგის პაქტის წინაშე, მონაწილეობა მიიღეს საზღვაო შეთანხმების დადებაში, იმ შეთანხმების დადებაში რომელიც ნამდვილად გულისხმობს ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობას საბჭოთა კავშირისა. და კოლონიალური ქვეყნების წინააღმდეგ და რომლის ნამდვილ ხასიათს არც ბერტელო მალავს“.

გაზეთი მოუწოდებს სოციალისტ მუშებს. ან შეუერთდნენ სოციალისტურ ლიდერებს და აწარმოონ მათთან ერთად პოლიტიკა იმპერიალიზმისა, კოლონიალური ჩაგვრისა და ომის მომზადებისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ან შემოგვიერთდნენ ჩვენ და შექმნან მთლიანი ფრონტი კლასის ბრძოლაში კლასის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. (ადს).

კეშენდენ'ს მოხსენება

ერთა ლიგის პლენუმის შესახებ

ლონდონი, 24 სექტემბერი. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე კეშენდენმა გააკეთა მოხსენება ერთა ლიგის პლენუმის და ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის თათბირის შედეგების შესახებ, აგრეთვე რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხის შემდგომ განვითარებაზე და რეპარაციებზე.

სხდომაზე საზღვაო განიარაღების საკითხთან დაკავშირებით ირჩეოდა საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების საკითხი (ადს).

ინგლისის გეგმები

ბერლინი, 24 სექტემბერი. „ლოკალ ანცეიგერ“-ში მოთავსებულია შვეციის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა. გაზეთის სიტყვით მარტო თავაზიანობად არ უნდა ჩავთვალოთ ის ვიზიტები, რომელიც ამას წინად ბალტიის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა შვეციას გაუკეთეს. ამ საქმეში ინგლისის ხელი მოქმედებს.

„თუ ინგლისი მოახერხებს შვეციის ჩათრევას ანტისაბჭოთა ფრონტში,—სწერს გაზეთი, —მაშინ გარემოცვის სალტე შავსა და ბალტიის ზღვებს შუა შეიკვრება“ (ადს).

კომპარტიის გამარჯვება

პარიზი, 24 სექტემბერი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, გენტის ოლქში სენატორების დამატებით არჩევნებში კომპარტიის სიამ შეაგროვა 10,324 ხმა, მაშინ როდესაც ამავე ოლქში 1925 წელს კომპარტიამ 1.084 ხმა შეჰკრიბა (ადს).

იაპონია-საბჭოთა ვაჭრობის პერსპექტივები

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში ამხ. ანიკეევმა სამეურნეო კრებაზე გააკეთა საინფორმაციო მოხსენება იაპონია-საბჭოთა ვაჭრობის პერსპექტივების შესახებ. ამხ. ანიკეევმა მოკლედ დაახასიათა იაპონიის მრეწველობისა და ვაჭრობის ეხლანდელი მდგომარეობა. შეეხო რა იაპონიასთან ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის პერსპექტივებს, ამხ. ანიკეევმა ხაზი გაუსვა ზოგიერთი სამეურნეო წრეების შემცდარ შეხედულებას. ეს წრეები ფიქრობენ, რომ ჩვენი სავაჭრო შესაძლებლობანი განისაზღვრულია. სავაჭრო წარმომადგენლობის მუშაობის გამოცდილება უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გვიჩვენებს, რომ ჩვენი შესაძლებლობანი იაპონიაში ექსპორტის მხრივ განუსაზღვრელია. საკმაოდ ხელსაყრელი პირობები არსებობენ აგრეთვე საიმპორტო ოპერაციების განსავითარებლად იაპონიასთან. კერძოდ, იაპონიამ უკანასკნელ ხანებში დიდ წარმატებებს მიაღწია ხე-ტყის დამუშავებისა და ელექტრო-ტეხნიკური მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობათა დამზადების დარგში. იაპონიაში შეიძლება შე[illegible] ბის საქმე იაპონიაში კარგ ნიადაგზეა დაყენებული. ეს ამოცანა მით უფრო ადვილდება, რომ იაპონიის დიდი ფირმები შედარებით დიდ კრედიტებს გვაძლევენ. მიმდინარე წლის ჩვენს იმპორტს, რომელმაც 8 მილიონამდე მიაღწია, ფინანსებს უმთავრესად აწვდიან (80 პროცენტით) იაპონური ფირმები.

დასასრულ ამხ. ანიკეევმა აღნიშნა, რომ ჩვენი ექსპორტის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმ კაპიტალურ თანხებზე, რომელსაც დავაბანდებთ შორეული აღმოსავლეთის მეურნეობის სათანადო დარგებში (ადს).

პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე

კოვნო, 24 სექტემბერი. ლიტვის ოფიციოზი „ლეტუვოს აიდას“-ი იუწყება, რომ ამ დღეებში პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე შემჩნეულ იქნა პოლონეთის ჯარისკაცთა გაძლიერებული მოძრაობა.

ოფიციოზის სიტყვით, 23 სექტემბერს ლიტვის ჯარისკაცს როდესაც ის თვალყურის სადევნებლად ავიდა მაღალ ადგილზე (რომელიც სადემარკაციო ხაზიდან 400 მეტრის მანძილზე იმყოფება) პოლონეთის მხრიდან სროლა აუტეხეს (ადს).

გერმანია-პოლონეთი

ვერ შეთანხმდენ

ბერლინი, 24 სექტემბერი. გერმანიის პრესას პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკების კომისიის გერმანელთა დელეგაციის თავმჯდომარის ჰერმესის წამოსვლა ვარშავიდან მიაჩნია იმის ნიშნად, რომ ვარშავაში შეთანხმება ვერ მოხერხდა სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხში (ადს).

რუმინელ რევოლიუციონერთა პროცესი

ვენა, 24 სექტემბერი. მეოთხე დღე რუმინეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა პროცესისა მოუნდა ბრალდებულთა დაკითხვას. დაკითხვა ძალიან ნელა მიმდინარეობს, რადგან ბრალდებულთა უმრავლესობამ არ იცის რუმინული ენა. თავმჯდომარემ გინებით მოიხსენია ბრალდებულები, რომელთაც რუმინული არ ესმით. დამცველნი არა ერთხელ აცხადებენ პროტესტს იმის გამო, რომ ჩვენება სწორედ არ ითარგმნება. ბრალდებულთა უმეტესობა უარს აცხადებს საგამომძიებლო ჩვენებაზე და ამბობს, რომ ეს ჩვენება ძალდატანების გზით არის მიღებული. (ადს).

საფრანგეთის ფეიქართა

გაფიცვა ფართოვდება

პარიზი, 24 სექტემბერი. ჩრდილოეთ საფრანგეთში ფეიქართა გაფიცვა, რომელიც ალუენში დაიწყო და მეზობელ რაიონებს მოედო, თანდათან ფართოვდება. გაფიცვას მიემხრნენ არმანტიერის, ჰულინისა და ლილის მიდამოების ფეიქრები. გაფიცულთა რიცხვი 25.000 კაცს აღწევს. მრავალი ათასი გაფიცული ინტერნაციონალის მღერით და მხურვალე ოვაციებით შეხვდა უნიტარული კავშირების წარმომადგენელთა გამოსვლას.

როგორც „ჰუმანიტე“ იუწყება, ჟანდარმები ცდილობდნენ დემონსტრანტების გაფანტვას, მაგრამ გაფიცულებმა უკუაგდეს ისინი. (ადს).

დოკერების გაფიცვა

პარიზი, 24 სექტემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბორდოში გაიფიცა თითქმის ყველა დოკერი. ინციდენტები არ მომხდარა. (ადს).

ხანძარი კონსტანცში

ვენა, 24 სექტემბერი. ბუქარესტიდან იუწყებიან: კონსტანცში ნავთს ცეცხლი გაუჩნდა. ნავთს ცეცხლი მოედო ახლოს არხებში და გადავიდა ესპანეთის გემზე. გემი გადაარჩინეს. ზარალი 10 მილიონ ლეის უდრის (ლეი—ერთი კაპეიკია).

სხვადასხვა

მემაღაროეთა გაფიცვა. ბატავიიდან მიღებული ცნობით, კუნძულ ბილიტონზე, ინდონეზიაში, ჰოლანდიის მთავრობის მაღაროების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. პოლიციასთან შეტაკების დროს მოჰკლეს ერთი გაფიცული, მძიმედ დასჭრეს შვიდი. ბილიტონზე კატაკრიდან გაგზავნეს პოლიციის ახალი რაზმები.

— **სამეგობრო ხელშეკრულება იტალიასა და საბერძნეთს შორის.** სტეფანის სააგენტო იუწყება, რომ ვენიზელოსმა და მუსოლინიმ ხელი მოაწერეს სამეგობრო ხელშეკრულებას იტალიასა და საბერძნეთს შორის.

— **ალბანეთის ცნობა ბულგარეთის მიერ.** ბულგარეთის მთავრობამ დაადგინა, იცნოს ალბანეთის რეჟიმის შეცვლა.

— **მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი ვენაში.** ვენაში ჩავიდა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც რკინის გზის სადგურზე შეხვდნენ ავსტრიის მუშების ფეხბურთელთა კავშირის წარმომადგენელნი და მრავალი მუშა სპორტსმენი.

დაწვრილებითი ცნობები მადრიდის თეატრის დაწვის შესახებ

მადრიდიდან იტყობინებიან დაწვრილებით ცნობებს კატასტროფის შესახებ. როდესაც ცეცხლმოკიდებული თეატრის სახურავი ჩაინგრა, თეატრში კიდევ ბევრი ხალხი იყო. მოსამსახურეთა უმრავლესობამ თავს უშველა სცენიდან გასასვლელი კარით. ჯერ ჯერობით ნანგრევებიდან ამოღებულია 60 გვამი. ფიქრობენ, რომ ნანგრევებში ასზე მეტი კაცია დამარხული (ადს).

მენშევიკები სალაყბოდ იკრიბებიან

ბერლინი, 24 სექტემბერი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის სამდივნომ წინადადებით მიმართა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობას—ნოემბერში პარიზში მოწვეულ იქნას კონფერენცია გერმანიის, საფრანგეთის ინგლისის, და ბელგიის სოციალ-დემოკრატებისა, იმ საერთაშორისო მდგომარეობის განსახილველად, რომელიც ჟენევის მოლაპარაკების შემდეგ შეიქნა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობამ თანხმობა განაცხადა (ადს).

ინგლისის იმპერიალისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა

ინდოეთის საკანონმდებლო კრებამ უარჰყო კანონპროექტი კომუნისტების გაძევების შესახებ

ლონდონი, 24 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო სიმლიდან იუწყება: (ინდოეთი).

„საკანონმდებლო კრებამ უარჰყო მთავრობის კანონპროექტი კომუნისტური აგენტების გაძევების შესახებ. ხმები გაიყო და თავმჯდომარემ თავისი ხმით საკითხი უარყოფითად გადასწყვიტა თავისი მოქმედება თავმჯდომარემ დაასაბუთა იმით, რომ საგანგებო კანონის მიღებისათვის საჭიროა უმრავლესობა“ (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან-კაი-შიმ დავთრები აურია

შანხაი, 24 სექტემბერი. ნანკინის მთავრობის ოფიციალური სააგენტო კომენტარიებს უკეთებს მომავალ ცვლილებებს და ამბობს: ჩან-კაი-შის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ (ჩან-კაი-შიმ უარი განაცხადა ადმინისტრატიულ საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე) „ყველა პოლიტიკურ წინასწარმეტყველებს დავთრები აურია“. სააგენტო იუწყება, რომ ჩან-კაი-ში უმჯობესად სცნობს მთელი თავისი ძალ-ღონე მოანდომოს ეროვნული მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობათა ასრულებას. ადმინისტრატიულ საბჭოს თავმჯდომარედ უნდა დაინიშნოს ტან ენ-კაი, რომელიც ამჟამად ასრულებს ეროვნული მთავრობის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას. (ადს).

კომუნისტების დასჯა კანტონში

შანხაი, 24 სექტემბერი. ტაჰუნის სააგენტოს ცნობით, კანტონის ხელისუფლება ულმობელად სჯის კომუნისტებს იმის გამო, რომ პროვინციაში გაცხოველდა კომუნისტების მუშაობა. ყველა კომუნისტი, რომელსაც მუდმივი პატიმრობა აქვს მისჯილი, დახვრეტილი იქნება.

9 სექტემბერს 18 კომუნისტი დახვრიტეს (ადს).

ჩინეთი ადგილს მოითხოვს ერთა ლიგაში

შანხაი, 24 სექტემბერი. ნანკინის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრმა ვან ჩჟენ-ტინმა უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აღნიშნა, რომ ჩინეთი უკვე 10 წლის წინად მოითხოვდა მუდმივი ადგილს ლიგის საბჭოში.

„ეს მოთხოვნა,—სთქვა ვან ჩჟენ-ტინმა, —ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ ევროპის გავლენა ერთა ლიგაში არ შეესაბამება ევროპის ტერიტორიის მოსახლეობის რაოდენობას. ქვეყნიერების უდიდეს ნაწილს—აზიას, რომელიც გაცილებით უფრო მეტს მოსახლეობას შეიცავს, ვიდრე ევროპა, საბჭოში მხოლოდ ერთი ადგილი აქვს, ისიც იაპონიის განკარგულებაშია, ევროპას კი ლიგის საბჭოში ოთხი მუდმივი ადგილი აქვს. ჩინეთისათვის დროებით ადგილსაც არ იმეტებენ.

ვან ჩჟენ-ტინმა არაფერი უპასუხა შემდეგ შეკითხვაზე: გამოვა თუ არა ჩინეთი ლიგის წევრთა შემადგენლობიდან? მაგრამ მან აღიარა, რომ საზღვარგარეთელი ჩინელები ურჩევენ მთავრობას გამოვიდეს ერთა ლიგიდან. ნანკინის მთავრობა არკვევს ამ საკითხს. ჩინური გაზეთების ცნობით, ნანკინის მთავრობამ დაადგინა: მოითხოვოს მუდმივი ადგილი ლიგის საბჭოშ. (ადს).

ბრძოლა პოლონეთის „სოციალისტურ“ პარტიაში

ვარშავა, 24 სექტემბერი. ვარშავის პოლიტიკურ წრეებში დიდ ყურადღებას აქცევენ იმ ბრძოლას პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში, რომელიც უკვე გასცდა პარტიის ჩარჩოებს. ვარშავის კომიტეტის წევრთა ჯგუფმა ჩაშალა მოხსენება პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ჟულავსკისა მელითონეთა კავშირში. მეორე კრებაზე პილსუდსკის მომხრეთა ხელმძღვანელი პარტიაში გამოვიდა მკაცრი მოხსენებით პარტიის ც. კ.-ის წინააღმდეგ. იგი გათიშვით ემუქრებოდა ც. კ.-ს. ამავე დროს გამოვიდა ბროშიურა პ. ს. პარტიის წევრის ცნობილი პუბლიცისტის მინკევიჩის, რომელიც მეტად სასტიკად ილაშქრებს ვარშავის კომიტეტის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. მინკევიჩი მოჰყავს სხვადასხვა ფაქტებს, აბრალებს ვარშავის კომიტეტის წევრებს ქურდობას, ბოროტმოქმედებას ფულის საქმეში, მექრთამეობას და ლოთობას. სხვათა შორის, მინკევიჩი პირდაპირ აცხადებს, რომ ამას წინად გარდაცვალებული და დიდის პატივით დასაფლავებული პ. ს. პარტიის რაზმელი მატოს ლიუბელსკი სარისკიპო სახლის პატრონი იყო. აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხელ ახლა ჩამოვარდა ლაპარაკი კაბინეტის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის შესახებ. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო, უარჰყოფს რა კაბინეტის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას, რეპრესიებით ემუქრება უცხოელ ჟურნალისტებს, თუ ისინი ცრუ ინფორმაციას გადასცემენ პოლონეთის შესახებ. (ადს).

მუშათა მოძრაობის მემარცხ. ფრთის კონფერენცია

ლონდონი, 24 სექტემბერი. შესდგა ყოველწლიური კონფერენცია ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთისა. აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიში კონფერენციამ ერთხმად მიიღო. რეზოლიუცია, რომელიც მიღებულ იქნა მუშათა პარტიის საგარეო პოლიტიკის შესახებ, პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ ერთა ლიგას მხარი დაეჭიროს, და მოითხოვს: უარყოფას იმპერიალისტების დიპლომატიის მეთოდებისა, რომლებსაც ომი მოსდევს, დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას საბ. კავშირთან და მხარის დაჭერას განიარაღების საბჭ. პროექტებისათვის. შემდეგ რეზოლიუცია მოითხოვს ჯარის გაყვანას ეგვიპტიდან, ჩინეთიდან და ინდოეთიდან. კონფერენციამ მიიღო დეკლარაციის ტექსტი მარცხენა ფრთის საარჩევნო პოლიტიკის შესახებ. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ მუშათა პარტიის საარჩევნო პლატფორმა მთლიანად ემყარება კაპიტალისტური პოლიტიკის მხარის დაჭერას. მუშათა პარტ. მემარც. ფრთამ უნდა ამხილოს მუშათა პარტიის რეაქციონური კანდიდატურები და საპარლამენტო არჩევნების დროს მხარი დაუჭიროს მემარცხენე კანდიდატებს, კერძოთ —კომპარტიის კანდიდატებს.

რეფორმისტების შურისძიება

კომიტეტის დაშლა პირველი მაისის დღესასწაულისათვის

ბერლინი, 24 სექტემბერი. გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების დიუსელდორფის რეფორმისტული კავშირის კომიტეტმა დაადგინა, დაშალოს გაერთიანების ადგილობრივი კომიტეტი ჰილდენში იმის გამო, რომ მან კომპარტიასთან ერთად პირველი მაისის დღესასწაული მოაწყო და აგრეთვე იმიტომ, რომ მხარი დაუჭირა საყოველთაო კენჭის ყრას ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ. (ადს.)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ვარშავის პოლიტიკური სენსაცია

მოსკოვი, 25 სექტემბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს კორესპონდენტი ვარშავიდან ბრატინი გადმოგვცემს.

სადღეისო პოლიტიკურ სენსაციას ვარშავაში წარმოადგენს ის შინაური ბრძოლა, რომელიც სწარმოებს პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში. უთანხმოებას ადგილი აქვს პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის, რომელნიც ცეკაში უმრავლესობას წარმოადგენენ და პილსუდსკის მომხრეებს შორის (უმცირესობა).

უმრავლესობა აუცილებლად სცნობს ოპოზიციაში ჩაუდგეს მთავრობას. უმცირესობა კი, რომელსაც მეთაურობს იავოროვსკი და რომელსაც მხარს უჭერს დაშინსკი მოითხოვს, რათა პოლონეთის სოციალისტურ პარტიამ ითანამშრომლოს მთავრობასთან.

ხმები ცვლილებების შესახებ პოლონეთის მთავრობაში

მოსკოვი, 25 სექტ. გაზ. „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი იტყობინება შემდეგს:

ვარშავის პოლიტიკურ წრეებში გავრცელდა ხმები მოსალოდნელ დიდ ცვლილებების შესახებ პოლონეთის მთავრობაში. ფიქრობენ, რომ გადადგება პრემიერი ბარტელი, მინისტრები მეიშტოვიჩი და ზალესკი. ბარტელის მოადგილედ ასახელებენ სვიტალსკის, ზალესკის პოსტს—გარეშე საქმეთა მინისტრი—დაიჭერს კნოლი.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს ამ ხმებს. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ წრეებში ეს უარყოფა არ სჯერათ.

საკონცესიო მუშაობა საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საბჭოთა მთავრობის მიერ საკონცესიო მუშაობის გაძლიერების შესახებ ახლად გამოცემულ დეკრეტის გამო ცნობილ კონცესიის „ლენა გოლდფილდი“-ს უცხოელ დირექტორებმა განაცხადეს შემდეგი:

მთავრობის გადაწყვეტილება საკონცესიო პოლიტიკის აქტივიზაციის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის ბუნებრივი სიმდიდრენი დიდ ინტერესს იწვევენ უცხოეთში. „ლენა გოლდფილდის“ სამი წლის მუშაობის მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ საკონცესიო კაპიტალს საბჭოთა კავშირში ნორმალურ პირობებს უქმნიან მუშაობისათვის. აქ არის ყველა პირობები იმისათვის, რომ საკონცესიო მუშაობა წარმატებით განვითარდეს.

დისპუტი მეიერხოლდის თეატრის შესახებ

მოსკოვი, 25 სექტემბერი. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის სახლში გაიმართა საჯარო დისპუტი შემდეგ საკითხების გარშემო: სარეპერტუარო კრიზისი, მეიერხოლდი და ჩეხოვი.

დისპუტმა დიდძალი ხალხი მიიზიდა. მომხსენებლად გამოვიდა ამხ. პიკელი, რომელმაც კატეგორიულად უარყო ის აზრი, თითქოს საბჭოთა კავშირში დღეს ადგილი აქვს სარეპერტუარო კრიზისს. მისი აზრით ჩვენში არის არა რეპერტუარის, არამედ სცენის ოსტატების კრიზისი. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელი შეეხო ცნობილ მსახიობების და რეჟისორების მეიერხოლდისა და ჩეხოვის უცხოეთში გამგზავრების ფაქტს და მათ დღევანდელ პოზიციას სასცენო ხელოვნებაში.

კამათში, რომელმაც ცხოველი ხასიათი მიიღო, ბევრი დამსწრეთაგანი გამოვიდა. ორატორების უმრავლესობა არ დაეთანხმა მომხსენებლის ძირითად აზრს იმის შესახებ, თითქო ჩვენში არ არის სარეპერტუარო კრიზისი. მეიერხოლდის თეატრი წარმოადგენს ახალი, საბჭოთა თეატრის ძიებას. ამიტომ მრავალი ორატორის აზრით ამ თეატრმა უნდა განაგრძოს არსებობა.

ღამის ცნობები

ანტისაბჭოთა ბლოკი

ბერლინი, 24 სექტემბერი. ესტონეთის პრეზიდენტისა და ფინეთის პრეზიდენტის სტოკჰოლმში გამგზავრების გამო და შვეციაში ლატვიის სამხედრო გემების ვიზიტის გამო, გაზეთ „ტაგ“-ის სტოკჰოლმელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ ანტისაბჭოთა ბლოკის ცენტრი თანდათან ვარშავიდან სტოკჰოლმში გადადის და რომ ამ გარემოებამ ხელი უნდა შეუწყოს ანტისაბჭოთა ბლოკში უკანასკნელი რგოლის, რომელიც დღემდე აკლდა, სახელდობრ—ლატვიის ჩაბმას. „მაშინ, სწერს შემდეგ კორესპონდენტი, ინგლისის მიზანი მიღწეული იქნება. ამ ბლოკის ხაზი თანდათან უფრო ცხადი ხდება“ (ადს).

იაპონიის პრესა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შესახებ

ტოკიო, 25 სექტემბერი. მთელმა პრესამ გამოაქვეყნა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების შინაარსი, რომელიც გამოაამჟღავნა „კრასნაია ზვეზდა“-მ გაზეთ „ნიჩი ნიჩი“ აცხადებს, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ გამოაამჟღავნა ინგლისის დიპლომატიის სრული გაკოტრება, რადგანაც საბაბს აძლევს ამერიკის მილიტარისტებს გააძლიერონ საზღვაო შეიარაღებაა (ადს).

ბონკურის რეზოლიუციის კრიტიკა

ბერლინი, 24 სექტემბერი. ყველა გაზეთები კრიტიკას უკეთებენ ბონკურის რეზოლიუციას (განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევის საკითხის შესახებ), ყველაზე უფრო ლმობიერად უკეთებს კრიტიკას „ფორვერტს“-ი (ადს).

მთავრობის უმრავლესობის შექმნა პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 25 სექტემბერი. პრესა ეხება სეიმის თავმჯდომარის პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრის დაშინსკის კამპანიას სეიმში მუდმივი უმრავლესობის შექმნის შესახებ. დაშინსკის უკანასკნელი გამოსვლა მოწმობს, რომ ის საბოლოოდ მიემხრო პილსუდსკის ბანაკს და პილსუდსკის მომხრეთა პოლიტიკას ატარებს, ერთერთი გაზეთი იუწყება, რომ განსაკუთრებული ცდა დაშინსკისა სეიმში მთავრობის უმრავლესობის შესაქმნელად, შემდეგია დუშინსკის საუბრისა ბარტელთან. დუშინსკის უთხრეს, რომ, თუ სეიმში არ აღმოჩნდება უმრავლესობა იმ ზომების გასატარებლად, რომლებიც მთავრობას საყურადღებოდ მიაჩნია, სეიმი დათხოვნილი იქნება. (ადს).

„ჩიკაგო დეილი ნიუსის“ პროვოკაციის გაბათილება

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. გაზეთი „ნიუ იორკ ჰერალდ ტრიბიუნ“-ი აქვეყნებს ცნობას ბუენოს-აირესიდან (არგენტინა), რომელიც აბათილებს „ჩიკაგო დეილი ნიუს“-ის ბუენოს-აირესელი კორესპონდენტის ჯონ უაიტის პროვოკაციულ ცნობას „საბჭოთა გავლენის შესახებ“ არგენტინაში ნავთის სახელმწიფო მონოპოლიის შემოღების საკითხში. ჯონ უაიტი სწერდა ,თითქოს არგენტინაში კანონი ნავთის სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ მიღებულ იქნა, საბჭოთა აგენტების თხოვნით, რომელთაც სურთ არგენტინიდან ამერიკისა და ინგლისის ნავთის მრეწველთა განდევნა, რომ იქ საბჭოთა ნავთი გაჰყიდონ“ (ადს).

ანილინის ტრესტის კომისია ამერიკაში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. ჩამოვიდა საბჭოთა კომისია ამხ. ბოროდოვსკისა, კონზუროვსკისა მოსკვილინისა და ბონვინის შემადგენლობით. კომისია ანილინის ტრესტის წარმომადგენელია და ჩამოვიდა ამერიკაში ანილინის მრეწველობის შესასწავლად (ადს).

ეგვიპტის პრემიერის გარდაცვალება

პარიზი, 24 სექტემბერი. გარდაიცვალა ეგვიპტის ყოფილი პრემიერი სარვატ-ფაშა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება იმის გამო, რომ ეგვიპტის პარლამენტმა არ მიიღო ინგლისის პროექტი ინგლის-ეგვიპტის შეთანხმების შესახებ (ადს).

ცნობა „კრასინ“-იდან

ყინულის მჭრელი „კრასინ“-ი, 25 სექტემბერი. ვუახლოვდებით ნორვეგიის ნაპირებს. მალე შევალთ შხერებში ნორდკაპის მახლობლად. ძლიერი ქარია. მივდივართ 12 კვანძის სიჩქარით, მივემართებით ლენინგრადისაკენ.

ვენახების გაშენება კიევის მახლობლად

კიევი, 25 სექტემბერი. კიევთან, პუშჩავოდიცას ახლოს ერთერთმა ძველმა მევენახემ—აბრამოვმა მრავალი წლის შრომით მიაღწია დიდ შედეგს სადესერტო, ყურძნის იშვიათი ჯიშის მიღების საქმეში. აბრამოვს ყურძნის დიდი მოსავალი მოუვიდა. კიევის კომუნალურ მეურნეობასთან ხელშეკრულებით აბრამოვმა იკისრა განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში გააშენოს ვენახი რამდენიმე ათეული დესიატინა მიწაზე (ადს).

გადასვლა ექვსი საათის სამუშაო დღეზე

ჰიზელი, 25 სექტემბერი. ლენინის, ვოლოდარსკის, კრუპსკაიასი, ფრუნზეს და მარინსკის სახელობის მაღაროები გადავიდნენ ექვსი საათის სამუშაო დღეზე (ადს).

—:—

აკადემიკოსი ლევინსონ-ლესინგი თბილისში

გუშინ ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო სამეცნიერო აკადემიის გეოლოგიური მუზეუმის დირექტორი აკადემიკოსი ფ. ი. ლევინსონ-ლესინგი.

ავსტრიის „მუშათა თავდაცვის“ კონფერენცია

ვენა, 24 სექტემბერი. ვინერ ნეუშტადტში შესდგა ავსტრიის მუშათა თავდაცვის დამფუძნებელი კრება. მთელი ქალაქი წააგავდა სამხედრო ბანაკს, რადგან იქ მრავლად მოუყარეს თავი პოლიციას და ჟანდარმერიას მთელ ქვეყნის ავსტრიიდან. მთელი მანძილი სადგურიდან იმ სადგომამდე, სადაც კრება გაიმართა, სავსე იყო პოლიციის რაზმებით და სახანძრო ავტომობილებით, რათა ხელი შეეშალათ ყოველგვარი დემონსტრაციისა და პროცესიისათვის. კრებას დაესწრო 500 კაცი. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ავსტრიის კომუნისტური პარტიის და მუშათა თავდაცვის ორგანიზაციის მდივანმა შმიდტმა, სოციალ-დემოკრატმა ზარკაშმა და წითელ ფრონტელთა კავშირის დელეგატებმა. შემდეგ მიიღეს საპროტესტო რეზოლიუცია სოციალ-დემოკრატების იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც მოუწოდებდა მუშებს დემონსტრაცია გაემართათ 7 ოქტომბერს, იმავე დღეს, როცა დანიშნული იყო ფაშისტების დემონსტრაცია, რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს, სულ არ დაუშვან ფაშისტების დემონსტრაცია და გასწმინდონ მათგან ვინერ ნაუშტადტი. (ადს).

ფაშისტების წინააღმდეგ

ვენა, 24 სექტემბერი. „როტე ფანე“ აქვეყნებს მუშათა თავდაცვის ვენის ორგანიზაციის მოწოდებას. ეს ორგანიზაცია წარმოიშვა ავსტრიაში წითელ ფრონტელთა კავშირის აკრძალვის შემდეგ. ორგანიზაცია მოუწოდებს ავსტრიის პროლეტარიატს შევიდეს ახალ ორგანიზაციაში რეაქციასთან, ფაშისტურ საშიშროებასთან და ახალი ომის საფრთხესთან საბრძოლველად. (ადს).

მემარცხენე პროფკავშირების დევნა ლატვიაში

რიგა, 24 სექტემბერი. ლიბავის საოლქო სასამართლომ გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ დაიხუროს კურლიანდიის ცენტრალური ბიურო (მემარცხენეთა) და მასში შემავალი ექვსი პროფკავშირი, აგრეთვე ლატვიის პიონერთა ორგანიზაცია (ადს).

ამერიკის ფეიქართა მემარც. ფრთის კონფერენცია

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. ფეიქართა მემარცხენე ფრთის კონფერენციამ, რომელიც ნიუ-იორკში მოიწვია რევოლიუციონურ ფეიქართა კომიტეტმა, დაადგინა, შექმნას მთლიანი პროფესიონალური კავშირი, რომელსაც დაერქვა „საფეიქრო მრეწველობის მუშათა ნაციონალური კავშირი“.

კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ჯიმ რეიდი, მდივნად ალბერტ ვეისბორდი.

კონფერენციაზე წარმოდგენილია 18.000-ზე მეტი შეკავშირებული ფეიქარი ისეთი წარმოებებიდან, რომლებშიაც კიდევ მუშაობს 130.000 შეუკავშირებელი ფეიქარი.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც კატეგორიულ პროტესტს აცხადებს მრეწველობის მიერ ხელფასის შემცირების წინააღმდეგ, მოითხოვს თანაბარ ხელფასს თანაბარი მუშაობისათვის და ზედმეტ საათებისა და სათანადო მუშაობის შეწყვეტას (ადს).

პურის დამზადების საქმე

მოსკოვი, 25 სექტემბერი. სექტემბრის მეოთხე ხუთდღეულში „სოიუზხლებ“-მა (კოოპერაციის მონაწილეობით მთელს საბჭოთა კავშირში დაამზადა პურეული, ფურაჟი და ზეთის მარცვლეული 148.400 ტონი, რაც, წინა ხუთდღეულთან შედარებით, მომატება 10,8 პროც. უდრის.

ამ რაოდენობიდან უშუალოდ „სოიუზხლებ“-ის აპარატის მიერ დამზადებულ იქნა 89.810 ტონი, რაც იძლევა „სოიუზხლებ“-ის საკუთარი დამზადების ზრდას 6,10 პროცენტით (ადს).

მოსკოვი, 25 სექტემბერი. „ცენტროსოიუზ“-მა სექტემბრის მეოთხე ხუთდღეულში დაამზადა 62.968 ტონი პურის პროდუქტი (მესამე ხუთდღეულში დამზადებული იყო 42.369 ტონი), რაც იძლევა დამზადებათა მატებას 49 პროცენტით. დამზადების გაძლიერება შემჩნეულია ყველა მთავარ რაიონში. სექტემბრის 20 დღის განმავლობაში დამზადებულია 160.745 ტონი პურის პროდუქტი. კამპანიის დასაწყისიდან 21 სექტემბრამდე დამზადებულია 268.049 ტონი (ადს).

რა ხდებოდა საქართველოს სახალხო მამულების ტრესტის მოსკოვის განყოფილებაში

მოსკოვი, 25 სექტემბერი. „რაბოჩაია გაზეტა“-ში დაბეჭდილია წერილი იმ უმსგავსობების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სახალხო მამულების ტრესტის მოსკოვის განყოფილებაში. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ტრესტის მოსკოვის განყოფილებამ მოკლე დროში მეტად ცუდი სახელი მოიხვეჭა. მმართველ ბაკურაძის მიერ მიღებული სპეციალისტები აფერისტები აღმოჩნდნენ. ერთმა მათგანმა პიპკომ გაფლანგა სახაზინო ფული, რომლის დაბრუნება მისგან ჯერაც ვერ მოხერხდა. სპეციალისტები მეტად დიდ ჯამაგირებს იღებდნენ. მათ სრულიად უკანონოდ ეძლეოდათ სპეცგანაკვეთი და ავანსები. თვითეულ მათგანს რამდენიმე ათასი მანეთი მართებს განყოფილებისა. აღმაშფოთებლად იყო დაყენებული მივლინებების საქმე.

საქმის ასე დაყენებამ კატასტროფიულ მდგომარეობამდე მიიყვანა წარმოება, საქმე იქამდე მივიდა, რომ ბაკურაძემ წინადადება მისცა არყის ქარხნის მუშებს, რომ ქარხანა არ შეჩერდეს, ხუთ-ხუთი მანეთი შეაგროვეთ შემოსახვევი მასალის შესაძენად.

წითელი პრესნის რაიონის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, რომელმაც გამოიკვლია ტრესტის განყოფილება, წინადადება მისცა ტრესტის გამგეობას, სამუშაოდან მოხსნას განყოფილების ყოფილი მმართველი ბაკურაძე მთავარი ბუხჰალტერი სისოევი, ბუხჰალტერი ბუდუმიანი, სავაჭრო განყოფილების გამგე ჩიჩუა და კანცელარიის უფროსი რუმიანცევი.

საქმე გადაეცა პროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად სისხლის სამართლის წესით“ (ადს).

მუშკორ რადჩენკოს საქმე

ხარკოვი, 25 სექტემბერი. 23 სექტემბერს სასამართლომ მუშკორ რადჩენკოს საქმეზე დაჰკითხა მოწმეები. მოწმეთა დაკითხვამ მთელი დღის გასტანა. საინტერესო ჩვენება მისცა მოწმე ვასისმა—ხარკოვის საოლქო მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა, რომელიც კვლევა-ძიებას აწარმოებდა რადჩენკოს შენიშვნების გამო.

„რადჩენკოს ყველა შენიშვნა, განაცხადა მოწმემ,—სავსებით სწორი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა“.

დანარჩენმა მოწმეებმა სავსებით დაადასტურეს რადჩენკოს ჩვენება. ყველა ისინი რადჩენკოს ახასიათებენ როგორც გაბედულ საზოგადო მუშაკს და ისეთ ადამიანს, რომელსაც არ ეშინოდა ადმინისტრაციასთან შეტაკებისა, როცა ამას მოითხოვდა თანამშრომლებისა და საქმის ინტერესი. სასამართლო, მოწმეთა ჩვენების მიხედვით, აშკარავებს, რომ რადჩენკოს დათხოვნა უკანონოდ მოხდა.

ბრალდებულთა დახასიათების დროს მოწმეები აღნიშნავენ მათ უხეშ მოპყრობას დაწესებულებაში. კანცელარ. გამგე ბოეკოს დაშინებული ჰყავდა მთელი დაწესებულება. მოწმე სუპრუნენკო ამბობს, რომ ბრალდებულმა ვოლკოვმა განუცხადა მას: „ეს მუშკორები ნერვებს მიშლიან“-ო. მეორე ბრალდებულმა დარაგანმა ერთხელ სთქვა: „ჩვენ რადჩენკოს შევუქმნით ისეთ პირობებს, რომ იგი თვითონ წავა სადგურიდან“-ო.

ატმოსფერა სადგურზე უკანასკნელ ხანამდე მოწამლული იყო. 1928 წელს სადგურიდან დაითხოვეს სამი მუშა, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ „მათ გაზეთში დაბეჭდეს წერილები“. ამ სამი მუშკორის დათხოვნაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა კანცელარიის გამგე ბოეკო. ფოსტა-ტელეგრ. მუშაკთა კავშირის საოლქო განყოფილებამ უკანონოდ სცნო მისი დათხოვნა. სასამართლომ დაადგინა დაურთოს საქმეს ამ საკითხზე არსებული ყველა მასალა, სასამართლოს გამოძიება დამთავრებულია. მხარეების კამათი დაიწყება 24 სექტემბერს პროკურორ რახუნოვის სიტყვით (ადს).

რედაქტორების საკავშირო თათბირი

თვითკრიტიკა და პრესა

კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 25 სექტემბერი. რედაქტორების სრულიად საკავშირო თათბირის მეორე დღეს სწარმოებდა კამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გარშემო. ეს სხდომა დამთავრდა მომხსენებლის საბოლოო სიტყვით. ყველა ორატორის მთავარ თემას შეადგენს პრესის მუშაობის დახასიათება თვითკრიტიკის დარგში, იმ საფეხურის განსაზღვრა, რომელზედაც იგი იმყოფება ეხლა და კამპანიის სიძნელენი.

კამათი დაიწყო ამხ. [illegible] (ლენინგრადის საოლქო კომიტეტი) გამოსვლით.

„თვითკრიტიკის განვითარებამ,—სთქვა მან,—თვალსაჩინოდ გამოაცოცხლა საოლქო და საგუბერნიო პრესა. მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ მასებმა პრესის კრიტიკულ მუშაობაში უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ“.

ორატორს მეორე ამოცანად მიაჩნია სამეურნეო მუშაკებთან ურთიერთობის გაუმჯობესება. ორატორი თავის სიტყვას ამთავრებს იმით, რომ აღნიშნავს თვითკრიტიკის ზედმოქმედების დიდ მნიშვნელობას. საჭიროა, რომ მუშების შენიშვნებმა და წინადადებებმა ხორცი შეისხან, დეფექტები თავიდან იქნან აცილებულნი.

მხოლოდ ასეთ პირობებში გადაიქცევა თვითკრიტიკა ნამდვილ მასიურ საქმედ.

ამხ. [illegible] (საკავშირო პროფსაბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის ბიურო) ეხება იმ დაბრკოლებებს, რომლებიც წინ ელობებიან თვითკრიტიკის განვითარებას საქარხნო კედლის გაზეთებსა და ნაბეჭდ გაზეთებში, ისე ადვილად არსად უსწორდებიან მუშკორებს, როგორც ქარხანაში. სწორედ აქ არის განსაკუთრებით საგრძნობი ის წინააღმდეგობა, რომელიც ხვდება კრიტიკულ მუშაობას. კრიტიკულ მუშაობასთან ერთად, ჩვენ უნდა ვწეროთ აგრეთვე მიღწევების შესახებ. ეს აჩვევს მუშას, რომ წარმატება დაინახოს თავის საწარმოშიც, აჩვევს შეადაროს მისი მუშაობა სხვა ქარხნების მუშაობას.

ამხ. ციპინი (ხარკოველი „პროლეტარი“) თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ თვითკრიტიკას პარტიის ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი აღმაცერად უყურებს; საკონტროლო პარტიულ ორგანოებსაც კრიტიკული მუშაობა ეპიზოდიურ კამპანიად მიაჩნიათ.

ამხ. ლოზვინოვსკის (ივანოვო-ვოზნესენსკი) აზრით, თვითკრიტიკა თანდათან ღრმად იჭრება მასებში.

„მაგრამ,—ამბობს ორატორი,—ჩვენ უკვე შეძლების საზღვარს მივადექით, ვინაიდან ეს მუშაობა ველარ გაიზრდება, თუ მრავალ ათას მუშიან საწარმოზე (ივანოვო-ვოზნესენსკის დიდი მანუფაქტურა) კედლის გაზეთი არ იქნება, ან თუ უჯრედის მდივანი მუშკორებს დათხოვნას დაემუქრება „50 პროცენტზე“ მეტი სიცრუისათვის.

ფელიქს კონი უპასუხებს ამხ. მოლოტოვს იმ საყვედურის გამო, რომელიც მან გამოსთქვა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიმართ, და ამბობს:

„ამხ. მოლოტოვი ამბობდა, რომ საკავშირო დეპეშათა სააგენტო ზოგჯერ უმნიშვნელო ამბებს გვაწვდის და პრესას არ საზრდოებს სერიოზული ეკონომიური ხასიათის ინფორმაციით. ნამდვილად კი საკავშირო დეპეშათა სააგენტო იძლეოდა საუცხოვო ეკონომიურ წერილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, გაზეთების უმრავლესობა არა ბეჭდავდა. ჩვენში თვითკრიტიკა ტენდენციურია, იგი თითქო თვითმიზანს წარმოადგენს. საჭიროა „პრავდა“-სა და საოლქო და რესპუბლიკანურ გაზეთებში ადგილობრივი გაზეთების გაკრიტიკება და, პირიქით, ადგილობრივ პრესაში ცენტრალური ორგანოების გაკრიტიკება.

ამხ. ცეხერი („მოლოტი“, დონის როსტოვი) აღნიშნავს, რომ პარტორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პრესას, რაც ძალიან აფერხებს მის მუშაობას. ორატორი აღნიშნავს კრიტიკული დამოკიდებულების სიძნელეს ცალკე პასუხისმგებელი მუშაკების მუშაობისა ან საქციელისადმი, ვინაიდან მუშათა და გლეხთა ინსპექცია მოითხოვს სათანადო ფაქტების წინასწარ გამოძიებას, ხოლო გამოსაკვლევად გაგზავნილი მასალა ორი-სამი თვე დევს. ორატორი თავის სიტყვას ამთავრებს იმით, რომ აღნიშნავს მუშური პოლიტიკის საკითხების დაყენების სისუსტეს ცენტრალურ გაზეთებში.

ამხ. კოსტროვი („კომსომოლსკაია პრავდა“) ამბობს, თათბირი ფრიად სასარგებლო გამოდგება, თუ სწორ გეზს მოგვცემს თვითკრიტიკის დარგში. რატომ დაისვა ახლა მწვავედ თვითკრიტიკის საკითხები? იმიტომ, რომ პრესა ავანგარდში სდგას, მასები ქვემოდან ცდილობენ ზეგავლენის მოხდენას, ორგანიზაციები კი ჯერ ხელს არ ანძრევენ. ამიტომ არის, რომ საერთოდ თვითკრიტიკის წინააღმდეგ მიმართული იარაღი პრესას ხვდება. კრიტიკულ მუშაობაში ჩვენ უნდა ვისწავლოთ დასკვნის გამოტანა ცალკე შემთხვევებიდან და უნდა ვეცადოთ მათი განზოგადოება. ჩვენ ბევრი იარა გამოვფხრიკეთ, ფაქტიური მასალის შესწავლა კი არა სჩანს და არც დასკვნებია გამოტანილი. პარტორგანოები უნდა დაგვეხმარონ მუშაობაში, მათ ხელი უნდა აიღონ წვრილმან მზრუნველობაზე, უფრო ახლო ჩააბან პრესა საერთო პარტიულ მუშაობაში და გააძლიერონ პრინციპიალური ხელმძღვანელობა. ჩვენ უნდა შევებრძოლოთ თვითკრიტიკის დამახინჯებას და ამავე დროს ვიმუშაოთ ჩვენი საკუთარი ხაზის გამოსასწორებლად“.

ამხ. შაცკი („სოვეტსკაია სიბირ“) თათბირს უზიარებს საოლქო გაზეთის გამოცდილებას, რომელმაც ფართო მასიური მუშაობა განავითარა.

ამხ. გავრილოვი (ხმისინდიკატის დირექტორი) ეხება ცნობების უარყოფის საკითხებს. რედაქტორები არ უნდა დადგნენ საუწყებო თვალსაზრისზე და მონოპოლისტებად არ ჩასთვალონ თავიანთი თავი კრიტიკის დარგში, რადგან შეცდომები და დამახინჯება მათაც მოსდით. ამ შეცდომების კრიტიკა არ შეიძლება მივიჩნიოთ თვითკრიტიკის ლოზუნგის შებღალვად. უნდა დავდგეთ ჩვენი ურთიერთობის გაჯანსაღების გზაზე და ერთმანეთს დაუახლოვოთ პრესა და სამეურნეო მუშაკები.

ამხ. პეტროვსკი („ლენინგრადსკაია პრავდა“) თავის სიტყვაში ეხება თვითკრიტიკის განვითარების გზაზე გადაულახავ სიძნელეებს. ჩვენ წინ გველობება სამეურნეო მუშაკებისა და ადმინისტრატორების ნაწილის მეტად ძლიერი ფენა. საჭიროა უფრო სასტიკად მოვექცეთ კონსერვატორულ ელემენტებს, რომლებიც აბრკოლებენ კრიტიკულ მუშაობას. აი, მაგალითად, ლენინგრადში მუშკორებთან ბრძოლა იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთი ქარხნის მუშკორს ინჟინერმა თავი ამოაყოფინა ფსიქიატრიულ სამკურნალოში, სადაც მასზე თვენახევრის განმავლობაში ექსპერტიზას ახდენდნენ. როდესაც მუშკორი ჯანსაღად იცნეს და გამოუშვეს, ქარხანამ იგი აღარ მიიღო.

ამხ. პეტროვსკის სიტყვის შემდეგ კამათი შესწყდა და თათბირმა მოისმინა ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვა.

24 სექტემბერს რედაქტორების სრულიად საკავშირო თათბირზე დიდი მოხსენება გააკეთა პრესის მორიგი საკითხების შესახებ ამხ. ინგულოვმა. მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი, რომელიც გაგრძელდა საღამოს სხდომაზედაც. ჩაეწერა 80 ორატორზე მეტი. სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ენუქიძემ, რომელიც შეჩერდა პრესის როლზე საბჭოების არჩევნების მომავალ კამპანიაში. (ადს).

პროფ. კულიკის დასახმარებლად

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში მოხდა თათბირი პროფესორ კულიკისათვის დახმარების აღმოსაჩენად. თათბირის აზრით ის დახმარება, რომელსაც კულიკს სამეცნიერო აკადემია აღმოუჩენს, დაგვიანებით მივა იმ ადგილას, სადაც პროფესორი კულიკი იმყოფება. ამიტომ თათბირმა გადასწყვიტა, მოაწყოს უფრო სწრაფი დახმარება—ადგილობრივ მონადირეთა ექსპედიციის სახით. ექსპედიცია გაემგზავრება ენისეისკიდან ან ერთ-ერთი იმ დასახელებულ პუნქტიდან, რომელიც მდებარეობს იქ, სადაც მდ. პოდკამენი ტუნგუსკა, ერთვის ენისეის, თათბირი სთხოვს საბჭოთა კავშირის ავიაქიმის საზოგადოებას გადასდოს ექსპედიციის მოსაწყობად 20.000 მანეთი (ადს).

ჰიდრო. თვითმფრინავი პროფ. კულიკის დასახმარებლად

ნოვო-სიბირსკი, 25 სექტემბერი. საოლქო აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა, მოაწყოს ექსპედიცია ჰიდრო-თვითმფრინავზე სამეცნიერო აკადემიის თანამშრომლის კულიკის დასახმარებლად, რომელიც ამას წინად გაემგზავრა პოდკამენი ტუნგუზკის რაიონში მეტეორიტის საძებნელად. ექსპედიციის მოსაწყობად საჭირო ხარჯის გაღება აღმასკომმა იკისრა (ადს).

ამხ. ბელა კუნი ბათომში

ბათომი, 25 სექტემბერი. 25 სექტემბერს დილით გემით ბათომში მოვიდა ამხ. ბელა კუნი, რომელსაც ნავთსადგურში შეხვდნენ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამხ. ბელა კუნმა დაათვალიერა ბათომის მიდამოები და „აზნეფსტროი“.

26 სექტემბერს საღამოთი საქართველოს კომპარტიის (ბ) ბათომის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე ამხ. კუნი გამოვა მოხსენებით კომინტერნის მეექვსე კონგრესის შედეგების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მე-4 პლენუმი

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მე-4 პლენუმი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება საქართველოს კომპარტიის მუშაობის გამოკვლევის შესახებ გააკეთა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პასუხისმგებელმა ინსტრუქტორმა ამხ. პშენცინმა.

კამათი ამხ. პშენცინის მოხსენების გარშემო და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას რეზოლიუციის განხილვა გადმოტანილია დღეისთვის.

შინამრეწველთა კოოპერაციის მუშაობის შესახებ

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება)

1. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად პარტიის დირექტივებისა იმის შესახებ, რომ აუცილებლად საჭიროა უფრო ძლიერი დახმარების აღმოჩენა შინამრეწველთა სარეწაო კოოპერაციის განვითარებისათვის და შინა-მრეწველთა და ხელოსანთა კოოპერაციაში გაერთიანების ტემპის გაძლიერება, შინა-მრეწველთა სარეწაო კოოპერაციის როლი ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ შეფასებული და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები ვერ აქცევენ მას სათანადო ყურადღებას. ეს არის მიზეზი იმისა, რომ შინა-მრეწველთა სარეწაო კოოპერაციამ თუმცა მიაღწია განსაზღვრულ დადებით შედეგებს ამ უკანასკნელ დროში, მაინც ვერ შესძლო საკმაოდ გაევრცელებია თავისი გავლენა შინამრეწველურ წარმოებაზე, განსაკუთრებით ნაციონალურ რაიონებში, ვერ შესძლო განევითარებია მუშაობა სარეწაოთა კოლექტივიზაციისა და რეკონსტრუქციის დარგში თავისი საშუალებათა დაგროვებისა და შინა-მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის დარგში. სარეწაო კოოპერაცია ჩვენს მეტად სუსტ ყურადღებას აქცევს ულარიბეს ხელოსანთა კოოპერაციაში გაერთიანებასა და მის საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეს, ახლავ სუსტად არის დაყენებული საორგანიზაციო და მასიური მუშაობა შინა-მრეწველთა შორის.

2. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციას მეტი ყურადღება მიაქციონ და დაეხმარონ შინა-მრეწველთა-სარეწაო კოოპერაციას, რათა მან აღმოფხვრას ის არანორმალური მოვლენები, რომლებსაც ადგილი აქვთ სარეწაო კოოპერაციისა და სახელმწიფო მრეწველობის ურთიერთობაში, და გაძლიერებით ებრძოლონ სახელმწიფო მრეწველობის მიერ კოოპერატიულ საწარმოთა ჩამორთმევის ყოველ ფაქტს, შინა-მრეწველობის პროდუქციისა და ნედლეულის არა სწორ გაწესრიგებას, რამაც უკვე ჩაშალა მრავალ რაიონში სარეწაო კოოპერაციის საწარმოო მუშაობა (ტყავეულის სინდიკატი). საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ აღარ ჰქონდეს ადგილი სარეწაო კოოპერაციის მიერ აშენებულ ან მოწყობილ საწარმოთა ჩამორთმევას და მათ გადაცემას სახელმწიფო ტრესტებისათვის; პირიქით, საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ სარეწაო კოოპერაციას როგორც სახელმწიფო მრეწველობის მიერ გამოუყენებელ საწარმოთა გადაცემით, ისე სათანადო საფინანსო დახმარების აღმოჩენით.

3. საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მუშაობა შინა-მრეწველთა გასაერთიანებლად სარეწაო კოოპერაციაში (საერთო წარმოების ორგანიზაცია), კერძოდ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს შინამრეწველთა და ხელოსანთა ჩაბმას შინა-მრეწველთა-სარეწაო კოოპერაციის უმარტივეს გაერთიანებებში, სარეწაო-საკრედიტო და გამსაღებელ ამხანაგობებში და ურთიერთი დამხმარე სალაროებში.

განსაკუთრებით საჭიროა გაძლიერებულ იქნეს სარეწაო-კოოპერატიულ კავშირის ყურადღება ულარიბეს შინა-მრეწველთა კოოპერაციაში გაერთიანების საქმისადმი (ფონდების გაძლიერება და მათი მიზანშეწონილი გამოყენება, საპაიო გადასახადების ვადის განაწილება, უპირატესობის მინიჭება საწარმოო საშუალებათა, ნედლეულის, კრედიტებისა და სხვ. მიწოდების მხრივ). ამასთან ერთად საჭიროა მოწესრიგებულ იქნეს სარეწაო კოოპერაციის წევრთა ხელფასის რაოდენობა მოგების განაწილების პრაქტიკის მოსპობით, ამასთანავე უნდა გაიზარდოს მშენებლობისათვის და საწარმოთა მოწყობილების განახლებისათვის გადასადებ ანარიცხების ნორმა.

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შინა-მრეწველობის განვითარებას და სარეწაო კოოპერაციის გაძლიერებას ნაციონალურ რესპუბლიკებსა და ოლქებში, სადაც მრავალ რაიონში სარეწაო კოოპერაცია წარმოადგენს ძირითად ბერკეტს მეურნეობის ორგანიზაციისა და მასიური კულტურის შთანერგვის საქმეში (ბაშკირეთის მთიანი ნაწილი, დაღესტანი, ჩრდილოეთ-კავკასია, თურქესტანის და სხვ. ნაც. რაიონები).

5. სარეწაო კოოპერაციის ზრდასა და მის სამეურნეო მოქმედების განვითარებასთან დაკავშირებით, საჭიროა უფრო გადაჭრით გადავიდეთ სისტემის სპეციალიზაციაზე, რისთვისაც აუცილებელია ადგილობრივი და რესპუბლიკანური კავშირების მოწყობა ძირითად სარეწაოთა ნიშნის მიხედვით და ფინანსიური შესაძლებლობასთან შეფარდებით.

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება სარეწაო კოოპერაციის ფინანსიურ ბაზის განსამტკიცებლად, კერძოდ თვით კოოპერაციის საშუალებათა უფრო ძლიერად მოზიდვის გზით: საპაიო გადასახადების აკრეფის გაძლიერება, მოგებაზე ანარიცხების დაგროვება, სპეციალური ფონდების შექმნა საწარმოთა მოწყობილების განახლებისათვის, ნედლეულის შესასყიდი და სხვა შინა-კოოპერატიული სახსრები და სხვ.

6. განსაკუთრებით აუცილებლად იქნეს ცნობილი სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო და კულტურულ-განმანათლებელ მასიური მუშაობის გაძლიერება, თვითმოქმედების მეტი განვითარება, სარეწაო კოოპერაციის წევრთა აქტივობის აწევა, ფართო ანგარიშების გატარება და სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელ ორგანოთა მუშაობის კრიტიკის უზრუნველყოფა, კერძოდ საჭიროა კომუნისტი და კომკავშირელი შინა-მრეწველნი ჩაბმულ იქნენ სარეწაო კოოპერაციაში და მათი მონაწილეობა გაძლიერებულ იქნეს ამ კოოპერაციის მუშაობაში.

იმის გამო, რომ სარეწაო კოოპერაციის სისტემაში ქალ-შინამრეწველთა რიცხვი შეადგენს 40 პროცენტს, ხოლო ზოგ სარეწაოში კი მუშაობენ მხოლოდ ქალები,—განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქალ-შინამრეწველთა დაწინაურებას. სარეწაო კოოპერაციის მმართველ ორგანოებში, კულტურულ-განმანათლებელ და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას მათ შორის და აგრეთვე ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, რისთვისაც უნდა გადაიდოს საჭირო თანხები.

7. პარტიულმა ორგანოებმა და სარეწაო კოოპერაციამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა შერჩევის საქმის გაუმჯობესებას და ყველაზე აქტიურ შინამრეწველთა (განსაკუთრებით ღარიბეთა წრეებიდან) დაწინაურებას ხელმძღვანელ მუშაობაზე. საკმაოდ მომზადებული პარტიული მუშაობის ჩაბმით გაძლიერებულ იქნეს სარეწაო კოოპერაციის გამგეობა, აგრეთვე საინსტრუქტორო კადრები და ადგილობრივ ს. მ. უ. საბჭოების განყოფილებები, რომლებიც ემსახურებიან შინამრეწველთა-სარეწაო კოოპერაციის მოთხოვნილებებს და სხვა.

8. კოლექტიურ საწარმოებში სამუშაოდ გადასულ შინა-მრეწველების დაქირავებულ მუშა-პროფკავშირის წევრთა მდგომარეობასთან გათანაბრების საკითხი გადაეცეს დასამუშავებლად საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ფრაქციას და შინა-მრეწველთა-სარეწაო კოოპერაციის კავშირის ფრაქციას.

9. დაევალოს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ფრაქციას და შინა-მრეწველთა-სარეწაო კოოპერაციის კავშირის გამგეობას 6 თვის შემდეგ დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა წარმოადგინონ ცენტრალურ კომიტეტში მოხსენება დადგენილების გატარების შედეგების შესახებ.

შორს მეტრეველები

პარტიისაგან

ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ მასიური პარტია, რომელიც მუშათა კლასს ხელმძღვანელობს, არ არის იმისაგან უზრუნველყოფილი, რომ მის რიგებში უვარგისი ელემენტები არ შემოიპარონ, მაგრამ ჩვენი პარტია სწორედ იმითაა ძლიერი, რომ ის დაუღალავად მუშაობს თავის რიგების გასაწმენდად.

საინტერესოა ამ მხრივ მისი მუშაობის შედარება ისტორიის მიერ საბოლოოდ განწირული ქართველი მენშევიკების მუშაობასთან. მენშევიკები ძალიან იშვიათად ამჟღავნებდნენ თავიანთ რიგებიდან დამნაშავე წევრებს, პირიქით, ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ თავიანთ რიგებში აშკარად მავნე და სოციალისტურად საშიშარი ელემენტების მიღებას. ისინი ფართოდ უღებდნენ კარებს ვაჭრებს, ხუცებს, აზნაურებს და სხვა პარაზიტებს და ამით თავიანთ პარტიას „მასიურ“ ორგანიზაციად ხდიდნენ.

ამრიგად, შეუსუსტებელი მუშაობა კომპარტიის რიგების გასაწმენდად ჩვენს მუდმივ ამოცანას წარმოადგენს. ჩვენ ვაძევებთ ჩვენი რიგებიდან ყველას, ვისაც არ ესმის პარტიის ამოცანები და თავისი ნაბიჯებით ზიანს აყენებს ჩვენს საერთო მუშაობას. ჩვენ მაგრად გამოკეტილი გვაქვს კარი იმათთვის, ვინც ფარავს თავის წარსულს და თვალთმაქცურად მოაქვს თავი ჩვენ ერთგულ თანამებრძოლად სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საინტერესოა ისტორია ერთი ასეთი ვაჟბატონისა, რომელიც ჩვენი პარტიის რიგებში შემოიპარა.

ბევრი ალბათ იცნობს თბილისის აღმასკომის უძსის თანამშრომელს არქიპო მეტრეველს (?) ეს ვაჟბატონი განაგებდა საბინაო საქმეებს და, როგორც კომუნისტი 1917 წლიდან, სარგებლობდა პარტიის სრული ნდობით. პარტიამ ის, როგორც მუშა (ხელობით პურის მცხობელია), სახალხო მოსამართლედაც კი დანიშნა, აგრეთვე საშუალება მისცა დაემთავრებია მუშფაკი.

ერთ მშვენიერ დღეს ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მიიღო ცნობები მისი წარსული ცხოვრების შესახებ. ეს „კომუნისტი“ 1917 წლიდან სრულებითაც ის არ აღმოჩნდა, რადაც თავი მოჰქონდა. მისი წარსულის დეტალურად განხილვის შემდეგ გამოირკვა, რომ მენშევიკების დროს ის მსახურობდა მენშევიკური სატრაპების— სახალხო გვარდიელების რიგებში. დაკითხვის დროს მეტრეველს არ დაუმალავს, რომ გვარდიაში მსახურობდა, და განაცხადა—ასე მიტომ მოვიქეცი, რომ მენშევიკების რეპრესიების მეშინოდაო. ნამდვილად კი გამოირკვა, რომ ის, როგორც სახალხო გვარდიელი, მონაწილეობას იღებდა კომუნისტების დახვრეტაში სოფელ ლაგოდეხში, აქ უკვე შიშზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს არის აშკარა და შეგნებული კონტრრევოლიუცია. ეხლა, როდესაც მან შეიგნო ჩვენი პარტიის მთელი სიძლიერე, ტკბილ ხმაზე ამღერდა და მზად არის „თავი დასდოს“ ჩვენი საქმისათვის, მაგრამ პარტიას ასეთი „გმირები“ არ ესაჭიროება. ჩვენ პარტიას კიდევ მოუხდება ბრძოლა მუშათა კლასის მტრებთან და რა გარანტია გვაქვს, რომ მეტრეველისთანა ვაჟბატონები კრიტიკულ მომენტში არ გვიღალატებენ?

როგორც ვიცით, საქართველოს კომპარტიამ თავის რიგებში მიიღო ყოფილი მენშევიკების განსაზღვრული ნაწილი, მიიღო ისინი, ვინც გულწრფელად აღიარა თავისი წარსული შეცდომები.

მაგრამ მუშების და გლეხების ნამდვილ ჯალათს, რომელმაც მიიკრა საკავშირო კომპარტიის წევრის ნიშანი 1917 წლის სტაჟით, რა ადგილი აქვს ჩვენს რიგებში, მას შემდეგ, რაც მთელი ეს შანტაჟი გამოირკვა? მეტრეველი გაძევებულ იქნა პარტიიდან.

ს. მიზრელიშვილი.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობა. ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ამხ. პ. საბაშვილმა.

ამხ. საბაშვილის სიტყვა

ამხანაგებო! მე-6 და მე-7 ყრილობის შორის განვლო იმაზე უფრო მეტ დრომ, რაც გათვალისწინებული იყო მე-7 ყრილობის მოსაწვევად. მაგრამ ყრილობის თავის დროზე მოწვევაში ხელი შეგვიშალა სატარიფო რეფორმის გატარებამ. ამ საკითხზე უნდა მოგვექცია ჩვენი მთავარი ყურადღება და აგვემოქმედებია მთელი ჩვენი ძალები. რეფორმის წარმატებით ჩატარების მიზნით იძულებული გავხდით რამდენიმე ხნით გადაგვედო მე-7 ყრილობის მოწვევა. რკინისგზელთა მე-7 ყრილობის დღის წესრიგში დასმულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა წარმატებით გადაჭრა აუცილებლად გააჯანსაღებს ტრანსპორტის საქმეს. მართალია ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი მიღწევები, მაგრამ ამასთანა ერთად საკმაო დეფექტებიც მოგვეპოვება. ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად ყრილობამ უნდა მოგვცეს მომავალი მუშაობის გეგმა.

ნება მომეცით ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მე-7 ყრილობა გახსნილად გამოვაცხადო.

პრეზიდიუმის არჩევა

ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: სტალინი, კალინინი, რიკოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, ტომსკი, მოლოტოვი; რუდზუტაკი; ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ელიავა, ცხაკაია, მახარაძე; ამოსოვი, ალამალი-ოღლი; კასიანი და კრუპსკაია.

საქმიან პრეზიდიუმში: საბაშვილი, ფანცულაია, რაზმაძე, პოზდეევი, ფედოროვი, მაჩაიძე; კუზნეცოვი; შეფტელი, ჩაჩუა, ფოცხვერია, არუთინოვი, ბუაძე; შანცელოვი; რაგიმოვი, გვერდწითელი, მამედოვი; სადიბი; გორბუნოვი, გარშევა, მამედოვი; კობახიძე და პაპაშვილი.

სამდივნოში: ცუტიაშვილი, აბდულაევი, კანდელაკი, ოგანოვი, სარქისოვი და კულიევი.

სამანდატო კომისიაში: გრიგორიანი, იმერლიშვილი, ლოლაძე, სულიმენკო და კასონი.

დღის წესრიგი

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) ამ.-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება; 2) ამ.-კავკ. რკ. გზ. სამმართველოს მოხსენება და ტეხნიკურ-ეკონომიური განყოფილების თანამოხსენება ამ.-კავკ. რკ. გზების მუშაობის შესახებ, 3) ამ.-კავკ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს მოხსენება, 4) ამ.-კავკ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5) ამ.-კავ. სატრანსპორტო სამომხმარებლო კოოპერაციის მოხსენება და 6) ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები.

ყრილობის პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის მიღების შემდეგ, ყრილობას მიესალმა სხვადასხვა ორგანიზაციების და წარმოება-დაწესებულებების წარმომადგენელნი.

მისალმებები ყრილობას

რკინისგზელთა პროფკავშირის მიერ შეფობაზე აყვანილი № პოლკის სახელით მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს № პოლკის სამხედრო კომისარმა ამხ. შრამკომ და წითელარმიელმა ამხ. მაიორსკიმ.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცეკას სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფილიპე მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო! ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა და საქ. კომპარტიის ცეკამ დამავალა მივესალმო ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობას. ვასრულებ რა ამ დავალებას მე დიდის აღფრთოვანებით ვესალმები თქვენს ყრილობას, მე მსურს რამდენიმე სიტყვით აღვნიშნო რკინისგზის პროლეტარიატის როლი ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეში, ეს როლი განსაკუთრებით დიდია ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის რკინიგზები, რომელიც აერთიანებს ბაქოს ბათომთან და თბილისს კახეთთან, არის ერთად-ერთი შემაერთებელი ხიდი ამიერ-კავკასიის მრავალი ერთეულების. შეიძლება სხვა რესპუბლიკებში რკინიგზას არ ჰქონდეს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც აქვს მას ჩვენში. მართალია, ჩვენ გვაქვს გზატკეცილებიც, მაგრამ ისინი ვერ ასრულებენ ისეთ დიდ როლს, როგორც რკინიგზები და ამასთანავე ხშირად ფუჭდებიან სტიქიური მოვლენებისაგან.

ჩვენ გვაქვს ისეთი რაიონებიც, სადაც არა თუ რკინიგზა, არამედ ურმებითა და ცხენებით მიმოსვლაც საძნელოა. ამიტომ ამ.-კავკ. რკინისგზების მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოვდება. ამ გზას ემსახურებით თქვენ, რკინიგზის პროლეტარიატი.

თქვენ გახსოვთ, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ჩვენი რკინიგზები ამ რამდენიმე წლის წინედ. მმართველი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების და რკინისგზის პროლეტარიატის განსაკუთრებული ენერგიის წყალობით ჩვენ გამოვედით ნგრევისა და განადგურების პერიოდიდან, აღვადგინეთ ტრანსპორტი, ამ დარგში გვაქვს საკმაო მიღწევებიც, მაგრამ ამით მაინც ვერ დავკმაყოფილდებით.

მე თქვენი ყურადღება უნდა შევაჩერო ერთ გარემოებაზე: რკინისგზები ემსახურება მთელი მოსახლეობის ინტერესებს, არ არის არც ერთი ისეთი წარმოება, რომელიც ასე მჭიდროდ იყოს დაკავშირებული მოსახლეობასთან. ეს გარემოება ავალებს თვითეულ რკინისგზელს განსაკუთრებულ მზრუნველობას ტრანსპორტისადმი. მოსახლეობა ტრანსპორტით ზომავს ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხს. მოსახლეობა რკინისგზებით მოგზაურობდა თვითმპყრობელობის დროს, მენშევიკების დროს და მოგზაურობს უკვე მერვე წელია საბჭოთა ხელისუფლების დროსაც, თუ რაგვარ სამსახურს გაუწევს რკინიგზა მოსახლეობას, ეს დამოკიდებულია თვით რკინისგზელების უნარიანობაზე.

რა დეფექტები გვაქვს ჩვენ ტრანსპორტის საქმეში? მთავარი არის ბიუროკრატიზმი. ის ჩვენ არ შეგვიქმნია, არამედ მემკვიდრეობით გადმოგვეცა თვითმპყრობელური წყობილებიდან, მაგრამ უახლოეს წლების განმავლობაში აუცილებლად უნდა განვიკურნოთ ამ სენისაგან.

ამ.-კავკ. რკინისგზებით ეხლა გადაქვთ გაცილებით უფრო მეტი ტვირთი, ვინემ თვითმპყრობელობის დროს გადაჰქონდათ, მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმაო, ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაფართოვოთ ტრანსპორტი. ეს კი დამოკიდებულია ფინანსიურ შესაძლებლობაზე და თქვენს ენერგიულ საქმიანობაზე.

ნუ იფიქრებთ, რომ მე მოვედი თქვენთან მისალმებისათვის და გელაპარაკებით ჩვენს საერთო ნაკლოვანებებზე, ამას ვამბობ იმიტომ, რომ რკინისგზებს აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ამიტომ ამ დარგში უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი დეფექტები. ტრანსპორტის გაჯანსაღებაზეა დამოკიდებული, როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ისე სასოფლო მეურნეობის აღორძინების ბედიც. თუ ჩვენ ვერ მივაღწიეთ ტრანსპორტის გაჯანსაღებას, უამისოდ წარმოუდგენელია ამ ამოცანების განხორციელება.

აქ აღნიშნეს ამხანაგებმა რკინიგზებზე თვით კრიტიკის გაუშლელობა. დღეს თვითკრიტიკის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს საკმაო მიღწევები. საბჭოთა ხელისუფლება ოქტომბრის რევოლიუციის მტრებს არ აძლევს კრიტიკის უფლებას. კრიტიკა უნდა გამომდინარეობდეს თვით მასებიდან, არის შემთხვევები, როცა საპასუხისმგებლო პოსტზე მდგომი ზოგიერთი ამხანაგები და დაწესებულებები არ აძლევენ მასებს თვითკრიტიკის საშუალებას, მაგრამ ისიც ცხადია, რომ კრიტიკა უნდა იყოს სადი. არ უნდა ვეძიოთ ნაკლი იქ, სადაც ასეთი არ არის. ამ გარემოებას უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ რკინისგზელთა ფართო მასებმა.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამიერ-კავკასიის რკინისგზის პროლეტარიატი შესძლებს ყველა იმ საკითხების გადაჭრას, რომელიც დასმულია მე-7 ყრილობის დღის წესრიგში.

გაუმარჯოს ამ.-კავკასიის რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობას, გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობას. (მქუხარე ტაში).

ამხ. ალამალი-ოღლის სიტყვა

ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით მივესალმები რკინისგზელთა მე-7 ყრილობას. რკინისგზელები საერთოდ და კერძოდ ამიერ-კავკასიის ფარგლებში ჯერ კიდევ 1900-ან წლებიდან ასრულებდნენ განსაკუთრებულ როლს რევოლიუციონურ მოძრაობაში, კიდევ უფრო გაიზარდა რკინისგზელების როლი ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ. ამხანაგებო! აღმშენებლობა გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვინემ ნგრევა. მით უმეტეს ეს უნდა ითქვას ტრანსპორტის შესახებ, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ მშენებლობის საქმეში. თვითეული რკინისგზელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ეპყრობოდეს ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეს. ის წითელი დროშა, რომელსაც დღემდის პირნათლად ატარებენ რკინისგზელები, ისინი საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანებენ.

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმობას!

ამხ. ლაპიერის სიტყვა

(რკინისგზელთა ცეკას წარმომადგენელი)

ამხანაგებო, რკინისგზელთა ცეკას დავალებით ნება მიბოძეთ მივესალმო ამ.-კავკ. რკინისგზელთა მეშვიდე ყრილობას და შევჩერდე ზოგიერთ იმ საკითხებზე, რომლებიც დასმული იყო რკინისგზელთა მე-8 საკავშირო ყრილობაზე. რკინისგზელები ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ რევოლიუციონურ მოძრაობაში და ასეთივე როლი უნდა შეასრულონ ტრანსპორტის გაჯანსაღების საქმეშიაც. მე-8 ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენ უკანასკნელ ხანებში ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ აღმშენებლობის საკითხებს და ჩაფლული ვართ უფრო პროფესიონალურ მუშაობაში ყრილობამ ამის შესახებ მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნა მეტი ყურადღება მიექცეს აღმშენებლობის საკითხებს, ტრანსპორტის გაჯანსაღებას და შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

მეორე მთავარი საკითხია ტრანსპორტზე ტეხნიკოსების რიცხვის გამრავლება. ჩვენი კომკავშირელი ახალგაზრდობა უნდა დაუახლოვდეს მოხუც რკინისგზელებს. ახალგაზრდობამ უნდა იმუშაოს დაზგასთან მოხუც რკინისგზელების გვერდით მთელი რიგ წლების განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ შესძლებენ ისინი გადაქცევას ნამდვილი სპეციალისტებად ტრანსპორტის აღორძინების საქმეში.

ცეკას სახელით ერთხელ კიდევ გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას და გვჯერა, რომ ამიერ-კავკასიის რკინისგზელები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას არა მარტო აქ, ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებშიაც იფეთქებს ოქტომბრის რევოლიუცია და გაიხსნება რკინისგზების ნაციონალიზაცია.

ამის შემდეგ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ხარაბაძე, საქართველოს პროფსაბჭოს სახელით ამხ. მახარაძე, ლენინურ კომკავშირის ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის სახელით ამხ. ახუნდზადე, მთავარი სახელოსნოების სახელით ამხ. სართანია, რომელმაც ყრილობას გადასცა ვაგონი-კლუბის მოდელი რადიო-მოწყობილობით. წევის დარგის სახელით ამხ. ბარათაშვილი, რკინისგზელთა ინჟინერ-ტეხნიკოსების სექციის სახელით ამხ. ქავთარაძე, ლენინაკანის დეპოს მუშების სახელით ამხ. კაზაროვი, და პლეხანოვის კლუბის მუშაკების და კლუბთან არსებულ წრეების სახელით ამხ. კუდრიავცევი, რომელმაც ყრილობას უძღვნა პლეხანოვის სახელობის კლუბის საუცხოვოდ შესრულებული მოდელი.

დასასრულ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა რკინისგზელთა საკავშირო ცეკას.

ამით დასრულდა ყრილობის პირველი სხდომა.

შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 9 საათზე.

სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა და პერსპექტივები ზუგდიდის მაზრაში

(პრაქტიკული წინადადებანი)

საშემოდგომო თესვა

წელს ნათესებს კარგი პირი უჩანდა ივლისის შუა რიცხვამდე. ამის იმედით ვიტანდით იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც შექმნა შარშანდელმა მოუსავლიანობამ. ივლისის მეორე ნახევარმა და აგვისტომ ნათესები გააუარესა; ეტყობა, შარშანდელი მოუსავლიანობა მეორდება ნაწილობრივ მაინც. მოსალოდნელია საგაისოდაც მივიღოთ საკვები სიმინდის დეფიციტი. ამ გარემოებამ საფიქრებელში ჩააგდო მაზრის პარტორგანიზაცია. ივლისის მეორე ნახევარში მოწვეულ იქნა პარტკომის გაფართოებული პრეზიდიუმი, სადაც იქნა განხილული სპეციალური კომისიის მიერ დამუშავებული საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებელი გეგმა. საშემოდგომო თესვის კამპანია ჯერ არ ნახულა სამეგრელოში. ამას ერთგვარი გასამართლებელი მიზეზები ჰქონდა წარსულში. მაგრამ ასეთი კამპანიის ჩაუტარებლობა ეხლა, განსაკუთრებით შიმშილობით მიღებულ გაკვეთილების შემდეგ, ყოვლად შეუძლებელია. დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონებს დღესაც არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად საშემოდგომო თესვის კამპანიის არამც თუ ჩატარება, არამედ მასზე ლაპარაკიც, ზოგსაც ასე აქვს საქმე წარმოდგენილი: რა კი კამპანიაზეა ლაპარაკი და მერე თესვის, ცხადია, აქ ფულის დარიგება იქნება და ამიტომ კაი მაგასო; და აყენებენ მოთხოვნილებას: მოგვაწოდეთ ამდენი ათაული ათასი მანეთიო; არც გეგმა, არც ხარჯთ-აღრიცხვა, თუ რაზე უნდა დაიხარჯოს გამოთხოვილი თანხა. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება ჩვენს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას და დაუშვებელია.

ჭვავის კულტურა

სამაზრკომის პრეზიდიუმის მიერ განხილულ და დამტკიცებულ საშემოდგომო თესვის გეგმაში ნაჩვენებია: ზუგდიდის მაზრის საშუალო და მაღლობ ადგილებში უნდა იქნას დამუშავებული სამი ათასი ჰექტარი მიწის ფართობი 22 თემში, რისთვისაც საჭიროა 30 ათასი ფუთი სათესლე მასალა, რომელიც სელექციაში იქნება გატარებული. საშემოდგომო, გამძლე კულტურად, რომელსაც ამასთან იცნობს ჩვენი გლეხობა, ჩვენ მივიჩნიეთ ჭვავი. როგორც სიმინდი, ისე ჭვავი უხსოვარ დროიდან ითესება სამეგრელოში. ამრიგად ჭვავი არაა შესაჩვევი არც მოსახლეობისათვის, არც ჰავის და ნიადაგისათვის. სამწუხაროდ, მას არ იცნობენ, როგორც ჩვენთვის მისაღებ კულტურას, ზოგიერთი ჩვენი აგრო-სპეცები, რომლებსაც თურმე გაუკვირდათ, როცა მიიღეს ზუგდიდის მაზრიდან ჭვავის სათესლე მასალაზე მოთხოვნილება. ვისაც უკვირს და აინტერესებს ასეთი „უცნაური“ მოვლენა, ჩვენი თხოვნაა: არც ასე შორსაა სამეგრელო, მოვიდეს, ადგილობრივ გაეცნოს ამ საქმეს, რის შემდეგ თავის განცვიფრების უადგილობას თვითონ აღიარებს. აქ მე შემიძლია დავიმოწმო ნიადაგის მკვლევარი პროფ. მ. გედევანიშვილი, რომელსაც კარგად აქვს შესწავლილი სამეგრელოს სას. მეურნეობა. ყველაფერ ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი გამოცდილებით: მაზრების მოთხოვნილება, როდესაც ის იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას ამა თუ იმ სპეცის მხრით, ზოგჯერ დაუკმაყოფილებელი რჩება. ასეთ გაუგებრობას ადგილი არ უნდა ექნეს. არავინ და არაფერმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი ჩვენ მიერ მოთხოვნილ სათესლე მასალის ხსენებულ რაოდენობით მიღებაში, რამდენადაც ეს ობიექტიურად შესაძლებელი იქნება. სხვა რომ არა იყოს რა, საშემოდგომო თესვის შემოღებას თვით თესლთა ბრუნვისათვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა: ჭვავის მოჭრის შემდეგ შეგვიძლია დავთესოთ მუხუდო, რაც მეტად ანოყიერებს ნიადაგს. ამის შემდეგ დათესილი სიმინდიც მოგვცემს კარგ მოსავალს. ამრიგად, ჭვავის კულტურის გაფართოვება სამი ათას ჰექტარამდე დიდად მომგებიანი იქნება ზუგდიდის მაზრისათვის.

ზემოაღნიშნულის რაოდენობის სელექციური სათესლე მასალა ჩვენ რესპუბლიკანურ სათესლე ფონდიდან უნდა მივიღოთ, ვინაიდან ჩვენ არამც თუ ჭვავის თესლი, არამედ არავითარი მარცვლეულის კულტურა არ გაგვაჩნია.

თამბაქო

როგორც სიმინდის, ისე თამბაქოს ნათესებიც დააზიანა წელს ხშირმა წვიმებმა. მესამე წელია ზუგდიდის მაზრაში თამბაქოს კულტურას მივეცით სამრეწველო ხასიათი, მაგრამ, სამწუხაროდ, სამივე წელში ხელს გვიშლის ამ საქმეში ორი გარემოება: 1) ავდრიანობა და 2) სათანადო ცენტრალურ ორგანოების სუსტი ხელმძღვანელობა. სამეგრელოს თამბაქო თავის მაღალ ხარისხოვან გემო- სურნელებით სულ არ ჩამოუვარდება სოხუმის თამბაქოს. მიუხედავად ამისა, მისი ფასები გაცილებით დაბლა დგას სოხუმისაზე. ეს უტეხს გლეხს გულს და მას არ სურს ხელი მოკიდოს ამ კულტურას. რომ ამ კულტურამ ფეხი გაიდგას, მისი ფართობი რომ გავადიდოთ პირველ ხანებში 500 ჰექტარამდე მაინც, საჭიროა: 1) საშრობი ფარდულების გასაშენებლად გრძელვადიანი სესხის გაღება, 2) დიდი საფერმენტაციო საწყობის გაშენება მაზრის ცენტრში, 3) კარგი ჯიშის სათესლე მასალის თავის დროზე დარიგება, 4) სამეგრელოს თამბაქოს ფასების გათანასწორება სოხუმის თამბაქოს ფასებთან, 5) აგრო- დახმარების გაძლიერება, რომ ავწიოთ თამბაქოს ტეხნიკური მხარე (სტანდარტი), 6) საჩვენებელ მინდვრებით (მეთამბაქოეობის ყველა რაიონში) საცდელ სადგურის მოწყობა ზუგდიდში. აი ის სადღეისო აუცილებელი ღონისძიებანი, რომელთა გატარებას მოითხოვს სამეგრელოს მეთამბაქოეობა.

ჩაი

ჩაის კულტურა დღეს მაზრაში გაშენებულია 400 ჰექტარზე. ჩაის ნათესს, სადაც სათანადოთ მოუარეს, კარგი პირი უჩანს. ზოგიერთები კარგად არ უვლიან, რის წინააღმდეგ საჭირო ზომები იქნება მიღებული. მომავალ წელს განზრახულია მაზრაში დაითესოს 500 ჰექტარამდე ჩაი, რომლის რაოდენობის 90 პროც. იქნება კოლექტიურად დამუშავებული. ამ საქმის წინასწარ შესასწავლად ჩაის რაიონებში უკვე გაიგზავნენ ინსტრუქტორები, რომლებიც მოახდენენ სათანადო მიწების აღრიცხვას, ჩამოაყალიბებენ ახალ კოლექტივებს, მშრომელ გლეხობის მოთხოვნის თანახმად. ამის შემდეგ მიმდინარე წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში იქნება მოწვეული ფართო სამაზრო თათბირი, როგორც ეს მაზრკომმა დაადგინა ამ თათბირზე გაირჩევა ჩაის კულტურის მოშენებასთან დაკავშირებული საკითხები ზუგდიდის მაზრაში.

კენაფი

ეს სულ ახალი რამ არის, რასაც უნდა კარგად შესწავლა ცდების საშუალებით. წელს ეს კულტურა ზუგდიდის მაზრაში დათესილია 150 ჰექტარზე და მას კარგი პირი უჩანს. მესამე წელია, რაც კენაფის კულტურა იქნა შემოტანილი ჩვენს მაზრაში. მოვლის უცოდინარობის და წყალდიდობის გამო ამ კულტურამ პლანტატორი გლეხები დაავალიანა; მათ მაზრის ხელისუფლების შუამდგომლობით ჩამოეწერათ დავალიანება. წელს, თუ მოჭრის და გაშრობის დროს ამინდმა ხელი შეუწყო, ნათელი გახდება, მომგებიანია თუ არა კენაფის კულტურა. საერთოდ ამ კულტურის განვითარება ზევრადაა დამოკიდებული იმ ორგანოებზე, რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ საქმეში.

კენაფის კულტურას ჩვენი საკავშირო მრეწველობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. კენაფი საბჭოთა კავშირს შემოაქვს სპარსეთიდან დაახლოვებით 20 მილ. ოქროს მანეთის ღირებულების. საჭიროა ეს თანხა აქ ჩვენს კავშირში დარჩეს. ჩვენ განზრახული გვაქვს კენაფი დავთესოთ 400 ჰექტარზე, აქედან 80 პროც. კოლექტივებში უნდა იქნას მოთავსებული. სახელმწიფო ორგანიზაციამ, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობს, ეხლავე უნდა მიაქციოს ყურადღება შემდეგ გარემოებებს: 1) კერძო მეურნე გლეხებისაგან კენაფი ღეროებით უნდა იქნან მიღებული და კონტრაქტების დადების დროს ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული; 2) დასასველებელი აუზები და საშრობი ფარდულები (არა პრიმიტიული, არამედ ტეხნიკურად მოწყობილი). უნდა მოეწყოს საკრედიტო ამხანაგობებთან და მსხვილ კოლექტივებთან ცენტრალურ დამამზადებელ ორგანიზაციის ხარჯზე; 3) როგორც კოლ მეურნეობანი, ისე ინდივიდუალური მეურნეობანი, ვინც დასთესავს კენაფის კულტურას, უზრუნველყოფილ უნდა იქნან საჭმელი სიმინდით და ფართლეულობით, იმ წესით, როგორც მებამბეების რაიონების უზრუნველყოფილი; 4) თესლეული მასალები თავის დროზე უნდა იქნეს მოწოდებული. აგრეთვე აგრო- ხელმძღვანელობა უნდა იქნეს თავის დროზე და სისტემატიური.

ყველა ზემოაღნიშნულ ღონისძიებების გატარების შემდეგ კენაფის კულტურა ფეხს მოიკიდებს ჩვენში, განსაკუთრებით ზუგდიდის მაზრაში, სადაც ამას ხელს უწყობს ჰავა და ნიადაგი.

რამის კულტურა

რამი (ან ჩინეთის ჯინჭარი) ზუგდიდის მაზრაში ახალი არ არის, მას აქვს ორმოცი წლის ისტორია. ეს კულტურა შემოიტანა პრინც მიურატმა, მან სოფ. რიყეში აგო მის დასამუშავებელი ქარხანაც, რომლის ნანგრევები ეხლაც არის. მერე ეს საქმე მისივე ხელში მოკვდა. გლეხობამაც დაივიწყა ეს კულტურა, რა კი მასზე არავითარი მოთხოვნილება არ იყო. თურმე საბჭოთა კავშირი რამს იძენს ჩინეთიდან. რამიდან ვღებულობთ ძვირფას ქაღალდებს და ქსოვილებსაც. ზუგდიდის მაზრაში ეს კულტურა აქა-იქ დღესაც არსებობს მიუხედავად იმისა, რომ არავინ უვლის და არც არავის უნდა. ამ კულტურას უკანასკნელ დროში მიექცა ყურადღება, მაგრამ ეს როდი კმარა.

საჭიროა მიღებული იქნას შემდეგი ღონისძიებანი: 1) აღრიცხვაზე იქნან აყვანილი ის მეურნეობანი, სადაც დარჩენილა ეს კულტურა. მათ დაევალოს ბუჩქების მოვლა. ამ გზით უნდა მოეწყოს დიდი სანერგე მამული, საიდანაც მიიღებენ სად ნერგებს პლანტატორები; 2) მოვლინებულ იქნან სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები, რომლებმაც აღრიცხვაზე უნდა აიღონ ის თემები და რაიონები, სადაც უფრო მიზანშეწონილია ეკონომიურად ამ კულტურის მოყვანა. პირველი ნაბიჯი ამით უნდა განისაზღვროს. ეს მოგვცემს საშუალებას დაახლოვებით გავეცნოთ რამის კულტურას, რის შემდეგ უფრო გადამჭრელი ზომების მიღება იქნება საჭირო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კულტურა საზარალო არ იქნება გლეხებისათვის, ვინაიდან ის არის მრავალწლიანი კულტურა, რომელიც ჩვენი უხვი ბუნების წყალობით ერთ წელში სამჯერ იჭრება. ამასთან სხვა ტეხნიკურ კულტურებთან შედარებით, ნაკლებ შრომას ხარჯავს გლეხი მის მოვლაზე. ის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს დავალებული ამ საქმის მოგვარება, სათანადოთ ხელმძღვანელობას თუ გაუწევს მას, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქმე კარგად განვითარდება.

ი. ჟვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

გაუფრთხილდით სახალხო ქონებას
(თბილისის დეპო)

თბილისის დეპოს კანტორას არ ეღირსა ერთი ხეირიანი რემინგტონზე მბეჭდავი მომუშავე, რის გამო სულ მცირე დღეში ფუჭდება საწერ ქაღალდების არა ნაკლებ 10—15 თაბახი. რა არის ამის მიზეზი? მბეჭდავის უდიერობა და ადმინისტრაციის გულგრილობა მომჭირნეობის მიმართ. განა დასაშვებია, რომ ერთ უბრალო მიმართვას 3—4-ჯერ ასწორებდენ და ამისათვის ანადგურებდენ ქაღალდს?

როგორც ყველა დარგებს, აგრეთვე დეპოს კანტორასაც ეძლევა ქაღალდის განსაზღვრული ნორმა სამასალო განყოფილებიდან. ცხადია, ეს ნორმა არ ყოფნის, რადგან ამაოდ იღუპება ყოველ დღე 10—15 ფურცელი, რაც წლიურად შეადგენს არა ნაკლებ 3500 თაბახს.

ასეთი დაუდევრობა საგრძნობ ზარალს აყენებს რკინის გზის სალაროს. ეს მოვლენა მარტო დეპოში არ ხდება, ალბად არც სხვა დარგია მოკლებული ამისთანა „ბედნიერებას“, რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

მუშკორი კოლხიდელი.

ტალონებს ხშირად აუქმებენ
(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისში კინო „რადიუმი“ შედარებით კარგი მოწყობილია და შესაფერ ალაგზეც არის. ზემოხსენებულ კინოში მუშა-მოსამსახურეები სარგებლობენ შეღავათიანი ბილეთებით, ე. ი. ტალონებით. მაგრამ ყოველივე ეს ფორმალურად არის მოწყობილი, თორემ კარგ სურათებს როცა უჩვენებენ, მაშინ კინოს გამგე ტალონებს აუქმებს. თუ ტალონებს ეძლევათ კავშირის წევრებს, უნდა ეძლეოდეს ყველა სურათებზე და არა მარტო მდაბიო ხარისხის სურათებზე.

ამ რამოდენიმე დღის წინად კინო „რადიუმში“ დაიწყეს სურათი „რობინზონ კრუზო“-ს ჩვენება. პირველი და მეორე სერიები გაუშვეს ერთად, რომელსაც სამ დღეს აჩვენებდნენ. ყოველ ღამე კინო გაჭედილი იყო მაყურებლებით. პირველი და მეორე სერიების ჩვენების დროს პროფკავშირის წევრები სარგებლობდენ ტალონებით, ხოლო შემდეგ სერიებზე ტალონები გააუქმეს. ასეთი მოვლენები კინო „რადიუმში“ ხშირია, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

საჭიროა სამაზრო პროფბიურომ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება.

კიმ.

სად არის კავშირის 300 მანეთი?
(წერილი სენაკიდან)

სანდრო თურქია ითვლებოდა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ. იმ დროს მან სახლის ასაშენებლად კავშირიდან აიღო სესხად 300 მანეთი იმ პირობით, რომ შემდეგ ამ ფულს დაუბრუნებდა კავშირს.

თურქიამ სახლი აიშენა საბინაო-კოოპერატიული ამხანაგობის დახმარებით. კოოპერატიული ამხანაგობის ფულიც ამ სახლს მოახმარა და კავშირის 300 მანეთიც.

კავშირი 1926 წლიდან ელის ამ თანხის დაბრუნებას. არა ერთხელ მიეცა წინადადება ს. თურქიას ეს თანხა დაებრუნებინა უკან, მაგრამ უშედეგოთ. ეს იციან პროფკავშირის წევრებმა. იცის ხელმძღვანელმა ორგანოებმაც, მაგრამ ჯერ ჯერობით ყურსაც არ იბერტყენ.

ვნახოთ ვინ მიიღებს სათანადო ზომებს.

ახალი.

სახლს გაუფრთხილებლად ეპყრობიან

კომუნალურ ქუჩაზე, ტყავ-ტრესტთან არის მეტყავეთა კავშირის სახლი. აქ სცხოვრობენ ქარხნის მუშები. ზოგიერთი მდგმურები ძალზე დაუდევრად ეპყრობიან სახლს. ყავთ ძაღლებიც, რომლებიც სვრიან საერთო კარიდორს.

აქვე სცხოვრობს კავშირის კულტ-გამგე და მდივანი მოსესოვი. ის „დიდი“ კაცია და ალბად ამისთვის თვითნებობს. მოსჭრეს ეზოში უზარმაზარი ხე და გაყიდეს ათ მანეთად. აღებული ფულით იყიდეს ღვინო და შემოსძახეს ბარათი მოსესოვის თარზე. არც დაირაზე თამაში დაუკლიათ.

მოსესოვმა გამოართვა აგრეთვე ზოგიერთ მუშებს სახლის ქირა და ქვითარი არც ერთისთვის არ მიუცია. აქ არის არჩეული ხაზინადარი და სახლის კომიტეტი, მაგრამ მოსესოვს ისინი ბუზად არ მიაჩნია.

მოვიდა სინათლის ქირის გადახდის მოწერილობა, რომელიც მოსესოვმა ჩაიდო ჯიბეში. გაიარა დრომ და მისი დაუდევრობით მუშებს მიაწერეს ჯარიმა სინათლის ქირის გადაუხდელობისათვის.

საჭიროა მოსესოვს პასუხი მოეთხოვოს თვითნებობისათვის და სახლს მიექცეს ყურადღება, თორემ მისი შეკეთება კავშირს აუარებელი ფული დაუჯდა და თუ ასე გაგრძელდა, ხვალ ისევ შესაკეთებელი გახდება.

იხარი.

დაფიქრდნენ „ტელას“-ელები

როდესაც მუშა მიდის წითელ ჯარში, როგორც ტერიტორიალურ ნაწილში, მართალია მთელი გასამრჯელო არ ეძლევა თავისი გაცდენის, მაგრამ დიდი შეღავათია ამ მხრივ: რომ ადგილი ენახება, მაგრამ „ტელას“-ის ადგილკომს და ადმინისტრაციას თავისებურად ესმის ეს დადგენილება. მათ შემცირებაში მოაყოლეს მუშა სიმონ ჩუბუნიძე, რომელიც ამჟამად წითელ ჯარშია. ამხ. ჩუბუნიძე ჯერ „ტელას“-ში იყო მეზ მუშად, მერმე საწყობში და სამონტაჟო ცეხში, ამჟამად კი ელმმართველის თანაშემწედ.

„ტელას“-ის ადმინისტრაციას დაავიწყდება, რომ წითელ არმიაში ყოფნა, პროლეტარიატის სამშობლოს დაცვა, ყველა მუშის ვალია. მას ყველაფრით ხელს უნდა უწყობდეთ და არა ისე უხეშად ვექცეოდეთ, როგორც ტელასელები ექცევიან.

იმედია ამ უკანონობას მიაქცევს ყურადღებას სათანადო ორგანო და ამხ. ჩუბინიძეს აღადგენს თავის უფლებაში.

შ. კოშკელი.

მუშკორთა წერილებიდან
ვისი წყალობით ანთავისუფლებენ?

უკანასკნელ ხანებში ცნობილი ქურდი-რეციდივისტი რაფიელ ხაჩმანუქიანცი რამოდენიმეჯერ იყო დაპატიმრებული, მაგრამ ყოველთვის განთავისუფლებს ვიღაცას შემწეობით. ნეტავი ვინ მფარველობს ამ ვაჟბატონს?

მუშა.

შეაკეთეთ გზა (ქუთაისი). რკინის გზის მუშის საწყობთან გზა ძალზე უვარგისია, ამის გამო მეურნეობები დიდ გაჭირვებაში არიან და მაღალ ფასებსაც მოითხოვენ მუშის გადასაზიდათ. საჭიროა გზის დროზე შეკეთება.

„გოკო“

ალაგმეთ ექიმბაში (ქუთაისი). ჯაფარიძის ქუჩაზე სცხოვრობს ექიმბაში ქალი ვინმე რახიელი, რომელთანაც ყოველ დღე მიდის უამრავი ხალხი სამკითხაოდ. საჭიროა ადმინისტრაციამ ალაგმოს ხალხის მატყუარა ექიმბაში.

დ. ა—ნი.

შემოდგომის თესვა

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები

თესვის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის ცნობით „ზაკსელმაშს“ შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად შეკვეთილი ჰქონდა 276.324 მანეთის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები. აქედან „ზაკსელმაშმა“ „სოფლის კავშირს“ დღემდე მიაწოდა მხოლოდ 144.270 მანეთის მანქანები, რაც შეადგენს მთელი შეკვეთის 53 პროცენტს.

შემოდგომის თესვის კამპანია კახეთის მაზრაში

თესლის განაწილება

კახეთის მაზრაში თესვის ჩამტარებელ სამაზრო კომისიის ცნობით დღემდე თემებს შორის სულ განაწილებული იქნა 30.100 ფუთი თესლი, აქედან ახმეტის თემს მიეცა — 1,000 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, აწყურის თემს — 1,000 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, თელავის—500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, წინანდალის — 500 ფუთი ხორბალი, მაშიანს—1500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ფშაველის თემს—500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, შილდას—500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ყვარელს—500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ძველ გავაზის თემს — 1500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ველისციხეს—1000 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, გურჯაანის რაიონს—500 ფუთი ხორბალი, კარდანახს—500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ანაგას—500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, წითელ წყაროს—1300 ფ. ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ქოდალოს — 1000 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, კაკაბეთის თემს—1000 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ვარდისუბანს—800 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ლაგოდეხს—800 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, აფენის თემს—900 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ქვემო-მაჩხაანს—800 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, ბოდბისხევს—500 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი ნუკრიანს—1000 ფუთი ხორბალი და 500 ფუთი ქერი, სულ თემებს შორის განაწილებული იქნა 19.600 ფუთი სათესლე ხორბალი და 10.500 ფუთი ქერი.

მუშა-საქონლის შესაძენად

მუშა-საქონლის შესაძენად კახეთის თემებს შორის სულ განაწილებული იქნა 12.148 მანეთი. აქედან თემში არსებულ საკრედიტო ამხანაგობებს ღარიბებს გლეხებისათვის ინდივიდუალურ სესხის სახით დასარიგებლად გადაეცა 4.500 მანეთი, ხოლო 7.647 მანეთი კოლექტიურ მეურნეობებს შორის გასანაწილებლად.

საქონლის საკვები

საქონლის საკვებ ბალახის დასამზადებლად თემებს შორის განაწილებული იქნა 13.000 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები

კახეთში თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამაზრო კომისიამ დღემდე მაზრაში გაანაწილა 305 გუთანი და 18 სხვადასხვა სისტემის ფარცხი.

რას ითხოვენ მაზრები

ახალციხის მაზრიდან

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიას ახალციხის მაზრა დამატებით სთხოვს მუშა-საქონლის შესაძენად 4.500 მანეთს, სათესლე მასალისათვის — 4.000 მ., 4 ფარცხს და 180 გუთანს.

სენაკის მაზრიდან

სენაკის მაზრა სულ მოითხოვს 24,000 ფ. სათესლე ხორბალს, 12.000 ფ. ჭვავს, 500 ფუთ საქონლის საკვებ ბალახეულობას თესლს მუშა-საქონლის შესაძენად —10.000 მანეთს, 100 ცალ გუთანს და 10 ცალ ტრიერს.

ტერნაწილების საერთო შეკრებაზე
(მეორე ქართული დივიზია)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში მეორე ქართული დივიზიის მეთაურმა ამხ. გიორგაძემ ტერნაწილების საერთო შეკრების შესახებ შემდეგი განაცხადა:

მოსამზადებელი მუშაობა საერთო შეკრებისათვის დივიზიის შტაბმა და მთელმა სამმართველომ სარმიო აპარატის დახმარებით დაიწყო დიდი ხნის ადრე შეკრების დაწყებამდის. ყველა წვრილმანიც კი წინასწარ იყო გათვალისწინებული, რათა უზრუნველყოფილიყო შეკრების წარმატებით ჩატარება. თავიდანვე თვითეულ მეთაურს ჰქონდა დამუშავებული დღიური, რომელშიც საათობით იყო გათვალისწინებული შეკრებაზე ჩასატარებელი მთელი მუშაობა.

მეცადინეობას შეკრებაზე თავიდანვე მიეცა მტკიცე გეგმიანი ხასიათი, რის გამო ერთი წუთიც არ დაკარგულა ტყვილად.

წელს შეკრება დაიწყო 1 სექტემბერს, გაგრძელდება 35 დღეს და დამთავრდება 5 ოქტომბერს მანევრებით. გამოცხადება შეკრებაზე წელს სრული 100 პროცენტით ჩატარდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს მშრომელ ფართო მასების მიერ მტკიცედ და სავსებით არის შეთვისებული ტერმშენებლობის სისტემა და ტერნაწილების ცვალებადი შემადგენლობა უკლებლივ ცხადდება თავიანთ ერთეულებში.

შეკრების მასშტაბი წელს შედარებით უფრო ფართოა, ვიდრე ეს იყო წინა წლებში. გარდა ამისა დივიზია მართავს შეკრებას შევსებულ შტატების მიხედვით, რაც მეტად ართულებს ჩვენ წინ მდგომ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას. ეს იმას გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის რევსაბჭო და ჩვენი მთავრობა ტერმშენებლობის განმტკიცების საქმეს სთვლის თავის ერთ ერთ უპირველეს ამოცანად ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეში.

რაც შეეხება სამხედრო და პოლიტიკურ სწავლებას საერთო ტერშეკრებებზე, აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ დიდი მიღწევები. ამჟამად ჩვენ დამთავრებული გვაქვს ოცეულის, ასეულის და ათასეულის მომზადება და ვატარებთ რაზმების სწავლებას. ყოველივე ეს დამთავრდება ლეგიონის მომზადებით და მთელ დივიზიის მანევრებით.

მანევრების დროს დივიზიას დაემატება ცხენოსანი ნაწილები, რადიო-სადგური, ჯავშნოსანი ათასეული და სხვა ტეხნიკური საშუალებები.

ამ მანევრების ჩატარებით ჩვენ შევძლებთ არა მარტო შევაჯამოთ ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობა, არამედ გავაღრმავებთ აგრეთვე სამხარ მომზადებას მასში სხვადასხვა იარაღის ურთი-ერთ მოქმედების ელემენტების შეტანით.

მანევრებზე სხვა ტაქტიკურ საკითხებთან ერთად დამუშავებული იქნება დივიზიის მოქმედება პარტიზანულ ომის პირობებში, დივიზიის გადაყვანა წყლით, შეხვედრითი შეტევა და იერიში გამაგრებულ პოზიციაზე. თვით ტერნაწილების გარდა მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი სამოქალაქო, პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები და აგრეთვე თავდაცვა-ავიაქიმის და წითელ ჯვრის რაზმები.

ამჟამად დივიზიაში იმყოფება არმიის სარდლის თანაშემწე ამხ. ფაბრიციუსი, რომელიც ამოწმებს ცვალებადელთა შემადგენლობის სასროლო მომზადებას. ეს შემოწმება ჯერ არ დამთავრებულა, მხოლოდ აქამდის შეკრებილი ცნობები ამტკიცებენ, რომ სასროლო საქმე დივიზიაში სათანადო სიმაღლეზე დგას და შეჯიბრითი სროლები დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა.

რ.

ა.-კ. ცაკში

უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების ფილიალი

ამიერ-კავკ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამიერ-კავკ. ცაკთან დაარსდა უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების ფილიალი ამხ. გუსეინოვის, მარიამ ორახელაშვილის და სურხატიანის შემადგენლობით.

ბიუჯეტის სწორად შესრულებისათვის

დამტკიცებული ბიუჯეტის სისწორით შესრულებისათვის უზრუნველყოფის მიზნით, ამიერ-კავკ. ცაკის დადგენილებით, საფინანსო კონტროლის ორგანოებს ევალებათ უახლოესი ხელმძღვანელობა გაუწიონ სამაზრო, სათემო და სარაიონო საბიუჯეტო სარევიზიო კომისიებს.

რესპუბლიკანურ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ გამოსცენ სათანადო დადგენილებები.

საქ. სახკომსაბჭოში

ღვინის სარდაფის მოწყობა ქ. გორში

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა სავეგმო კომისიის დასკვნა ქ. გორში არსებული ღვინის სარდაფის მოსაწყობად საჭირო სახსარის გაღების შესახებ.

წინადადება მიეცა სას.-სამეურნეო ბანკს ხსენებული სახსარი შეიტანოს თავის 1928-29 წ. საკრედიტო გეგმაში.

1928-29 წ. სამრეწველო საქონლის შემოზიდვის გეგმა

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი და ა.-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატთან შეთანხმებული 1928-29 წ. სამრეწველო საქონლის შემოზიდვის გეგმა.

ამასთან ერთად წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, და სოფლის კავშირს დაუწესონ შაბიამანის შემოზიდვის ვადები, რაც უნდა ეცნობოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს.

შირაქის ნავთი

ნავთის ამოღება დაიწყო

შირაქიდან დაბრუნდა რესპუბლიკის სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. ი. ყიფშიძე, რომელიც დაესწრო შირაქის ნავთის ჭაბურღილში აღმოჩენილი ნავთიანი ფენიდან ნავთის ამოღებას.

ინჟ. ყიფშიძის ცნობით, 20 სექტემბრისათვის შირაქის ჭაბურღილის სიღრმემ მიაღწია 500 მეტრს. ამ სიღრმეზე აღმოჩენილია მეორე ნავთიანი ფენა, რომელიც შესდგება ქვიშიანი თიხის ნალექისაგან. ამ ფენიდან 20 და 21 სექტემბერს სწარმოებდა ნავთის ამოღება, ყოველ დღე-ღამეში ჭაბურღილი იძლევა 160 ფუთ ნავთს.

შირაქის ნავთიანი ადგილების დამუშავების საქმე, როგორც ცნობილია მინდობილი აქვს იტალო-ბელგიურ საკონცესიო საზოგადოებას. საკონცესიო საზოგადოების სპეციალისტების დასკვნით პირველ ჭაბურღილში აღმოჩენილი ნავთიანი ფენა არაა საექსპლოატაციო მნიშვნელობის. საექსპლოატაციო ფენა უნდა მდებარეობდეს 550 მეტრის სიღრმეზე. ეს სიღრმე მიღწეული იქნება ოქტომბრის რიცხვებში.

ბრძოლა მალარიასთან

აფხაზეთის ტროპიკულმა ინსტიტუტმა დაამთავრა საზაფხულო მუშაობა. ზაფხულის განმავლობაში პროფილაქტიური რაზმების მოქმედების ტერიტორია გასულ წელთან შედარებით თვალსაჩინოდ გაფართოებულია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მალარიასთან ბრძოლას აფხაზეთის საკურორტო ცენტრებში—გულრიფშში, სოხუმში, ახალ ათონში, კუდაუთში და გაგრაში.

ინსტიტუტისა და პოლიკლინიკის ამბულატორიის ცნობების მიხედვით, მალარიით დაავადება თვალსაჩინოდ შემცირდა.

მალარიის ეპიდემიის ყოველწლობით შემცირების გამო, თვალსაჩინოდ გაიზარდა სოხუმის, როგორც საზაფხულო კურორტის მნიშვნელობა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

როგორ არ უნდა ხდებოდეს სას.-სამ. გადასახადის გაწერა

წლევანდელი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონი, როგორც ჩვეულებრივად, სავსებით ითვალისწინებს სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის ინტერესებს. კანონი ანგარიშში ღებულობს სოფლის მეურნეობის საერთო ზრდას. როდესაც ლაპარაკობს გადასახადის საერთო გადიდებაზე. ამავე დროს ის დიდ ყურადღებას აქცევს ღარიბ მეურნეობათა გადასახადისაგან სავსებით განთავისუფლებასაც. ღარიბთა განთავისუფლება გადასახადისაგან, მცირე და საშუალო შეძლების მეურნეობათა შემოსავლის მიხედვით, დაბეგვრა, შეძლებული და კულტურული მეურნეობათა ნორმალურად დაბეგვრა და უმთავრესად გადასახადის სიმძიმის გადატანა ამ უკანასკნელი ტიპის მეურნეობაზე, ასეთია ამ მხრივ კანონის აზრი. ამ მხრივ პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებს დროულად მიეცათ სათანადო ახსნა-განმარტება.

მიუხედავად ამისა, მრავალ ადგილას გადასახადი რამოდენიმე ათეული პროცენტით გაიზარდა იმასთან შედარებით, რაც იყო გათვალისწინებული. შარშანდელთან შედარებით გადასახადი ზედმეტად და ხელოვნურად იქნა გადიდებული: ახალ-ქალაქში — 78,3 პროც., დუშეთში—126,1 პროც., რაჭაში — 111,9 პროც., ლეჩხუმში—149,7 პროც. და გორში 71,3 პროც. ამას შედეგად მოჰყვა მრავალ გლეხურ მეურნეობათა უკანონოდ დაბეგვრა.

გადასახადის ზრდა უნდა ყოფილიყო უმთავრესად დამყარებული სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობის სავსებით და რაც შეიძლება მეტი სისწორით აღრიცხვაზე. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო უნაკლოდ განვახორციელებდით პარტიის დირექტივას, რომელიც მოითხოვს გლეხობის 35 პროც. გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებას და გადასახადის ტვირთის უმთავრესად სოფლის შეძლებულ ფენებზე გადატანას. ამ მიზნით, სხვათა შორის, ახალი კანონი აწესებს ინდივიდუალურ დაბეგვრასაც. სინამდვილეში კი ბევრგან გადასახადის ობიექტების აღრიცხვის დროს მოხდა ისე, რომ ინდივიდუალური დაბეგვრა შეეხო საშუალო შეძლების მეურნეობებსაც. ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს მიწარობის გარეშე შემოსავლის ზედმეტად და კანონით გაუთვალისწინებელ პროცენტით აღრიცხვა. ამ შემოსავლის აღრიცხვის დროს ადგილობრივ ორგანოების მიერ არ იქნა გათვალისწინებული საწარმოო ხარჯები, რომელნიც გამოკლებულ უნდა ყოფილიყო საერთო შემოსავლიდან. წელს ხელფასი მთლიანად იქნა შეტანილი დაბეგვრაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეტანილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ 10-15 პროცენტით.

მიწარობის გარეშე შემოსავლის ასეთმა აღრიცხვამ მოგვცა ამ შემოსავლის არანორმალური ზრდა. მაგალითად, გორის მაზრაში გასულ წელთან შედარებით მიწარობის გარეშე შემოსავალი გაიზარდა 228,5 პროც.-ით, ოზურგეთის მაზრაში—189,8 პროც.-ით და რაჭაში 456,8 პროც.-ით. ეს აშკარად მოწმობს კანონის დამახინჯებას.

საჭიროა ენერგიული და საჩქარო ზომების მიღება ამ ნაკლულოვანებათა სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად.

საჭიროა პირველ რიგში განსაკუთრებული ფონდის შექმნა იმ მაზრებში, რომლებშიაც ადგილი აქვს გადასახადის დიდი პროცენტით ზრდას. მაგალითად, ახალ-ქალაქის, გორის, დუშეთის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრებში. საქართველოს ფინსახკომის აზრით, სადაც გადასახადი გასულ წელთან შედარებით 60 პროც.-ით მეტია, იქ უნდა შეიქმნას ფონდი, რომელიც გამოყენებულ იქნება მცირე და საშუალო შეძლების მეურნეობისათვის შეღავათების მისანიჭებლად, რათა თავიდან ავიცილოთ ამ მეურნეობათა უკანონოდ დაბეგვრა.

ამ მიზნით საჭიროა თემებში და მაზრებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შემოტანილ საჩივრების განხილვას. საჩივრების განხილვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ საშუალო შეძლების მეურნეობების გადასახადი არ იყვეს ორჯერ მეტი გასულ წელთან შედარებით. საჭიროა აგრეთვე მიწარობის გარეშე შემოსავალი გამოანგარიშებულ იქნეს საწარმოო ხარჯების გამოკლებით, ხელფასი კი 10—15 პროცენტის რაოდენობით. ამასთან ერთად გამორიცხულ უნდა იქნეს ინდივიდუალურად დაბეგვრილ მეურნეობათა რიცხვიდან შრომითი მეურნეობანი, ე. ი. ისინი, რომელნიც არ ეწევიან მევახშეობას, ვაჭრობას, არ სარგებლობენ დაქირავებულ შრომით, არ აქირავებენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და სხვა. დაბოლოს ყურადღება უნდა მიექცეს საღრიცხვო კომისიის მიერ ამა თუ იმ მეურნეობის შემოსავლის სისწორით აღრიცხვას.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით ჩვენ დავსძლებთ იმ ნაკლს, რომელიც დღეს შემჩნეულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრაქტიკაში.

გერ. ლომთათიძე.

15 სექტემბრამდე შეკრებილია 512.840 მანეთი.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადების განყოფილების ცნობით 1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის კამპანია დაიწყო აგვისტოს შუა რიცხვებში. კამპანიის დაწყებიდან 15 სექტემბრამდე მთელ ამიერ-კავკასიაში სასოფლო სამეურნეო გადასახადი აკრეფილია 512.840 მან. რაოდენობით. აქედან აზერბეიჯანში აკრეფილია — 289.493 მანეთი, სომხეთში — 152.066 მან. და საქართველოში — 71.281 მან.

დაუბეგრავი მინიმუმი წელს გადიდებულია

გადასახადისაგან ღარიბი გლეხობის განთავისუფლების მიზნით სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ გამოცემული კანონით რამოდენიმე წელიწადია დაწესებულია დაუბეგრავი მინიმუმი, ე. ი. მეურნეობის შემოსავლის უმცირესი რაოდენობა, რომელიც სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან. გასულ წელში დაუბეგრავი მინიმუმი ღარიბი მეურნეობისათვის იყო შემდეგი: მეურნეობისათვის, რომელიც ერთი ან ორი მჭამელისაგან შესდგება—90 მანეთი; მეურნეობისათვის, რომელიც სამი და ოთხი მჭამელისაგან შესდგება — 100 მანეთი, ხოლო ხუთი და მეტი მჭამელისაგან შემდგარ მეურნეობისათვის 110 მანეთი.

სასოფლო - სამეურნეო გადასახადისაგან მთელი ღარიბი გლეხობის განთავისუფლების მიზნით, მეთხუთმეტე პარტიულ ყრილობის დადგენილების თანახმად, წელს დაუბეგრავი მინიმუმი გადიდებულია შემდეგ ნაირად: ერთი და ორი მჭამელიანი მეურნეობისათვის ნაცვლად 90 მანეთისა დაუბეგრავი მინიმუმი დაწესებულია 100 მან. რაოდენობით; სამი და ოთხი მჭამელიანი მეურნეობისათვის ნაცვლად 100 მანეთის 120 მანეთის რაოდენობით, ხოლო ხუთი და მეტი მჭამელიანი მეურნეობისათვის ნაცვლად 110 მ. 130 მანეთის რაოდენობით, ამ გვარად მეურნეობანი, რომელთა დასაბეგრი მინიმუმი არ აღემატება 100 მანეთს, სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან, ხოლო თუ მეურნეობაში მჭამელთა რაოდენობა ბევრია (5 ან მეტი), მაშინ მეურნეობა გადასახადისაგან თავისუფლდება, თუ დასაბეგრი შემოსავალი არ აღემატება 130 მანეთს. ამ გვარათ წელს მეტი მეურნეობა თავისუფლდება გადასახადისაგან, ვიდრე შარშან.

კურორტი ზინობიანი

კახეთის მაზრის აღმასკომმა გამოჰყო სპეციალური კომისია ზინობიანის გარშემო წყაროების გამოსაკვლევად. გამოკვლევის მიზანია სამკურნალო საქმის მოწესრიგება. ამ წყაროებზე ზაფხულობით დიდძალი ადგილობრივი გლეხობა ჩამოდის საექიმოდ.

ა.-კ. სატყეო მეურნეობა

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ ამხ. ელიავას ხელისმოწერით საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის სახკომსაბჭოების თავმჯდომარეებს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ამიერ-კავკ. სატყეო მეურნეობისა და სატყეო მრეწველობის გასაჯანსაღებლად და რაციონალიზაციისათვის სატყეო მეურნეობის საკითხის გამო შესდგა განსაკუთრებული კომისია ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევიდენ ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების, ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიის, ამიერ-კავკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელნი.

„მიზეზი, რომელმაც აიძულა ამიერ-კავკ. სახკომსაბჭო განსაკუთრებული ყურადღება მიექცია სატყეო მეურნეობისათვის,—ნათქვამია წერილში,—არის ის უსისტემობა და საერთო უყაირათობა ამ დარგში, რომელსაც ადგილი აქვს ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში. ისე მოვლენები, როგორიც არის ცენტ. სატყეო სამმართველოთა მუშაობის შეუთანხმებლობა ტყეების ექსპლოატაციის საქმეში, ადგილობრივი ორგანოების ჩარევა ოპერატიულ მუშაობაში და სხვ., მაშინ, როდესაც ამიერ-კავკ. ტყეების საქმე საერთოდ მოუწყობელია და ტყეებიც ნაკლებ მისაწვდომია, დიდ გავლენას ახდენს ტყეების ისედაც დაბალს შემოსავლიანობაზე.

კომისიას დაევალა მოკლე ხნის განმავლობაში—მიმდინარე წელს 1-ლ დეკემბრისათვის—გამოარკვიოს ღონისძიებათა სისტემა, რომლის გატარებაც შესაძლებელი იქნება ახლავე ამიერ-კავკასიის სატყეო მეურნეობაში მთავარი დეფექტების აღმოსაფხვრელად და ამ მეურნეობის შემოსავლიანობის ასაწევად.

კომისიას წინადადება მიეცა 1928—29 წელსვე გამოარკვიოს განზრახულ ღონისძიებათა შესაძლებელი ეფექტიობა. მთელი გეგმა, რომელსაც კომისია შეიმუშავებს, უნდა განხორციელდეს მახლობელ წლებში.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭო სთხოვს საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის სახკომსაბჭოებს გაუწიონ კომისიას მაქსიმალური დახმარება მუშაობის დროს. (ადს).

მედსანშრომის მუშაკთა მე-7 ყრილობა

ყრილობის გახსნა

25 სექტემბერს, საღამოს, გაიხსნა მედსანშრომის მუშაკთა მე-7 ყრილობა. ყრილობის გახსნისას კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ჯიჯაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე ყრილობის წინაშე გადასაჭრელად დასმულია მთელი რიგი ისეთი ახალი საკითხები, რომელთა სათანადოდ მოგვარებაში უაღრესადაა დაინტერესებული კავშირის მთელი მასა.

საქმიანი პრეზიდიუმის, სამდივნოსა და სამანდატო კომისიის არჩევნების შემდეგ, ყრილობა საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად ირჩევს ამხ. სტალინს, რიკოვს, კალინინს, ვოროშილოვს, ბუხარინს; ტომსკის; მოლოტოვს, ორჯონიკიძეს, ფ. მახარაძეს, მ. ცხაკაიას, ლ. ქართველიშვილს; მ. კახიანს, გ. ქუჩაიძეს, მამია ორახელაშვილს, ქსენიუშკინს, ჯუღელს, თოდრიას და სემაშკოს.

პრეზიდიუმის წინადადებით ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკას, საქ. კ. პ. (ბ) ცკას, საქ. ცაკს და სახკომსაბჭოს და საქ. პროფკავშირთა საბჭოს.

ცენტრალურ გამგეობის მუშაობა

ცენტრალური გამგეობის მუშაობა-საქმიანობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ც. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. ჯიჯაძე. თავის მოხსენების პირველ ნაწილში მან აღნიშნა, რომ განვლილი პერიოდის განმავლობაში, რაც უდრის წელიწადს ნახევარს, ადგილი ჰქონდა კავშირის წევრთა შესამჩნევ ზრდას. სულ ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. მიმდინარე წლის აპრილისათვის კავშირის წევრთა რიცხვი უდრიდა 11.618 კაცს, ე. ი. წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაზრდილა 12,9 პროც. ამავე ხნის განმავლობაში შესამჩნევი იყო უმუშევართა ზრდაც, რაც მომხსენებლის სიტყვით აიხსნება იმ გარემოებით, რომ ადგილი ჰქონდა კავშირის ახალი წევრებს მიღებას, უმუშევრების ჩამოსვლას სხვა რესპუბლიკებიდან და სხვ.

მასიური მუშაობის დარგში ადგილი ჰქონდა სექციების ჩამოყალიბებას ყველა მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ტარდებოდა საანგარიშო კამპანიები, როგორიც არის პირველ მაისის კამპანია, მუშა-ქალთა დღე, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე, ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია და სხვა. გასული პერიოდის განმავლობაში ცენტრალურმა გამგეობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კოლექტიური ხელშეკრულებებისა და სატარიფო შეთანხმებების დადებას. კოლექტიური ხელშეკრულებებითა და სატარიფო შეთანხმებებით კავშირის წევრთა ხელფასი შესამჩნევად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამადაც, მაგალ., ექიმების ხელფასი არ არის საკმაო დონემდე აყვანილი, მაინც, გასულ პერიოდთან შედარებით, ამჟამად ეს ხელფასი შესამჩნევადაა გადიდებული.

დასასრულ მომხსენებელი ვრცლად ჩერდება ცენტრალური გამგეობის მუშაობის დეფექტებზე და ამ დეფექტთა შორის ასახელებენ შემდეგს: ზოგიერთი ადგილკომები ვერ სარგებლობენ სათანადო ავტორიტეტით კავშირის წევრთა მასაში, პროფესიონალურ მუშაობაში სუსტად არიან ჩაბმულნი ქალები და ახალგაზრდები, ადგილი აქვს ზოგიერთ მაზრებში კავშირის წევრთა დავალიანებას, ნაკლები ყურადღება ექცევა სექციების საჭიროებებს, და სხვა.

ამისთანავე მომხსენებელი ეხება ყველა მ საშუალებებს, რომელთა წყალობით შესაძლებელი იქნება ხსენებულ დეფექტების თავიდან აცილება მომავალში.

ამხ. ა. ჯიჯაძის მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობის პირველი სხდომა დაიხურა.

სას.-სამ. მუშაკთა მე-6 კონფერენცია

გუშინ, გლეხთა სახალხო დარბაზში გაიხსნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა რესპუბლიკანური კონფერენცია, რომელზედაც პროვინციიდან ჩამოსულია 600 დელეგატზე მეტი. კონფერენციას ესწრება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მუშაკთა თბილისის აქტივი და სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შორის, აღსანიშნავია—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება სოფლის-მეურნეობის განვითარების 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შესახებ და სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს მოხსენება საგლეხო მეურნეობის დაზღვევის შესახებ.

კონფერენციის პირველ სხდომაზე სას.-სამ. მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტრ. გამგ. თავმჯდომარე ამხ. გ. სიხარულიძემ. მან აღნიშნა, რომ ამჟამად კავშირი მთელ რესპუბლიკაში აერთიანებს 25.000-ზე მეტ წევრს. უკანასკნელი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა კავშირის წევრთა ზრდას უმთავრესად მოჯამაგირეების ხარჯზე.

უკანასკნელი წლის განმავლობაში შესამჩნევად გაძლიერდა მუშაობა მოჯამაგირეთა შორის. მთელ რიგ ადგილებში მოწყობილია მოჯამაგირეთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდ. პუნქტები. ცენტრ. გამგეობის დადგენილებით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა დასრულდეს უახლოესი წლის განმავლობაში.

შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ მაზრებში კულაკურ ელემენტებს დაქირავებული ჰყავთ მოჯამაგირე მუშა-ხელი და ამის შესახებ ისინი ცნობებს არ აძლევენ კავშირს. მოჯამაგირეებშიაც არ არის შესაფერი შეგნება, რომ მათ თვითონ იბრძოლონ ამგვარი დამქირავებლების წინააღმდეგ.

ამ მოვლენებთან ბრძოლაში კავშირს დიდ დახმარებას უწევს გაზ. „მოჯამაგირეთა ხმა“.

შედარებით დამაკმაყოფილებლად სწარმოებს მუშაობა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში მომუშავეთა შორის.

მოხსენებამ დელეგატებში დიდი ინტერესი გამოიწვია და მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები.

34.200.000 მანეთი ტყვარჩელის სამუშაოებისათვის

24 სექტემბერს ამხ. გ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ ტყვარჩელის პრობლემის შემსწავლელი კომისიის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრნენ საკავშირო ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსებულ „ტყვარჩელსტროის“ საორგანიზაციო ბიუროს წარმომადგენლები ამხ. გორბაჩოვის მეთაურობით. გარდა ამისა თათბირზე მონაწილეობა მიიღეს ამიერ-კავკასიის და საქართველოს საგეგმო კომისიების წარმომადგენლებმა, ა.-კ. გზათა სამმართველოს, შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოს, პროფსაბჭოს და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

თათბირმა განიხილა ტყვარჩელის სამრეწველო რაიონში აღმშენებლობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა და მოისმინა საანგარიშო მოხსენება ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ ტყვარჩელის კომისიის მუშაობის შესახებ. ტყვარჩელის სამრეწველო რაიონში გასაწევი კაპიტალური ხარჯები თათბირმა განსაზღვრა 34.200.000 მანეთით. ამ თანხიდან მომავალ 1928-29 საანგარიშო წლის განმავლობაში დახარჯული იქნება 8.000.000 მანეთი.

5 წლიანი პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები დამთავრებული უნდა იქნეს 1930-31 წლის ბოლოსთვის. ამ დროისთვის, თათბირზე გამოთქმული აზრით, შესაძლებელი იქნება ქვანახშირის მაღაროების ექსპლოატაციის დაწყება.

თათბირმა იმსჯელა აგრეთვე ტყვარჩელის ე. წ. ძირითად სამუშაოებზე. პირველ რიგში განხილული იქნა ტყვარჩელის სამრეწველო რაიონიდან ქვა-ნახშირის გასაზიდი ნავთსადგურის მოწყობის საკითხი. წარმოდგენილი სამი ვარიანტიდან თათბირმა უფრო მიზანშეწონილად აღიარა, რომ ნავთსადგური აგებულ იქნეს ქალ. სოხუმში. განზრახულ ადგილას ნავთსადგურის აგება დაჯდება 8 მილიონი მანეთი. ნავთსადგურის აგება უნდა მოესწროს უახლოესი 3 წლის განმავლობაში. ნავთსადგურის აგების დროისათვის დამთავრებული იქნება ქვანახშირის მასალები მაღაროების გაყვანა და უკვე შესაძლებელი გახდება ქვანახშირის ნაწილობრივი ამოღება.

სხვა სამუშაოთა შორის, პირველი წლების განმავლობაში დამთავრებული იქნება რკინის გზის გაყვანა ტყვარჩელიდან ოჩემჩირემდე (34 კილომეტრის მანძილზე). გაყვანილი იქნება აგრეთვე გზატკეცილი ოჩემჩირიდან ტყვარჩელამდე, რაც დაჯდება 800,000 მანეთი.

ქვანახშირის ამოღების გეგმის განხილვის დროს თათბირმა მიიღო შემდეგი პროგრამა: მაღაროების ექსპლოატაციის პირველ წელს ამოღებული უნდა იქნეს 6 მილიონი ფუთი ქვანახშირი, მე-2 წელს ამოღებული იქნება 40.000.000 ფუთი, ხოლო მესამე წელს—50 მილ. ფუთი. შემდეგ წლებში კი ქვანახშირის ამოღება შეიძლება აყვანილ იქნეს 100 მილიონ ფუთამდე წელიწადში.

დასასრულ თათბირზე გამოითქვა სურვილი, რომ საქართველოს ს. მ. უ. საბჭოსთან დაარსდეს ტყვარჩელის სააღმშენებლო სამუშაოთა ხელისშემწყობი კომიტეტი. კომიტეტის მოსაწყობათ საჭირო საორგანიზაციო მუშაობა უკვე დაწყებულია.

საქართველოს სატყეო მრეწველობის გამოკვლევა

გამოკვლევამ გამოაშკარავა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები. — ქაოტიური მდგომარეობა ხე-ტყის დამზადების საქმეში. — ხე-ტყის მასალას აძვირებს ზედმეტი ზედნადები ხარჯები. — საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატის ღონისძიებები სატყეო მრეწველობის გასაუმჯობესებლად

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის განსაკუთრებულმა კომისიამ მოახდინა მრეწველობის გამოკვლევა, გამოკვლეულ იქნა შემდეგი სახერხი ქარხნები: საქართ. სატყეო მრეწველობის ტრესტის ქარხნები ახალციხეში, და ახალდაბაში, საქ. კურორტთა სამმართველოს ქარხანა—აბასთუმანში, ახალციხის სამაზრო გლეხკომის ქარხნები—აგარაში და აწყურში, ადგილობრივი აღმასკომების ქარხნები—ახალციხეში, ხაშურში და გორში. გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი:

ხე-ტყის ექსპლოატაციის საქმეში არავითარი გეგმიანობა არ არსებობს. ხე-ტყის მასალის დამუშავებას აწარმოებს ყოველი ორგანიზაცია, ვისაც კი მოესურვება. ხე-ტყის დამუშავებას ისინი უყურებენ როგორც იოლ საშუალებას თავის შემოსავლის გადიდებისათვის, რასაც ისინი აღწევენ სატყეო მეურნეობის დანგრევით. ხე-ტყის დამზადების საქმეში ასეთი ქაოტიური მდგომარეობისა და უგეგმობის გამო სახერხი ქარხნები საკმაო რაოდენობით ვერ იღებდნენ გადასამუშავებელ ხე-ტყის მასალას. 1926-27 წ. სახერხ ქარხნებს ნედლეული დააკლდათ საშუალოდ 30.6 პროც. რაოდენობით, ვინაიდან ნედლეულის პროც. რაოდენობით, 1927-28 წელში—38,7 მარაგი საკმაო არაა ყველა სახერხი ქარხნებისათვის, ისმება ზოგიერთი მათგანის დახურვის საკითხი.

საწარმოო პროგრამა არც ერთ წარმოებას არ აქვს (გარდა სატყეო ტრესტისა). ქარხნები თავისი პროდუქციის დამზადების დროს ანგარიშს არ უწევდნენ საწარმოო შესაძლებლობას ემყარებოდნენ მიღებული ნედლეულის მხოლოდ შემთხვევით რაოდენობას. სატყეო ტრესტი თავის საწარმოო პროგრამას ადგენდა ისე, რომ მას არ უკავშირებდა ფინანსიურ შესაძლებლობებს და მხედველობაში არ იღებდა თავისი ქარხნების საწარმოო შესაძლებლობას, რის გამოც მას უხდებოდა თავისი პროგრამის შემცირება და ვერ აღწევდა მომქმედ წარმოებათა სრულ რენტაბელობას.

წარმოების ძირითადი ფაქტორები—საწარმოო პროცესების მეთოდი, სისტემა და ორგანიზაცია არ არსებობდა, ვინაიდან არც ერთ ქარხანას არ ჰქონდა გამორკვეული, სხვადასხვაგვარი ეკონომიური და ტეხნიკური ფაქტორების გავლენა წარმოების ელემენტების სოციალურად და მაქსიმალურად გამოყენებაზე. ამ ქარხნებს არ აქვთ ნორმები და სტანდარტები (ქარხანაში დამუშავებული ხე-ტყის მასალების ხარისხობრივი შერჩევა, ე. ი. ნედლეულის სიდიდე და ტეხნიკური პირობები) როგორც იმ ნედლეულისა, რომელიც მათ უნდა გადაამუშაონ, ისე იმ მასალების, რომლებსაც ისინი აწარმოებენ. არ სწარმოებს მისაღები მასალების ხარისხობრივი შერჩევა, ე. ი. ნედლეულის მიღება შემთხვევით ხასიათს ატარებს; ამის გამო იხარჯება ნედლეულის ზედმეტი რაოდენობა, რაც იწვევს თვითღირებულების გადიდებას. გამოკვლეულ ქარხნებში არ არსებობს დამხმარე მასალების მოხმარების ნორმები და ტეხნიკური პირობები, რაც აბრკოლებს ქარხნების მუშაობას. არც ერთ ქარხანაში არ სწარმოებს ცალკე დაზგებისა და მექანიზმების ურთიერთ მოქმედების შემოწმება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ წარმოებაში. თუმცა გამოირკვა, რომ ზოგიერთი დაზგები არ შეეფერება თავის დანიშნულებას, ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული სისწორით, თუ როდის გამოიცვლიან ამ დაზგებს. არც ერთ ქარხანაში არ არსებობს დაზგების ნაყოფიერებისა და დატვირთვის ნორმა, რის გამო ეს ნორმები სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ქარხნებში. მიუხედავად შრომის სახ. კომისარიატის მოთხოვნისა, საკმაო ყურადღება არ ექცევა მთელ რიგ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას უშიშროების ტეხნიკის დარგში. დაძველებული ტიპის მთავარი დაზგები და გადამცემი მექანიზმები გაცვეთილია და სათანადოდ არ არის მოვლილი. ამის გამო დადგმულობათა ძალოვნება ქარხნებში ნაკლები იყო საშუალოდ 38 პროც., რაიც იწვევდა შრომის ნაყოფიერების დაცემას ამავე პროცენტით და საქარხნო ხარჯების გადიდებას. არც ერთი ქარხანა არ ცდილობს გააუმჯობესოს ნედლეულის გადამუშავების მეთოდები შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით. მუშა-ხელის მტკიცედ შერჩევა ქარხნებში არ სწარმოებს, მუშა-ხელის კვალიფიკაცია მცირეოდენი გამონაკლისით, დაბალია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე. ყოველივე ეს მოწმობს, რომ გამოკვლეულ ქარხნებში არ არსებობს ის აუცილებელი პირობები, რომელთა საშუალებით შესაძლო იყო ნედლეულის და მუშახელის რაციონალურად გამოყენება და არსებული ტეხნიკური მოწყობილობის სწორი დატვირთვა. სათანადო ნიადაგზე არ არის დაყენებული აგრეთვე ტეხნიკური კონტროლი და აღრიცხვა წარმოებაში.

ქარხნების ტერიტორია (გორის აღმასკომის და სატყეო ტრესტის ქარხნების გარდა) საკმაო არ არის. ქარხნების ეზოებში ჰყრია ნარჩენები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხე-ტყის მასალის გაფუჭება და რაიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს ხანძარის მხრივ. ქარხნებს არ აქვთ სპეციალური საშრობი და არც სპეციალური შენობები ხე-ტყის მასალის ჰაერზე გასაშრობად, რაც გავლენას ახდენს ქარხნების პროდუქციის ხარისხზე. ქარხნებს არ აქვთ საკმაო საწყობები, რის გამოც დასახერხი მასალა ცის ქვეშ არის. ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებანი ქარხნებში საკმაო არ არის.

ნედლეული და დამზადებული მასალების საშინაო ტრანსპორტი დამაკმაყოფილებელია მხოლოდ გორის ქარხანაში, დანარჩენ ქარხნებში ტრანსპორტი ცუდ მდგომარეობაშია. არც ერთ ქარხანაში არ არის ტრანსპორტები და გადასატვირთი მოწყობილობა, რაიც ადიდებს პროდუქციის ღირებულებას. ხე-ტყის გადასაზიდი ტრანსპორტის პირობები დამაკმაყოფილებელია ყველა ქარხნებში, გარდა ახალციხის მაზრაში მდებარე ქარხნებისა, რომლებიც დაშორებულნი არიან რკინის გზის ხაზს და რომელთა პროდუქცია საურმე გზის ხარჯების სიდიდის გამო ძვირი ჯდება.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ჩვენი სახერხი ქარხნები სწორ ნიადაგზე არ არიან დაყენებული როგორც ადმინისტრატიულ-ტეხნიკური, ისე ფინანსიური მხრივ. ქარხნების მმართველობა (გორის ქარხნის გარდა) ცენტრალისტურია, მაგრამ ცენტრის ზედამხედველობა და ტეხნიკური ხელმძღვანელობა ძალიან სუსტია, ქარხნების გამგეები მცირეოდენი გამონაკლისით, არ შეეფერება თავის დანიშნულებას. მოსამსახურეთა შემადგენლობა საანგარიშო და საწყობის აპარატებში არ არის დამაკმაყოფილებელი. ანგარიშწარმოება ქარხნებში (გარდა გორის ქარხნისა) ძალიან ცუდათაა დაყენებული და საჭიროებს რეორგანიზაციას. ქარხნების სალაროები ცენტრალიზაციაქმნილია, რაც ართმევს საშუალებას წარმოებას დროზე დაურიგოს ხელფასი მუშებს. ამ ნიადაგზე ხშირად აქვს ადგილი უკმაყოფილებას და გაუგებრობას მუშებს შორის.

მუშათა შტატი ძალიან დიდია თითქმის ყველა ქარხნებში და აუცილებელია ამ შტატის გადასინჯვა როგორც რიცხვობრივი, ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. ქარხნებთან არ არის ბინები მუშებისათვის, რის გამოც მუშებს უხდებათ 3—8 ვერსის გავლა. სანიტარული პირობები არც ერთ ქარხანაში (გარდა ახალციხის ქარხნისა) არ არის დამაკმაყოფილებელი.

არც ერთ გამოკვლეულ ქარხანას არ აქვს თვითღირებულების სწორი კალკულიაცია. თვითღირებულება მათ გამოჰყავთ შემთხვევითი პირობების მიხედვით.

საქ. მუშათა-გლეხთა ინსპექციის კოლეგია ხე-ტყის ქარხნებში არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად და მათი მუშაობის გამოსაჯანსაღებლად საჭიროდ სცნობს შემდეგ ღონისძიებათა მიღებას:

ხე-ტყის ნედლი მასალა ქარხნებს უნდა ეძლეოდეს მტკიცე გეგმიანი წესით და ამ ქარხნების მოთხოვნილებათა მიხედვით. იმ ორგანიზაციებს, რომელთა განკარგულებაშიაც იმყოფებიან სახერხი ქარხნები, მიეცეს წინადადება შეიმუშაონ დაწვრილებითი საწარმოო პროგრამები და ხარჯთაღრიცხვები. ამავე ორგანიზაციებს მიეცეს წინადადება ნედლეულის ჩაბარება და მიღება აწარმოონ წარმოების ნაწარმოებისა და სტანდარტების თანახმად და გეგმიან ნიადაგზე დააყენონ ქარხნებისათვის საჭირო დამხმარე მასალების მიწოდება.

აცილებულ იქნას ქარხნების მოწყობილობაში არსებული დეფექტები და უახლოეს ხანში იქნეს გამოცვლილი დაზგები, რომლებიც არ შეეფერება თავის დანიშნულებას. სხვადასხვა ხარისხის ხე-ტყის მასალის დამუშავების დარგში დაწესებულ იქნას ნაყოფიერების და დაზგების დატვირთვის ფორმები. მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები უშიშროების ტეხნიკის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად. სისწორით იქნას გამორკვეული, თუ რამდენი მექანიკური ძალა ესაჭიროება ქარხნებს და აღებულ იქნას მექანიზმების მავნე ურთიერთი მოქმედება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნედლეულის დამუშავების მეთოდების გაუმჯობესებას და სათანადოდ იქნას შესწავლილი ეს საქმე წარმოებებში, რისთვისაც დაინიშნოს სპეციალისტი-ინსტრუქტორი.

გადასინჯულ იქნას მუშათა შემადგენლობა და აწეულ იქნას მათი კვალიფიკაცია. დაწესებულ იქნას გამომუშავების ნორმა მუშებისათვის და მოხდეს გადასვლა ნარდ მუშაობაზე. მიღებულ იქნას ზომები ტეხნიკური კონტროლისა და აღრიცხვის სათანადო ნიადაგზე დასაყენებლად.

შეძლებისდაგვარად გაფართოვდეს ქარხნების ტერიტორია. დაუყოვნებლივ იქნას გაწმენდილი ქარხნების ეზოები ნარჩენებისაგან და მომავალში სრული სისუფთავე იქნას დაცული. დამუშავებული ხე-ტყის მასალის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად და აუცილებლად იქნას ცნობილი მასალის ჰაერზე გაშრობის სისტემის შემოღება. გაძლიერებულ იქნას ხანძრის საწინააღმდეგო ზომები.

გადიდებულ იქნას გზებისა და მოძრავი შემადგენლობის რაოდენობა. იმ ქარხნებმა, რომლებიც შორს იმყოფებიან რკინის გზის ხაზიდან და რომლებსაც ძვირი უჯდებათ საურმე გზის ხარჯები, თავისი საწარმოო პროგრამა უნდა შეუფარდონ მხოლოდ შინაურ მოთხოვნილების ბაზარს და ხელი უნდა აიღონ გარეშე ბაზარზე. წინადადება მიეცეს დამამზადებელ ორგანიზაციებს, რომ ქარხნებში გასაგზავნი ნედლეული აუცილებლად დაახარისხონ.

გაძლიერებულ იქნას ზედამხედველობა ქარხნებში და ცენტრის ტეხნიკური ხელმძღვანელობა. გადასინჯულ იქნას მოსამსახურეთა შტატი ხარისხის მხრივ. ქარხნებში შემოღებულ იქნას ერთგვარი ანგარიშწარმოება და სავსებით იქნას დაცული კანონიერი ფორმები და ინსტრუქციები, ჩატარდეს ზომები მუშების მიერ ხელფასის თავის დროზე მიღების უზრუნველსაყოფად; პასუხისმგებლობა ამ საქმეში დაეკისროს ცენტრის ადმინისტრაციას. გამომუშავებულ იქნას შინაგანი განწესრიგების წესები ყველა ქარხნებისათვის.

ჯეროვანი ყურადღება მიექცეს კვალიფიციური მუშა ხელის ახალი კადრების მომზადებას. მოგვარებულ იქნას საბინაო საკითხი ქარხნებში შესრულებულ იქნას შრომის სახ. კომისარიატის მოთხოვნილება შრომის სანიტარული პირობების გაუმჯობესების შესახებ.

გარდა ამისა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგია საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნას ღონისძიებანი სატყეო მრეწველობის საკითხის მოსაგვარებლად და მისი პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად (თვითღირებულება 1929 წლის იანვრისათვის უნდა შემცირდეს 14 პროცენტით მაინც). ახალციხის ქარხნის ნაყოფიერება განისაზღვროს 200.000 კუბ. ფუტი სახერხი მასალის დამზადებით, რაც საკმაოა ადგილობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ბორჯომის მინერალური წყლისათვის საჭირო ყუთები დამზადდეს უმთავრესად ახალდაბის ქარხანაში; ამ ქარხნის ნაყოფიერება განისაზღვროს 200.000 კუბ. ფუტით. მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუძლებლად სცნობს დაკმაყოფილებულ იქნას კურორტთა მთავარ სამმართველოს თხოვნა ამ ქარხნის მისთვის გადაცემის შესახებ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია მიზანშეწონილად სცნობს ეს ქარხანა დარჩეს სატყეო ტრესტის გამგებლობაში.

გორის სახერხი ქარხანა გადაეცეს სატყეო ტრესტს; ამ ქარხნის ნაყოფიერება აყვანილ იქნას 250.000 კუბ. ფუტამდე. ახალციხის და ხაშურის აღმასკომების და აგარის და ახალციხის სამაზრო გლეხკომების ქარხნებში, როგორც არარენტაბელური და როგორც ცუდი ხარისხის მასალის დამამზადებელნი, დაიხუროს. აწყურის ქარხანა დარჩეს მხოლოდ ადგილობრივ გლეხების ხე-ტყის მასალების დასახერხად. ხაშურში გაიხსნას ხე-ტყის მასალის საწყობი.

მცხეთის სახერხი ქარხნის ნაყოფიერება აყვანილ იქნას სრულ დატვირთამდე—800.000 კუბ. ფუტამდე. ამ ქარხანაში გაიგზავნოს საუკეთესო ხარისხის ნედლეული. ამგვარად, ყველა სახერხი ქარხნების ნაყოფიერება ხე-ტყის მასალის დამუშავების მხრივ აყვანილ უნდა იქნას 2.000.000 კუბ. ფუტამდე.

რა ხდება „უოკეი კლუბში“
(მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

„უოკეი კლუბი“-ს გარშემო ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ მკითხველის ყურადღება კვლავ გვინდა შევაჩეროთ ამ კლუბის არსებობაზე, იმ მასალების მიხედვით, რომლებიც დააგროვა საქ. მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატმა ხსენებულ კლუბის „მოღვაწეობის“ გამოკვლევის შემდეგ.

„უოკეი კლუბი“ აღებული აქვს საქ. მიწსახკომის ცხენთაშენის სამმართველოს საექსპლოატაციოთ, ამ უკანასკნელისათვის საშემოსავლო წყაროს გასაძლიერებლად. რაკი საქმე შემოსავალზე მიდგა, მივიწყებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კლუბებისათვის სავალდებულო ყოველგვარი კულტურული მუშაობა. ის „უოკეი კლუბში“ [illegible] სხვადასხვა სახის საზარტო სათამაშოებმა, როგორიც არის: პტი-შვო, კაზინო, ლოტო, შმენდეფერი, ნარდი, ბილიარდი და სხვა, უხვად მიიზიდა სხვადასხვა ჯურის საეჭვო ელემენტები და ამ რიგად „უოკეი კლუბი“ გადაიქცა ყოფილ თავად-აზნაურთა ჩარჩ-ვაჭართა და სხვა ტიპის გაიძვერათა ბუნაგათ.

„კლუბის შტატის 90 პროც. არა კავშირის წევრებია, მეტი ნაწილი ყოფილი ვაჭრები და თავად-აზნაურები. ისინი მიღებულ არიან სამსახურში შრომის ბირჟის გარეშე“, ასე ლაპარაკობს კომისია თავის დასკვნაში.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი საშემოსავლო წყაროებისა, როგორიც არიან ზემოხსენებული სათამაშოები, რესტორანი, ლატარეია თუ სხვა მომგებიანი არიან, „უოკეი კლუბი“-ს საერთო ზარალი 1 აგვისტოსათვის მაინც უდრიდა 24.188 მანეთს.

ყველა ეს კი შედეგია კლუბის ადმინისტრაციის უყაირათო და დაუდევარი მუშაობის. კლუბის ადმინისტრაციის მიერ გაწეულია მრავალი უკანონო და მიზანშეუწონელი ხარჯები: კლუბის შეკეთებაზე ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი დახარჯულია 6.729 მ. და 53 კაპ.

კლუბის გამგეს მოქ. ჩხეიძეს ვიღაც ლიუბიმოვიდან შეუძენია ელექტრო-წისქვილი (სათამაშო), ეგრედწოდებული „მულენ-ელექტრიკ“ 1800 მანეთად, რომელიც უვარგისი გამომდგარა და უსარგებლოდ გდია ღია საწყობში, რომლიდანაც გადაუძვრიათ და მოუპარავთ მაუდი. ასევე ვიღაც კერძო პირის საშუალებით შეუძენია მოქ. ჩხეიძეს კლუბისათვის საჭირო სკამები, რომლებიც ისე სუსტი გამომდგარა, რომ სულ მოკლე დროის განმავლობაში 27 სკამი სრულიად გამოუსადეგარი გახდა. კერძო ვაჭარ სიმონიანცისაგან შეუძენიათ კლუბის რესტორანის საჭიროებისათვის სხვადასხვა ჭურჭლეულობა, რომელშიც მიცემულია 328 მან. მეტი მუშკოოპის ფასებთან შედარებით.

ყველა საჭირო ნივთების — ინვენტარის, სურსათ-სანოვაგის თუ სხვა შეძენას კლუბის ადმინისტრაცია აწარმოებდა კერძო ვაჭრებისაგან და კერძო შუამავლების საშუალებით, რა თქმა უნდა გაბერილ ფასებში და ამასთანავე ერთად ადგენდა ყალბ საბუთებს, რომლის არა ერთი შემთხვევაა ჩამოთვლილი მასალებში.

რომ „უოკეი კლუბი“-ს სახელი და დიდება მთელ მსოფლიოს მოსდებოდა იგი შეტანილია „ტრანსრეკლამის“ მიერ გამოცემულ სხვადასხვა ენებზე საგანგებო ცნობაში, რისთვისაც გადახდილია 375 მანეთი.

ეხლა ვიკითხოთ შტატები და ხელფასი. კლუბის შტატები მეტის მეტად გაბერილია და ზოგიერთ თანამშრომლების მიერ მიღებული პროცენტიული ჯილდო სამჯერ აღემატება ძირითად ჯამაგირს.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ კლუბს კულტურული მუშაობა სრულიად მივიწყებული ჰქონდათქო. აქ საჭიროა შევეხოთ მის „კულტურულ“ მუშაობასაც გაკვრით.

არც მთლად ისე პასიური იყო „უოკეი კლუბის“ ადმინისტრაცია „კულტურული საქმიანობის“ დარგში. სეზონის გახსნის თანავე უხვად დარიგდა „საპატიო ბილეთები“, რომლებიც აღმოაჩნდათ სხვადასხვა კერძო ვაჭრებსაც. კლუბის გამგე ჩხეიძე ჰყიდდა საპატიო ბილეთებს და ფულები თავისი საკუთარი ბიუჯეტის გასაძლიერებლად მიდიოდა. კლუბში აგრეთვე მოწვეული იყვნენ სხვადასხვა მომღერლები, მსახიობები, მოცეკვავეები. კლუბი „უცხო“ გემოვნებაზე იყო მოწყობილი და ადგილობრივი კულტურული ძალები აქ ნაკლებად იყვნენ მუშაობაში ჩაბმული. შორიდან მოწვეულ პირებს, რა თქმა უნდა ჯილდო ცოტა არ ეყოფოდა და ამიტომ ყაირათიანი“ ჩხეიძე ზოგ მათგანს თვეში 2.000 მანეთს აძლევდა.

კლუბის ანგარიშ-წარმოება აწეწილ-დაწეწილი აღმოჩნდა, არავითარი აღრიცხვა ინვენტარისა კლუბში არ იყო ნაწარმოები, ეს ალბათ იმიტომ, რომ ფართე ასპარეზი გაეხსნათ ბოროტმოქმედებისათვის. უამრავი სახელმწიფო ქონება უპატრონოდ იყო დაყრილი.

ყველა ეს კი შედეგია სუსტი ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის იმ უწყების მხრივ, რომლის უშუალო გამგებლობაშიც იყო „უოკეი კლუბი“. ცხენთაშენის სამმართველო კლუბს არ უწევდა სათანადო ხელმძღვანელობას. აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე დღით ადრე, სანამ მ.-გ. ინსპექციის რევიზია დაიწყებოდა, კლუბში უმუშავნია საწყობო კომისიას, რომელსაც „ყველაფერი რიგზე დახვედრია“ (?).

დროა აღმოფხვრას საქმისადმი ასე ზერელე მიდგომის პრაქტიკა ჩვენი უწყებების მუშაობიდან. „უოკეი კლუბში“ მოკალათებულ გმირებს ალბათ სხვაგანაც ეყოლებათ მემკვიდრეები, საჭიროა იმათი ბუნაგსაც მივაგნოთ და დავშალოთ იგი.

ზანი.

„თეთრი დუქნის“ გმირები

შაბათს (23 სექტემბერს) ღამით ქალაქ გარეთ „თეთრ დუქანთან“ ობლად იდგა ერთი ავტომობილი.

„თეთრი დუქანი“ გაგიგონიათ, ალბათ. ეს არის სამიკიტნო, რომელსაც ეტანებიან უმეტესად ზნედაცემული „მანდილოსნები“, სადაც ღამ-ღამობით ყოველთვის აყალ-მაყალი და წივილ-კივილი გაისმის და სადაც ხშირია ბებუთების და ხანჯლების ტრიალი.

„თეთრ დუქანს“ ეტანებიან აგრეთვე თბილისელი „კვარტისტები“, რომლებისთვისაც უდიდეს მიღწევას და „პურ-მარილის“ საზეიმო დაგვირგვინებას წარმოადგენს „თეთრ დუქანში“ შემოთენება.

„თეთრ დუქანს“ შაბათს თბილისელი პასუხისმგებელნი ეწვიენ. მიკიტანი ფეხზე იდგა და თავს ევლებოდა სტუმრებს. მეარღნე აზარტში იყო შესული და ერთი „პესნადან“ მეორეზე გადადიოდა.

მეურმე გლეხები გაჩერებულიყვნენ და შორიდან უყურებდენ მოქეიფე ხალხის დროს ტარებას.

მალი გლეხებს მობეზრდა მოქეიფეთა ცქერა და ისინი გაუდგენ გზას. მიეჩქარებოდათ ქალაქისაკენ. სადაც ჭირნახული მოჰქონდათ გასასყიდად.

მეურმეები მიუახლოვდნენ საბურთალოს. უკვე დილის 5 საათია.

უკანიდან მოისმის მაღალი სიმღერა და გამოჩნდა ავტომობილიც, რომელიც თავაწყვეტით მოჰქრის.

ერთი წუთი და ავტომობილი დაეძგერა ურემს, რომელზედაც იჯდა მეურმე აბრამ ასურაშვილი.

ურემი იქცა ნამსხვრევებად. გლეხი მოჰყვა ავტომობილსა და ურემს შუა.

დავარდა სულ-მობრძავი გლეხი. ფეხები გადამტვრეული აქვს, თავიდან ითქრიალა სისხლმა.

გლეხებმა ასტეხეს ყვირილი. მივარდენ მომაკვდავ გლეხის წამოსაყენებლად.

შოფერმა მოატრიალა საჭე. არც კი შეუხედავს სისხლში გაღებილ გლეხისათვის, „ყარაჩოღელებმა“ დასძახეს „მრავალ-ჟამიერი“ და მანქანამ მოკურცხლა თბილისისაკენ.

გლეხები განაგრძობდენ ყვირილს. იქვე მახლობლად მიდიოდენ მონადირეები, რომლებმაც რამდენიმეჯერ გაისროლეს თოფი იმ მიზნით, რომ ავტომობილი გაეჩერებიათ.

ავტომობილმა უმატა სისწრაფეს. არავის შეუმჩნევია ავტომობილის ნომერი.

გაჰქრა ავტომობილი.

დილით მძიმედ დაშავებული გლეხი მოჰყავთ თბილისში და ათავსებენ საავადმყოფოში.

8 საათზე იუსტიციის სახალხო კომისარიატთან მომუშავე გამომძიებელს ამხ. მესარქიშვილს ატყობინებენ ამ შემთხვევის შესახებ.

აქედან იწყება ავტომობილის ძებნის ამბავი.

გამომძიებელი მესარქიშვილი მიდის საავადმყოფოში დაშავებული გლეხის დასაკითხავად, მაგრამ შეუძლებელი ხდება დაკითხვა ავადმყოფის მძიმე მდგომარეობის გამო. არა და საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, რომ ბოროტმოქმედების კვალი არ დაიკარგოს.

— სად მოხდა უბედური შემთხვევა?

— საბურთალოს მახლობლად.

გამომძიებელი გაექანა საბურთალოსაკენ. იქ წააწყდა ადგილობრივ გლეხებს და სათითაოდ სულ ყველას გამოჰკითხა, თუ რამე იციოდენ ამის შესახებ.

— „თეთრ დუქანთან“ იდგა ერთი ავტომობილი წუხელ. თანაც მაღალი სიმღერა ისმოდა, იქნება ის ავტომობილი იყო.—გამოსთქვა თავისი აზრი ერთმა გლეხმა.

ამხ. მესარქიშვილს აღარ დაუცდია. მაშინვე გასწია „თეთრი დუქნისაკენ“.

დაკითხულ იქნენ მიკიტანი და მეარღნე. გამოირკვა, რომ ავტომობილი ეკუთვნოდა მუშკოოპს, შოფერის სახელია „მაქრუა“.

გამომძიებელი დაუყონებლივ გამობრუნდა და მიადგა მუშკოოპის გარაჟს.

გარაჟში არავინ არის, არც ავტომობილი ჩანს და არც „მაქრუა“.

ჩავარდა საგონებელში გამომძიებელი. საიდანღაც თავი ჰყო ქიტა მეჯინიბემ.

— სად არის მანქანა?

— მანქანა დილით ადრე მოვიდა, მაგრამ მაშინვე წაიყვანა შოფერმა, მგონი ცოტა „რემონტი“ ესაჭიროებოდა,—სთქვა მეჯინიბემ.

ეს ცნობა საკმარისი იყო. მესარქიშვილი შემოტრიალდა და გადასწყვიტა ყველა სახელოსნოების დავლა.

არ დაივიწყოთ, რომ კვირა დღეა. ყველა სახელოსნოები დაკეტილი უნდა იყოს.

ბევრი იარბინა ამხ. მესარქიშვილმა და ბოლოს მიადგა ბენდუქიძის სახელოსნოს (ანდრეევის ქუჩაზე), სადაც წააწყდა ასეთ სურათს:

სდგას ფრთა შემტვრეული ავტომობილი. „მაქრუა“ ჭირისუფალივით თავს დასდგომია, ხელოსნები დაკაპიწებული ოფლში იღვრებიან, მუშაობენ ავტომატივით, რამდენიმე წუთის განმავლობაში მანქანა მზად უნდა იყოს. ეს საჭიროა ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად.

„მაქრუა“ გამოტყდა. ილაპარაკა, როგორც იყო საქმე. მეტი რა გზა იყო.

მკითხველს ალბად აინტერესებს ვინც ისხდენ ავტომობილში. ალბად ფიქრობთ, რომ ავტომობილში იქნებოდა ვინმე უსაქმური „ანგალი“ ხალხი, გარეწრები, რომელთაც ისე გაქვავებული აქვთ გული, რომ მომაკვდავ გლეხის კვნესის გაგონება „მრავალ-ჟამიერის“ მადას არ უკარგავს.

წარმოიდგინეთ, რომ ასე ვფიქრობდით ჩვენც. მაგრამ სამწუხაროდ სულ სხვა აღმოჩნდა.

ავტომობილში ისხდენ ისეთი პირები, რომელთაც მუშათა კოოპერატივის ბედ-იღბალი აბარიათ, რომლებიც გლეხობასთან კავშირის განმტკიცებაზე ლაპარაკით ყურებს გამოგვჭედენ სხვადასხვა თათბირებზე, ისეთი პირები, რომლებიც მომჭირნეობაზე და ფასების დაკლებაზე სხვას როდი დააცლიან ლაპარაკს.

აბა გაეცანით!

1) მუშკოოპის სატრანსპორტო სექციის გამგე არსენიშვილი, გასტრონომიული სექციის გამგე გრძელიშვილი, ბუღალტერი ერმოლოვი, მუშკოოპის კორესპონდენტი (დაწესებულებაში არის ასეთი თანამდებობა).—პურაძეშვილი.

შოფერი გახლავთ შაქრო არაქელაშვილი.

აი მთელი „თაიგული“, რომელსაც ჩვენდა შეუმჩნევლად „თეთრ დუქანთან“ დაუმყარებია „სმიჩკა“ (კავშირი).

რა უნდა საბჭოთა კოოპერატივის ხელმძღვანელ მუშაკებთან ასეთ გარეწარ ხალხს, რომელიც სჩადის ბოროტმოქმედებას და რომელსაც მოქალაქეობრივი გამბედაობაც კი არ ყოფნის, რომ დანაშაული აღიაროს, რომელიც ქურდულად, უსირცხვილოდ გარბის კვირა დღეს სახელოსნოში მანქანის შესაკეთებლად, ბოროტმოქმედების კვალის დაფარვის მიზნით? რა უნდა საბჭოთა კოოპერატივში ან მერე ისეთ დიდ ორგანიზაციაში, როგორიც არის მუშკოოპი ასეთ არამზადებს სექციების გამგეებათ და საანგარიშო საქმის ხელმძღვანელებად?

საკმარისი არაა მათი თანამდებობიდან მოხსნა. საჭიროა ამ ვაჟბატონების სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, საჭიროა მათი საჯაროთ გასამართლება და სანიმუშოდ დასჯა. დაე, იცოდეს ყველამ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ასე ადვილად არავის შეარჩენს ნდობის გაცრუებას.

ეკალი.

ქრონიკა

სააღმშენებლო მასალის ბაზარი

სააღმშენებლო მასალის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან დაარსებულია მუდმივი საუწყებათაშორისო კომისია ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის (თავმჯდომარე), საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სამხედრო უწყების, ამიერკავკ. რკ. გზათა სამმართველოს, „სამშენის", საქართველოს საბინაო კავშირის, საქართველოს სახალხო სავაჭრო საზოგადოების, თბილისის აღმასკომის სავაჭრო კომისიის, თბილისის საქონლის ბირჟის და ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენელთა შემადგენლობით. კომისიას დავალებული აქვს სისწორით შეისწავლოს სააღმშენებლო მასალის ბაზრის მდგომარეობა და მომავალში უხელმძღვანელოს ამ ბაზრის მოწესრიგების საქმეს. კომისიის პირველი სხდომა დანიშნულია 27 სექტემბრისათვის.

ხორბლის დამზადება

„ხოფლის კავშირმა" ძირითად ქსელის საშუალებით 15 სექტემბრამდე მთელ საქართველოში დაამზადა 73.675 ფუთი ხორბალი.

ახალი სექცია

მილიციის და სასამართლოს მუშაკთა მდგომარეობისა და მუშაობის შესასწავლად და სამილიციო და სასამართლო ორგანოების მუშაკთა ფართო მასებთან დაახლოების მიზნით თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა თბილისის საბჭოსთან მოეწყოს ადმინისტრატიულ-სამოსამართლო სექცია.

ავიაქიმი და ტერნაწილების მანევრები

ტერიტორიალურ ნაწილების მანევრებში, რომლებიც ჩატარდება სექტემბრის ბოლო რიცხვებში, ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციები მიიღებენ უახლოეს მონაწილეობას.

ავიაქიმ რაზმები და სანიტარული და პირველი დახმარების წრეები აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას მანევრებში მონაწილეობის მისაღებად.

„თბილისის ვაჭრობის" ლიკვიდაცია

პრეზიდიუმმა მოისმინა „თბილისის ვაჭრობის" სალიკვიდაციო კომისიის მოხსენება და დაადგინა „თბილისის ვაჭრობა"-ს ფუნქციები და ქონება განაწილებული იქნეს კომუნალურ განყოფილებასა, საბინაო კავშირსა და კომ. ბანკს შორის.

საანგარიშო მანქანები

პრეზიდიუმმა დაადგინა სტატისტიკურ განყოფილებისათვის გერმანიაში შეიძინოს ელექტრო-მექანიკური საანგარიშო და საანგარიშო-საწერი სპეციალური მანქანები.

მანქანების შესაძენად პრეზიდიუმმა გადასდო 36.200 მან.

თბილისის აღმასკომში

◆ **საგზაო მშენებლობა.** მაზრაში საგზაო მშენებლობის გასაძლიერებლად აღმასკომმა გადასდო 280.000 მანეთი.

◆ **სასოფლო მეურნეობის** გასაფართოებლად თბ. აღმასკომმა მომავალ წლის მაზრის ბიუჯეტით გადასდო 205.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **ჯანმრთელობის საექიმო რაზმები** მაზრებში მუშაობას გააგრძელებენ ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** ბათომიდან — სტეფანოვს, ბაქოდან — ემმაევს, მოსკოვიდან — კოლენკინს, ხარკოვიდან — ბოროსოვიჩს.

ხელოვნება

„საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოება"

სახელმწიფო კინო-მრეწველობასთან არსებული აგიტკომისიის კინო-მუშაობის გასაცხოველებლად გადაწყვეტილი აქვს დაარსოს „საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოება" (ს. კ. მ. ს.) ამ მიზნით კომისია 26 სექტემბერს დღის სრულ სამ საათზე იწვევს საზოგადოების პირველ საორგანიზაციო კრებას. (კინო ფაბრიკაში) მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ლეო ესაკია: „საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ". კომისია სთხოვს ყველა დაინტერესებულ პირთ და ხელოვნების მუშაკთ დაესწრონ კრებას.

კრების შემდეგ ნაჩვენები იქნება სურათი: „ორი დღე".

ხელოვნების ქრონიკა

◆ **პირველ სამუსიკო მუშფაკში** მოწაფეების მიღება გრძელდება. სწავლა დაიწყება 1-ლ ოქტომბრიდან.

◆ **დღეს, 26 სექტემბერს** მოსკოვიდან ახლად დაბრუნებული გრიგოლ რობაქიძე საბჭოთა მწერლობის ფედერაციის გაფართოებულ სხდომაზე, ხელოვნების სასახლეში წაიკითხავს მოხსენებას: „ტოლსტოის დღეები". დასაწყისი საღამოს 8 ს. შესვლა თავისუფალია.

◆ **რუსთაველის თეატრთან არსებულ** ექსპერიმენტალურ სტუდია-სახელოსნოში დამატებითი გამოცდები გაიმართება კვირას, 30 სექტემბერს, დილის 12 საათზე. განცხადებების მიღება გრძელდება.

სასამართლო

მხეცის „კანონი"

ღამის 2 საათი იყო, როცა ახალგაზრდა ქალმა ლეილამ მიატოვა ოთახში მძინარე ქმარი ჰასან ბახმალოვი და ფეხაკრეფით გახურა კარები.

მტკიცედ გადასწყვიტა განშორებოდა ქმარს. ვეღარ აიტანა ყოველდღე ცემა და ლანძღვა-გინება.

განცვიფრებული დარჩა ლეილას დედა ფატმა, როცა ასე გვიან კარებზე მიუკაკუნა ქალიშვილმა. ქალმა უამბო დედას ყველაფერი და თვალ-ცრემლიანმა სთხოვა რჩევა-დარიგება.

დედამ მოისმინა ამბავი იმ აუტანელი წამების შესახებ, რომელსაც განიცდიდა ლეილა ქმრისაგან და ურჩია განშორება.

მეორე დღეს ლეილა უკვე მუსლიმან ქალთა კლუბში მიდის. შესჩივის კლუბის კონსულტანტს თავის მდგომარეობას და განცხადებას აწერინებს ქმართან განქორწინების სურვილის შესახებ.

ამ დროს კარებს შემოაღებს ქმარი ჰასანი და აეტუზება გვერდში კონსულტანტს.

— მიეცით წინადადება ლეილას, რომ თავის ოჯახს დაუბრუნდეს. ოჯახი უპატრონოთ არის მიტოვებული,—მაღალი ხმით აცხადებს ჰასანი.

— საბჭოთა ხელისუფლების კანონით ცოლქმრობა ნებაყოფლობით პრინციპს ემყარება. თუ ქალს არ სურს ქმართან ცხოვრება, ძალას ვერავინ დაატანს,—განუმარტავს ჰასანს კონსულტანტი.

— მაშ, თუ ასეა საქმე, მე ჩემი „კანონი" მაქვს და ვნახოთ!—სთქვა ჰასან ბახმალოვმა და გავიდა კლუბიდან.

2 ივლისს ბახმალოვი ღებულობს უწყებას. „მმაჩ"-ში იბარებენ განქორწინების თაობაზე. ჰასანი ამ დროს ხანჯალს ლესავდა და ფიქრობდა ლეილას სიცოცხლის მოსპობაზე.

ბახმალოვმა იცის, რომ ხვალ ლეილა სუპსარქისის ქუჩით გამოივლის „მმაჩ"-ში გამოსაცხადებლად.

დაუდარაჯდა ჰასანი. თან ახლავს მისი ძმა აბასი, რომელიც აქეზებს და აგულიანებს უფროს ძმას.

მოდის ლეილა მოწყენილი სახით, ჩაფიქრებული.

ჩასაფრებული ჰასანი მიიმალა. გაუშვა ქალი წინ. უნდა უფრო მიყრუებულ ადგილას მიუსწროს, რომ ადვილად მოიყვანოს სისრულეში ბოროტი განზრახვა.

მხეცმა იხელთა მოხერხებული მომენტი, როცა ირგვლივ არავინ მოსჩანდა ქუჩაზე. დაეწია ლეილას და უკანიდან ჩასცა ხანჯალი.

დაჭრილმა ლეილამ მორთო კივილი და გაიქცა. მხეცი დაედევნა და მოასწრო ხანჯლის კიდევ დარტყმა.

ქალს კიდევ აქვს სირბილის საშუალება. უკანასკნელი სასიკვდილო მახვილის ჩაცემა ვეღარ მოახერხა ბახმალოვმა, ქალი მოეფარა ტელეგრაფის ბოძს და მოქნეული ხანჯალი ბოძში ჩაერჭო.

ხმაურობა მოესმათ იქვე ახლო მდგომ წითელ არმიელებს, რომლებმაც მოუსწრეს ბახმალოვს და განაიარაღეს.

ქალი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი დიდი ხნის წამლობის შემდეგ განიკურნა.

ჰასან ბახმალოვი და იმისი ძმა აბასი დაპატიმრებული არიან.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა თბილისის მაზრის სასამართლოში.

„ბებია ქალი"

ანა გიორგის ასული აბულაძე „არალეგალურად" მუშაობდა, როგორც „სპეცი" ქალების მუცლის მოშლის საქმეში.

ამა წლ. 2 მაისს აბულაძის ქალი წაიყვანეს „პრაქტიკაზე" სოფელ ჯიგრაშენში.

ანამ თან წაიღო „უებარი წამლები"—ბალახის ძირები და შეუდგა საქმეს. „გასანთავისუფლებელი" იყო სოფიო ხუნუზოვისა.

„უწამლა" თავისებურად, ჩაიდო ჯიბეში გასამრჯელო და გაუდგა გზას.

მეორე დღესვე სოფიო ხუნუზოვას ქალი ცუდად გახდა. ხელმეორედ გაიწვიეს „სპეცი" აბულაძე, რომელმაც ბალახის ძირები კიდევ გაასაღა.

ხუნუზოვას ქალი კი დაიცალა სისხლიდან და ავლაბრის საავადმყოფოში დალია სული.

ანა აბულაძე პასუხისგებაშია მიცემული. საქმე მალე გაირჩევა.

გერ.

გიო თიბილოვის საქმე

ცხინვალი, 24 სექტემბერი. დასრულდა გარჩევა საქმისა როკის რაიონის სოფ. ერმანის მცხოვრებ გიო თიბილოვის მოკვლის შესახებ ქესაევების გვარეულობის მიერ. ეს მკვლელობა მოხდა რამდენიმე წლის წინად და მას მოჰყვა გაცხარებული მტრობა ქესაევებსა და თიბილოვებს შორის.. მთავარმა სასამართლომ განიხილა საქმე და მკვლელს ორი წლით დაპატიმრება მიუსაჯა. პროცესს დაესწრო ბევრი გლეხობა არა მარტო სამხრეთ-ოსეთისა, არამედ ჩრდილოეთ ოსეთიდანაც.

(ადს).

შემთხვევები

ხანძარი კოკში

როგორც ზუგდიდიდან გვატყობინებენ, 10 სექტემბერს ღამის 12 საათზე სოფ. კოკში ძმებ გერგედავების დუქანს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე მოედვა იქვე მდებარე სასამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის თხილის საწყობს. ხმაურობაზე მოგროვდნენ მცხოვრებლები და სასწრაფოდ შეუდგნენ ცეცხლის ჩაქრობას. დიდი და თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ცეცხლი ჩაქრობილი იქნა. სულ დაიწვა 5 დუქანი როგორც გამოირკვა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის ზარალი უდრის 1500 მანეთს, კერძო დუქნების მეპატრონეთა ზარალი აღემატება 8.000 მანეთს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

შეპყრობა

24 სექტემბერს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ვინმე ღარიბოვი, რომელმაც გაქურდა ანა ლონდას ბინა (ბელინსკის ქუჩა № 17).

დაჭრა

იოსებ ასათიანმა 24 სექტემბერს დანით მძიმედ დასჭრა გიორგი ბაღდასაროვი, რომელიც გადაიყვანეს საავადმყოფოში. ასათიანი დაპატიმრებულია.

ქურდობა

24 სექტემბერს გაქურდეს ალექსანდრე ქითეთაშვილის ბინა (რადაზოვის შესახვ. № 5). ამავე დღეს საკ ბაბუდოვის ბინიდან (გონდელის ქ. № 2) მოიპარეს ოქროს საათი. ამავე დღეს (უნივერსიტეტის ქ. № 6) გაქურდეს სონია გელაძის ბინა, საიდანაც წაიღეს 190 მ. ნივთები;—ამავე დღეს მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ეტი ზუბალის ბინა (ვერის დაღმართი № 2).—ალექსანდრე ალიშოვის ბინიდან ([illegible] ქ. № 14) ამავე დღეს მოიპარეს 200 მანეთის ნივთები.

რკინის გზებზე

ამიერ-კავკ. რკინის გზ. 1928—29 წლის ხარჯთაღრიცხვა

მომავალ 1928—29 სამეურნეო წლისათვის ამიერ-კავკ. რკინის გზების საჭიროებისათვის, საექსპლოატაციო ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გამოთხოვილი იყო ცენტრიდან 75.000.000 მანეთი.

რკინის გზების ცენტრალურმა სამმართველომ ამიერ-კავკ. რკ. გზების ხარჯთაღრიცხვა მომავალი წლისათვის, დაამტკიცა 61.036.000 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნული თანხიდან, რკ. გზებისათვის საჭირო სხვადასხვა მასალების შესაძენად გადადებულია 1.842.000 მანეთი, შპალების დასამზადებლად 2.889.000 მან., რკ. გზის ლიანდაგის შესაკეთებლად—1.562.000 მან.

საორიენტაციო გეგმის მიხედვით რელსების შესაძენად დაიხარჯება 1.500.000 მან.

კავშირგაბმულობის მოსაწყობად გადადებულია 48.000 მანეთი.

წლიური შემოსავალი ამიერ-კავკ. რკინის გზებზე ექსპლოატაციიდან განსაზღვრულია—54.558.000 მანეთით.

რაც შეეხება, იმ თანხებს, რომლებიც საჭიროა ახალ სამუშაოებისათვის იგი არ შედის აღნიშნულ ხარჯთაღრიცხვაში.

ყველა ახალ წამოწყებებისათვის, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე, გზების გამგეობა ცალკე მიიღებს საჭირო თანხებს.

რატომ იგვიანებენ მატარებლები

21 სექტემბერს, სადგ. მინგეჩაურში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: მატ. № 202 მთავარ კონდუქტორის მიერ ნიშნის მიცემის შემდეგ დაიძრა ადგილიდან. მატარებელს თან უნდა გაჰყოლოდა ორთქლმავალი, მაგრამ იგი ადგილიდან არ დაიძრა, რადგანაც მემანქანეს არ ჰქონდა მიღებული კვერთხი.

გასასვლელ ისრებთან, მიმწოლი ორთქლმავლის მოლოდინში მატ. № 202 გააჩერეს, მაგრამ მიმწოლი ორთქლმავლის მემანქანემ, ორთქლმავალი არ დაძრა ადგილიდან. მიუხედავად იმისა, რომ მას დაუნიშნეს სპეციალურად გამყოლი. მემანქანე მაინც უარზე იყო და მოითხოვდა მატარებლის უკან დაბრუნებას სადგურში.

მემანქანის ახირებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, იძულებული გახდენ მატარებელი ორ ნაწილად დაებრუნებინათ უკან.

აღნიშნული შემთხვევის გამო გადასარბენზე დაიგვიანა რამდენიმე მატარებელმა. სწარმოებს კვლევა-ძიება.

ბიბლიოგრაფია

ი. ბ. სტალინი—„ლენინიზმის საკითხები"

პირველი ქართული გამოცემა. სახელგამი. გვ. 479. ფასი—2 მ. 75 კაპ.

ლენინიზმის შესწავლისათვის ამხ. სტალინის ხსენებულ წიგნს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ის წარმოადგენს სხვადასხვა წერილთა, ლექციების და სიტყვების კრებულს. თავის კრებულის მთავარ ნაწილად ამხ. სტალინი სთვლის მის მიერ 1924 წელს ცალკე წიგნაკად გამოცემულ „ლენინიზმის საფუძვლებს", რომელიც წარმოადგენს „ლენინიზმის საფუძვლების კონსპექტიურ დალაგებას". კრებულში მოთავსებული სხვა მასალები, როგორიცაა: „ოქტომბრის რევოლიუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა", მეთოთხმეტე პარტკონფერენციის მუშაობის შედეგები, „კითხვა-პასუხი" და სხვა, როგორც ავტორი ლაპარაკობს „ორგანიულად არიან დაკავშირებული პირველ წიგნაკში („ლენინიზმის საფუძვლები") მოყვანილ ძირითად დებულებებთან".

კრებულის პირველი ნაწილი იწყება ამხ. სტალინის მიერ ლენინიზმის განსაზღვრით, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს პასუხს, სოციალ-დემოკრატიის და ლენინის ზოგიერთი კრიტიკოსების დამახინჯებულ წარმოდგენებზე ლენინიზმის რაობის შესახებ.

„ლენინიზმი—ლაპარაკობს ამხ. სტალინი—საერთოდ პროლეტარული რევოლიუციის თეორია და ტაქტიკაა, კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის თეორია და ტაქტიკა. ასეთი განსაზღვრა — ამხ. სტალინის თქმით სწორია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის სწორად მიუთითებს ლენინიზმის ისტორიულ საფუძვლებზე; იგი ახასიათებს ლენინიზმს, როგორც იმპერიალიზმის ეპოქის მარქსიზმს, წინააღმდეგ ლენინის ზოგიერთი კრიტიკოსებისა, რომელთა შეკადრი აზრითაც ლენინიზმი იმპერიალისტური ომის შემდეგ წარმოიშვა. შემდეგ, იგი სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის საერთაშორისო ხასიათს, წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ლენინიზმს სთვლის მხოლოდ რუსეთის ეროვნული პირობების შესაფერისად. დაბოლოს, ეს განსაზღვრა სწორია იმიტომ, რომ სწორად აღნიშნავს ლენინიზმის ორგანიულ კავშირს მარქსის მოძღვრებასთან, ახასიათებს მას, როგორც იმპერიალიზმის ეპოქის მარქსიზმს, წინააღმდეგ ლენინის ზოგიერთი კრიტიკოსებისა, რომელთაც გი მარქსიზმის შემდგომ განვითარებად კი არ მიაჩნიათ, არამედ მხოლოდ მარქსიზმის აღდგენად და მის გამოყენებად რუსეთის სინამდვილეში". (გვ. 10).

ამხ. სტალინი, როგორც ორთოდოქსალური ლენინელი, სასტიკად ებრძვის იმ აზრს, რომელსაც სურს ლენინიზმისთვის ინტერნაციონალური ხასიათის დაკარგვა, და ლენინიზმის გადაქცევა ნაციონალურად შეზღუდულ, ერთი ქვეყნის, ჩამორჩენილ რუსეთის მოძღვრებად. ლენინიზმი მარქსიზმის განუყრელი ანუ როგორც სტალინი ლაპარაკობს ორგანიული ნაწილია, ის მარქსიზმის გამოყენება კი არ არის რუსეთის სინამდვილეში (მაშინ ლენინიზმი მართლაც სპეციფიური, რუსული მოვლენა იქნებოდა), არამედ მარქსიზმის შემდგომი განვითარება, მარქსიზმის გამდიდრება, მარქსიზმის გამოყენება კაპიტალიზმის განვითარების ახალ, იმპერიალისტურ პერიოდში. ეს იმას ნიშნავს, რომ ლენინიზმი გამოსადეგია არა მარტო იმ ქვეყნებისთვის, სადაც, როგორც სავსებით შემცდარად ამბობდა ერთ დროს ამხ. ზინოვიევი „სჭარბობს გლეხობა", არამედ იმ ქვეყნისთვისაც, სადაც სჭარბობს პროლეტარიატი, სადაც მეტად არის განვითარებული კაპიტალიზმი.

ამ აზრს ამხ. სტალინი მრავალჯერ უბრუნდება და ყოველგან კიდევ ზედმეტად ასაბუთებს ლენინიზმის ინტერნაციონალურ ხასიათს. მისი ეროვნული ფარგლებით შეზღუდვის და ლენინიზმის მარტო „რუსეთის ყოფა-ცხოვრების თავისებურობის ნაყოფად" აღიარების შეუძლებლობას. ლენინიზმის ყალბი განმარტების შედეგია „გლეხობის როლი ლენინიზმის ძირითად საკითხად" აღიარება და არც ცნობა მისი, რომ ლენინიზმი არ აცალკევებს საკითხს გლეხობის როლის შესახებ და არ აკუთვნებს ამ საკითხს გარდაუწყვეტ მნიშვნელობას. პირიქით, გლეხობის როლი,გლეხობის საკითხი ლენინიზმს მიაჩნია საერთო საკითხის, ძირითადი პრობლემის—პროლეტარიატის დიქტატურის საკითხის ერთ ერთ ნაწილად, ამ ძირითად საკითხისადმი დამორჩილებულ ამოცანად.

ამხ. სტალინმა, როგორც კრებულში მოთავსებულ წერილებიდან ნათლად მტკიცდება, [illegible] შეიტანა ისეთ სერიოზულ საკითხში, როგორიცაა სოციალიზმის ერთ ქვეყანაში გამარჯვება. ამხ. სტალინის ფორმულა „დაედვა საფუძვლად მეთოთხმეტე პარტკონფერენციის ცნობილ რეზოლიუციას „კომინტერნისა და რ. კ. პ. (ბ) ამოცანების შესახებ", რომელიც იხილავს საკითხს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ". როგორც შემდგომმა პერიოდმა დაადასტურა, სავსებით სწორი ყოფილა ამხ. სტალინის მიერ ამ ძირითადი საკითხის ორ ნაწილად გაყოფა—1) ერთ ქვეყანაში, საკუთარი ძალებით სოციალიზმის აგების **შესაძლებლობა** და 2) პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში **სოციალიზმის** მშენებლობის **სავსებით უზრუნველყოფის** საკითხი ძველი წყობილების რესტავრაციისაგან.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების უკანასკნელმა წლებმა საუკეთესოდ დაადასტურეს ის მოსაზრება, რომ „ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც კი აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების აგებისათვის", რომ სავსებით შესაძლებელია სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის შინაგან წინააღმდეგობათა გადალახვა საკუთარი ძალებით, მაგრამ შეუძლებელია „სოციალიზმის სრული გამარჯვება", „ძველი წესების რესტავრაციისაგან სრული უზრუნველყოფა", თუ არ გაერთიანდა რამდენიმე ქვეყნის პროლეტარების საერთო ძალ-ღონე, თუ ჩვენს სასარგებლოდ არ გადიჭრა საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით „ის გარეგანი წინააღმდეგობანი, რომელნიც არსებობს ჩვენს, როგორც სოციალიზმის ქვეყანასა და ყველა დანარჩენ ქვეყნებს შორის".

კრებულში მოთავსებულ სხვა მასალებიდან ყურადღებას იპყრობს, როგორც მეტად დამუშავებული და სერიოზული მასალა-ლექციების კურსი, წაკითხული ამხ. სტალინის მიერ სვერდლოვის უნივერსიტეტში ლენინიზმზე, ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების მიზეზების ახსნა, კითხვა - პასუხი სოციალისტური მშენებლობის საჭირბოროტო ამოცანებზე, ეროვნული საკითხი და მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხი.

საბჭოთა კავშირში, სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე პერიოდში, სანამ ჯერ კიდევ არსებობს კლასები, არსებობს ერთი — პროლეტარულ კლასის სახელმწიფო, მაგრამ ორი კლასის, მუშების და გლეხების დამცველი მთავრობა, უპირველესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ როგორ, რა საშუალებით უნდა განმტკიცდეს კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის როგორ უნდა იქნას ჩათრეული გლეხობა სოციალისტ. მშენებლობაში. „კითხვა-პასუხში", სიტყვაში—„მეთოთხმეტე პარტკონფერენციის შედეგები"-ს შესახებ და მოხსენებაში მეთოთხმეტე პარტყრილობაზე, ამ საკითხზე ამხ. სტალინის პასუხი ერთნაირია.—ესაა სწორი **პოლიტიკა გლეხობის მიმართ.** სწორი პოლიტიკა გლეხობის მიმართ არის ამხ. სტალინის თქმით ერთად-ერთი და ძირითადი გარანტია მუშურ-გლეხური ბლოკის განმარტებისა და წარმატებითი სოციალისტური მშენებლობისა. ამ აზრის დასაბუთებას ჩვენ ვხვდებით კრებულის მრავალ ადგილს.

ამავე კრებულში მოთავსებული წერილიდან მკითხველი იგებს, რომ ლენინის შემდეგ მხოლოდ სტალინმა მოგვცა პროლეტარული სახელმწიფოს და მუშურ - გლეხური მთავრობის საკითხის გარკვეული ახსნა, მან შეიტანა ლენინის ფორმულაში საჭირო სიცხადე და ამით ბოლო მოუღო იმ გაუგებრობას, რომელიც უკანასკნელ წლებში წამოიჭრა ჩვენი პარტიის რიგებში. წერილში „პასუხად ამხ. დმიტრიევს" ამხ. სტალინმა კიდევ უფრო მეტად გასაგები და ნათელი გახადა ლენინის ლოზუნგის „მუშურ - გლეხური მთავრობის" დედა აზრი.

ამხ. სტალინის თქმით, არ შეიძლება ერთმანეთში აურიოთ ჩვენი მთავრობის საკითხი და ჩვენი სახელმწიფოს საკითხი, არ შეიძლება „მთავრობის კლასიური ბუნებისა და მთავრობის ყოველდღიური პოლიტიკის" ერთმანეთში არევა, რადგან შეუძლებელია „იგივეობად დავსახოთ ჩვენ სახელმწიფო და ჩვენი მთავრობა". ჩვენ გვაქვს პროლეტარული სახელმწიფო — ლაპარაკობს ამხ. სტალინი, პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის მიზანია ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დამსხვრევა, სოციალისტური მეურნეობის მოწყობა, კლასების მოსპობა და სხვა. „ჩვენი მთავრობა კი ამ სახელმწიფო ორგანიზაციის ზედაფენაა". რაში მდგომარეობს მუშურ - გლეხური მთავრობის დანიშნულება, რისთვის არის ის აუცილებელი? მუშურ - გლეხური მთავრობა ჩვენ გვესაჭიროება იმისათვის, რათა გამოვნახოთ ის გზები და საშუალებანი, რომლის მეოხებით შეიძლება განვახორციელოთ პროლეტარული დიქტატურის მიზნები ჩვენს გლეხურ ქვეყანაში. ჩვენი მთავრობა აუცილებელია იმისათვის, რათა დავსახოთ ის გზები და საშუალებანი (ყოველდღიური პოლიტიკა), რომლის გარეშე ყოვლად შეუძლებელია ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დამსხვრევა ჩვენს ქვეყანაში, სადაც გლეხობა დიდ უმრავლესობას შეადგენს. (გვ. 451).

„მთავრობა შეიძლება შეცდეს, მან შეიძლება შეცდომები დაუშვას, რაც დროებით შეაფერხებს პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარიატის დიქტატურაა შემცდარი და უმართებულო, როგორც პრინციპი გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივი მშენებლობისა,—ეს მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ცუდია თვით ხელმძღვანელი ზედა ფენა, რომ ამ ხელმძღვანელი ზედა ფენის პოლიტიკა, მთავრობის პოლიტიკა არ შეესაბამება პროლეტარიატის დიქტატურას, რომ ეს პოლიტიკა შეცვლილი უნდა იქნეს პროლეტარიატის დიქტატურის მოთხოვნილებათა მიხედვით. სახელმწიფო და მთავრობა ერთგვარია თავისი კლასიური ბუნებით, მაგრამ მთავრობა უფრო ვიწრო მოცულობისაა, ვიდრე სახელმწიფო. ისინი ორგანიულად არიან დაკავშირებული და ერთი დამოკიდებულია მეორეზე, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ შეიძლება მათი მოქცევა ერთ კალაპოტში".

ასევე საგულისხმო და სიახლის მატარებელი მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ამხ. სტალინს წერილებში, რომლებიც ეხებიან ეროვნულ საკითხს, გლეხობისადმი დამოკიდებულებას და მთელ რიგ სხვა საკითხებს. ამხ. სტალინის „ლენინიზმის საკითხები"-ს გამოცემა ქართულ ენაზე ერთი - ორად ამდიდრებს ქართულ ლიტერატურას ლენინიზმზე და დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს პარტსკოლებს, ლენინიზმის შემსწავლელ წრეებს და პარტიის ცალკე წევრებს ლენინის მოძღვრების ძირითად დებულებათა შეთვისებაში.

დ. გ—ვა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ნახევარი ტვინის მოკვეთის ოპერაცია

ამერიკელმა ქირურგმა პროფ. დენდიმ გააკეთა ნახევარი ტვინის მოკვეთის ხუთი ოპერაცია. ნახევარი ტვინი ამოსჭრეს სრულიად უიმედო ავადმყოფებს. სამი მათგანი გადარჩა და შეინარჩუნა აზროვნების უნარი თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ტანის ის ნაწილი, რომელ მხარეზეც ამოსჭრეს თავის ტვინი, დამბლამ შეიპყრო.

მკვდრის ჯირკვლების გადანერგვა

ექ. ტოსტმა (არგენტინაში) გაახალგაზრდავების მიზნით ერთ მოხუცს გადაუნერგა 5 საათით ადრე გარდაცვალებულ კაცის ჯირკვლები, შედეგი—კარგი მიიღო.

415 კილომეტრი საათში

ლონდონში ინჟინერ ირვინის გეგმით მზადდება ავტომობილი, რომელიც 415 კილომეტრის გავლას შესძლებს საათში.

რადიო-გადაცემა

დღეს, 26 სექტემბერს, თბილისის ოთხკილოვატიან რადიო-სადგურიდან გადაცემულ იქნება შემდეგი: დილით: ორი მოხსენება ანტირელიგიურ თემაზე, რადიო-ინსცენირება „ალავერდობა"-ზე და კონცერტი რადიო-სტუდიიდან; **საღამოს:** მორზეს ანბანის ახსნა-განმარტება (რუსულ ენაზე), საუბარი ბიოლოგიაზე (ქართულ ენაზე), მუშათა რადიო გაზეთი (ქართულ ენაზე), მოხსენება აბრეშუმის „პარკის რეალიზაცია" (ქართულ ენაზე), მოხსენება „კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგები" (ქართულ ენაზე), მოხსენება „1928 წლის მოსავლის შედეგები საბჭოთა კავშირში" (რუსულ ენაზე), მოხსენება „მასიურ-კულტგანმანათლებელ მუშაობის ამოცანები კოოპერაციაში (რუსულ ენაზე), საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობა (ქართულ და რუსულ ენებზე), კონცერტი ან ტრანსლიაცია, ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია (ქართულ და რუსულ ენებზე), მოხსენებებს შუა მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 26 სექტემბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან:** სტეფანიშვილი, ალექსანდრე ციტაძე, გრიგოლ მანუჩაროვი, ვასილ მარინაძე, სარქისოვი, ანა ალახვერდოვა, ეკატერინე აგაპკოვა, ელისაბედ ზაქარიანცი, როზა რემიონოვა, არაქელოვი, ნატალია მარგიშვილი, ასია კარელია; მარიამ ბუნტური, სირაძე; ელისაბედ ჯავახიშვილი; ანასტასია ვარდიევა, სოფიო ასანიძე, ხობელავა, რიფსიმე გაბელაშვილი, შალვა ებრალიძე, გაბრიელ რომანიშვილი, ალექსანდრე გოგილაშვილი, სურენ კარაკაშიანი, კვირიასი მშვიდობაძე, მიხეილ ჩარახჩიანი, ელისაბედ მატინიანი, პლატონ დობორჯგინიძე, სერგო კახიანი, დიანოს აგუკოვი, ავეტის გაბრიელოვი, გიორგი საკიანცი, ა. მაისურაძე, გურგენ ხაჯარიანი, ალექსანდრე ცომაია, ვლადიმერ ჯაფარიძე, **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** იაკობ ფარსადანოვი, ლეონ ოსმანცევი, ილია რატიშვილი, ნინო ჯაყელი, სოფიო სულხანიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე; რუბენ მარკოზოვი, ალექსანდრა ახვლედიანი, იაკობ ღლონტი, ირაკლი კერესელიძე, ვლადიმერ ბარათაშვილი, ანტონ ტოგონიძე, მიხეილ ნოსენკო, ალექსანდრე ამბროლაძე, ბ. ბუკიანი, თამარა კლოცი, არჩილ სულაქველიძე, ბარბალე ჯიშეევა, ამას გარდა სექციამ მიიღო მოთხოვნილება სომხეთის იუსტიციის კომისარიატიდან ერთ მდივანზე, რომელმაც უნდა იცოდეს სომხური, თათრული და რუსული ენები. **შავ მუშაკთა სექციიდან:** ამბიაკ აკიმოვი, დავით მირიმანოვი, მანუკ აკოპოვი, არმენაკ აბრამოვი, რუბენ ვაროკიანცი, გრიგოლ ჩალკატარიანი, ნიკიტა რეშეტოვი, ილია დავითულიანი, ალექსანდრე არუთინოვი, გიორგი გაბრაძე, ვასილ ქავთარაძე, ალექსანდრე გოგიტაური, ლევან კანკავა, თამარ უნგიაძე, **საგარანტიო სექციიდან:** გიორგი ტერ-ოგანეზოვი, იოსებ ბადალოვი, ივანე სამსონია, მექი ახპატელოვი, დავით ონანოვი, კარაპეტ გალუსტოვი, კარაპეტ გალუსტოვი, პეტრე კოკალევი, გიორგი ნაცვლიშვილი, **მშენებელ მუშაკთა სექციიდან:** ელიზბარ ჰოხონელიძე, ერმილე გურგენიძე, მარქარ არუთინოვი, გიორგი აბულაძე, გასპარიანი, სერაფიონ დვალი.

ნარევი

მსოფლიო საჰაერო გზების განვითარება

იმ დროს, როცა სარკინიგზო ქსელის ზრდა შეჩერდა (გარდა საბჭოთა კავშირისა, იაპონიისა და ავსტრიისა, სადაც სარკინიგზო მშენებლობა ფართო მასშტაბით გრძელდება), საავტომობილო და საჰაერო მიმოსვლა ყოველწლიურად იზრდება. განსაკუთრებით ფართოდ იზრდება საჰაერო მიმოსვლა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირში, გერმანიაში, საფრანგეთში და ინგლისში.

ამჟამად არსებულ საჰაერო ხაზების სიგრძე უდრის 70.000 კილომეტრს, რომელთაგან 21.000 კილომეტრი (24,2 პროც.) მოდის გერმანიაზე, 12.000 (16 პროც.)—საფრანგეთზე 10.000 (13,2 პროც.—შეერთებული შტატებზე, 7.200 (9,4 პროც.)—საბჭოთა კავშირზე

რაც შეეხება ბარგის გადაზიდვას, რადგან აეროპლანები ცოტა ტვირთს იტევენ, მას ჯერ-ჯერობით პრაქტიკული ხასიათი არა აქვს: აეროპლანებით გადააქვთ ძვირფასი ნივთები, ფიზიკური ხელსაწყოები. ბეწვეული, მსუბუქი ამანათები, გაზეთები, ფოსტა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმ გარემოებას, რომ აეროპლანების საშუალებით მანძილი იფარება 2 ნახ.—3-ჯერ უფრო ჩქარა, ვიდრე მატარებლით. ასე მაგალითად, ბერლინიდან მოსკოვამდე აეროპლანით საჭიროა 15 საათი, მატარებლით კი 41-დან 58 საათამდე.

საჰაერო მიმოსვლის ფართოდ განვითარებას ხელს უშლის სიძვირე.

ამჟამად ყველაზე დიდ საჰაერო ხაზებათ ითვლება: ნიუ-იორკი—სან-ფრანცისკო (4.200 კილომეტრი); კაირი-ბაღდადი—კარაჩა (4000 კილ.); პარიზი-მარსელი-ტანჟერი - დაკერი (3.800 კილ.); ლონდონი-პარიზი-სტრასბურგი-ვენა-ბელგრადი-ბუქარესტი-სტამბოლი (3.132 კილ.); განზრახულია მოეწყოს ორი ტრანსტლანტიური საჰაერო ხაზის: გერმანია-ამერიკა და ესპანეთი-ბრაზილია; ერთი კოლონიალურის, რომელიც ინგლისს შეაერთებს ინდოეთთან (ლონდონი-კალკუტა) და ერთი ტრანსკონტინენტალურის—ბერლინი-მოსკოვი- ომსკი-ირკუტსკი-პეკინი-ტოკიო (ამ მანძილის დასაფარავად საჭიროა 7 ნახ. დღე).

პარტიული კალენდარი

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის 26 კომუნართა სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, რაიკომის შენობაში შესდგება [illegible] შემმოწმებელ კომისიის სხდომა. დასწრება ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების სავალდებულოა. მარგალიტა მიხეილის ასული ჯანელიძე, ნიკოდიმე სპირიდონისძე ბრეგვაძე, ნოე იოსებისძე კოკაია, სამუელ ბესარიონისძე კარანაძე, დიმიტრი გიორგისძე მსუქნიშვილი, ბელქო ივანესძე ბერაძე, დიომიდე ამვროსისძე თოფურია, მარია ალექსანდრეს ასული სუკიასოვი, ბარბალე გიორგის ასული გალდავა, ვასილ მინასძე დალაქიშვილი, ასტრიკ ნიკიტის ასული არაბაჯიანი, ელისაბედ ალექსანდრეს ასული დადაევი, ზიგრიდა ლეოპოლდის ასული გერმანი, რუბენ ბაგრატისძე ზალინოვი, მარო გიორგის ასული ოსიშვილი, გიორგი ილარიონისძე მეფარიშვილი, ავქსენტი პროკოფისძე ვაჩეიშვილი, ივანე ნიკოლოზისძე შარაშიძე, პროკოფი მიხეილისძე ციცაძე, კალისტრატე კირილესძე გველესიანი, მურზაბეკ ელმურზისძე საძლიანიშვილი, ვასილ მელიტონისძე კაპანაძე, არამ ივანესძე იაკუბიანი, ადოლფ ვლადიმერისძე ბუხშტაბი, მარია აბას-კიზი ნოკრუზ-ზადე, ზირკირ აზიზ-კიზი მამედოვა,, რუბაბე ტატი-ზადე, მარი სოლომონის ასული ბერიძე, ლუბა ნესტორის ასული შოვნაძე, ალექსანდრე სტეფანესძე ბელოუსოვი.

ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის მორიგი პლენუმი.** დასწრება რაიკომის ყველა წევრებისა და კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრების, უჯრედების მდივნების და რაიკომის შტატ გარეშე მყოფ ინსტრუქტორების—სავალდებულოა.

დამწუხრებული მშობლები: ლუკა და ელენა, ძმები: ლასალი და ბიკტორი, რძალი ნინა და ძმისშვილი: რეზიკო ნინუები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა სამედიცინო ტეხნიკუმის უკანასკნელი კურსის მსმენელი

მარიამ (მარუსია) ლუკას ასული ნინუა

დაკრძალვა მოხდება 27 სექტემბერს, კულაშში. 4302

ღრმად დამწუხრებული მშობლები: კოლია და ასმათი, ძმა ფაკუ მახარაძენი, ბებია პუპი, ბიცოლა ფატი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით 23 სექტემბერს, გარდაიცვალა დაუვიწყარი

ანიკო მახარაძე

დაკრძალვა მოხდება სექტემბრის 27, ქალაქ ოზურგეთში, მოიდანახეს სასაფლაოზე. ნ. 1624

ს.კ.პ. (ბ) თბ. ორგანიზაციის ლენინის რაიკომის რკინის გზების მთავარ სახელოსნოების სამჭედლო საამქროსთან არსებული კომუჯრედის ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს ამავე კომუჯრედის ბიუროს წევრის, დაუვიწყარი ამხანაგის

ნიკოლოზ ივანეს-ძე კიტაევის

ტრაგიკულ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება დღეს, 26 სექტემბერს, დღის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან, პავლოვის ქ. № 6. 4304

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მინა ლევანის-ძე და პოლიკო პლატონის ასული და და ალისა მინას ასული გოცირიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის უძვირფასესი და ერთად ერთი იმედის

ინდიკო მინას-ძე გოცირიძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, ქ. ონში. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ანტონ გიორგის-ძე ხარაშვილი და სიძე ვასო გიორგის-ძე ალუღიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 25 სექტემბერს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ოლღა ზაალის ასული ხარაშვილისა

დაკრძალვა—ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, გამოსვენება 10 ნახ. საათზე ყოფ. არამიანცის საავადმყოფოს პროზექტურიდან ავლაბრის სასაფლაოზე. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა: ბესარიონ და ფედოსია, დები: ლიუბა, ქსენია და ლოლა და ძმა შალიკო შენგელიები, ბიძა გრიგოლი, ბიცოლა მარიამი, მამიდა მაშიკო ქმარშვილით, დეიდები: ნინა და დომნა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 24 სექტემბერს, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი სამკურნალო ფაკულტეტის მე-2 კურსის მსმენელი

სიმონ ბესარიონის-ძე შენგელია

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 27 სექტემბერს, ქ. ქუთაისში.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	საუკეთესო სურათი	სახლი ვულკანზე	
პროლეტარი ავლაბარი	„ამ სურათს უეჭველად დიდი წარმატება ექნება მუშათა მასებში" („რაბოჩ. პრავდა").		
მინიონი		ელისო	მე-2 კვირა
აპოლო	დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან	ტამილა	დიუშენის რომანის მიხედვით
სოლეი	გრანდიოზულად დადგმული ფილმი	სპარტაკი	
ეთერი	სეზონის საუკეთესო სურათი	მორევი	
პალასი	მხატვრული კინო-სურათი	ბედნიერი ჩერვონეცი	
დარბაზი	ლილი და დიმიტრი ყიფიანები სურათში	ჭორი	რეჟისორი—პერესტიანი

ანონსი: მალე მოსკვინი საუკეთესო სურათში: ადამიანი იშვა. 0—21

დღეს და ყოველდღე
დიუშენის გახმაურებული რომანი
ტამილა
კინო-აპოლოს ეკრანზე
რეჟისორი: მუქსინ-ბეი
ოპერატ.: სტანკე
ტამილას როლში— გ. ზარჟიცკაია
ნ. 1625

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო
ა. წ. 5 ოქტომბერს 12 ს. ქ. ქუთაისში აცხადებს
შეჯიბრს

კლდის, ბეტონის (არმიროვკით) და სხვა საგუბართან დაკავშირებულ სამუშაოების შესასრულებლად რიონის მარჯვენა ნაპირზე რიონჰესის მასალებზე.

სამუშაოების საორიენტიო რაოდენობა: კლდის 7000 კუბ. მეტრი, ბეტონის 7500 კუბ. მეტრი.

სამუშაოთა საერთო საორიენტიო ფასი 90000 მან.

სამუშაოს შესრულების ვადა ოთხი თვე.

დაწვრილებით წერილობით კონდიციებს მსურველი შეიძლება გაეცნოს ყოველდღე 10 საათიდან 13 საათამდე ქ. ქუთაისში სამუშაოთა სამმართველოში.

სამუშაოთა შესრულების მსურველმა ორგანიზაციებმა და პირებმა სათანადოდ დაწესებულ ბლანკზე დაბეჭდილ კონვერტში უნდა წარადგინონ განცხადება წარწერით „რიონჰესის მთავარ ინჟინერს" 5 ოქტომბრის კონკურენციისათვის.

ვინც საწინდარისაგან განთავისუფლებული არ არის შეჯიბრამდე უნდა შეიტანონ სამუშაოთა სამმართველოში საწინდარი გამოცხადებულ ფასის 10 პროც. რაოდენობით.

სამუშაოთა სისწრაფის და პასუხსაგებ ხასიათის გამო, თანახმად სახელმწიფო იჯარათა და დადგმათა დებულების მე-4 მუხ. 1 დამატებისა, შეჯიბრზე დაშვებულ იქნებიან მხოლოდ ის პირები და ორგანიზაციები, რომელთაც გამოცდილება აქვთ პასუხსაგებ ჰიდროტეხნიკურ სამუშაოთა წარმოებაში.

ნ. 1623 2—1 მთავარი ინჟინერი მელიქ-ფაშაევი.

„კომუნისტი"-ს მთავარ კანტორისათვის
საჭიროა გაზეთის
გამავრცელებელი აგენტები
მსურველებმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ უნდა მიმართონ გაზეთ „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორას, რუსთაველის პროსპ. № 34, დილის 9 ს.—4 საათამდე

დიდ-ჯიხაიშში
ხელისმოწერა
გაზეთ „კომუნისტზე"
მიიღება წიგნის მაღაზიაში
გიორგი ძიძილეიშვილთან
3—1

თბილისის შრომის ბირჟასთან არსებული
კოლექტივთა გაერთიანების სამმართველო

წინადადებას აძლევს ყველა იმ პირთ, რომლებსაც არ გადაუხდიათ ნისიად წაღებული საქონლის ფული, გამოცხადდენ სამმართველოში საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში სამმართველო გაზეთებში გამოაქვეყნებს ყველა მევალეთა გვარებს, რითაც ისინი გამოცხადებულნი იქნებიან კრედიტის უნაომოკლებულ პირებად. გამოცხადების ვადა ა. წ. 1-ლ ოქტომბრამდე.

ნ. 1616. 2—1. სამმართველო.

ლილი და დიმიტრი ყიფიანები, ი. ესიკოვსკი
მხატვრულ სურათში
ჭორი
რეჟ. პერესტიანი
დღეს და ყოველდღე
კინო
დარბაზში
ნ. 1625

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ტელეფ.—11—78. 25—1.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაზერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმი
თოდაძე
დაბრუნდა. ღებულობს ქირურგიულ და უროლოგიურ ავადმყოფებს. (თირკმელები, საშარდე ბუშტი და სხვა). (ცისტოსკოპია, დიატერმია.
თბილისი, ბელგიის ქ., № 1; მიღება—4—6 საათამდე. 13—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
■ ასწორებს ■
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., № 132.

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

ექიმა
ს. ი. ვოლოხმა
განაახლა ავადმყოფთა მიღება
(ქალთა სნეულებანი და მეანობა)
ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80
25—1

ექიმა
ი. ვ. ხანდამოვა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ., № 35, (ყოფ. საპიორის ქ.), 4, კადეტთა კორპუსის უკან.
(25—1)

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე



სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

დაიკარგა: დაზღვეულ უმუშევარის წიგნაკი № 8417 პ. ტყემალაძის სახელზე, ჩ. გ. 4292

დაიკარგა: სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 26 გაცემული პოლიაკტოზ ონიანის სახელზე, ჩ. გ. 4294

დაიკარგა: სამხედრო. პირადობის წიგნაკი დიმიტრი გიორგის-ძე გონაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4293

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი 1921 წელში გაცემული მარუსა სამხარაძის სახელზე, ჩ. გ. 4291

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 4176 ალექსანდრე ადამის-ძე ფალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4296

დაიკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 2916, ოლია ფარნას ასული წულაიას სახელზე, ჩ. გ. 4298

დაიკარგა: მოწმობა სამსახურობის შესახებ გაცემული შინაგან საქმეთა სახალ. კომისარიატიდან № 8054008 ალექსანდრე ადამის-ძე ბაქრაძის სახელზე, ჩ. გ. 4297

დაიკარგა: სახ. უნივერ. მოწმობა და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ტიმოთე აფხაიძის სახელზე, ჩ. გ. 4299

დაიკარგა: პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 25482 აპალონ იოსების-ძე თევზაძის სახელზე, ჩ. გ. 4309

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 8003 თედორე დიმიტრის-ძე ბერულავას სახელზე, ჩ. გ. 4301

დაიკარგა: დაზღვევის ფურცელი № 3560 და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი ფ. № 1 ერასტი ნიკოლოზის-ძე ჩიკვილაძეს სახელზე, ჩ. გ. 4295

დაიკარგა შვილი ვასილ გოგრიჭიანი, ტანათ საშუალო 16 წლისა სულით ავადმყოფი, ნიშნები: შავი თმა და უვარგისი სიარული, მნახველს ვთხოვ შემატყობინოს შემდეგ მისამარ. საბჭოს ქ. № 147—**სამსონ გოგრიჭიანისა.** 4305

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904